

ევ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი ქოქოშვილი

**წიგნით ვაჭრობა და მისი სრულყოფის
ძირითადი მიმართულებანი საქართველოში**

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა 08.00.07 – სექტორული ეკონომიკა (ვაჭრობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ჯუღაყიძე, ეკონომიკურ
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

|

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი ----- 3

თავი 1. წიგნით ვაჭრობის განვითარება საქართველოში

- 1.1 წიგნით ვაჭრობის თავისებურებანი ----- 7
- 1.2. წიგნით ვაჭრობის განვითარების ძირითადი ეტაპები ----- 17
- 1.3. წიგნით ვაჭრობის ტრანსფორმაცია საბაზრო ურთიერთობათა
დამკვიდრების პირობებში ----- 31

თავი 2. წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები

- 2.1. წიგნით ვაჭრობის ეფექტიანობის შესახებ ----- 43
- 2.2. წიგნით ვაჭრობის მარკეტინგი ----- 52
- 2.3. წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირება ----- 70

თავი 3. წიგნით ვაჭრობის სრულყოფის გზები საქართველოში

- 3.1. საკრედიტო ურთიერთობები წიგნით ვაჭრობაში საბაზრო
ეკონომიკის პირობებში ----- 86
- 3.2. ხელმოწერით გამოცემათა რეალიზაციის ძირითადი
ასპექტები ----- 96
- 3.3 წიგნით ვაჭრობის საწარმოს ფინანსური დაგეგმვის
თავისებურებანი ----- 102

დასკვნები და წინადადებები ----- 122

გამოყენებული ლიტერატურა ----- 130

დანართები ----- 139

შ მ ს ა ვ ა ლ ი

თემის აქტუალურობა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ მოითხოვა სრულიად ახლებური მიდგომა ეკონომიკის ყველა სფეროში მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტისას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კერძო სექტორის დომინირების აუცილებლობამ განაპირობა სახელმწიფოებრივი საწარმოების მასობრივი პრიატიზება და წარმოება-გასაღების სისტემის ფორმირება საბაზრო პრინციპების საფუძველზე.

საქართველოში პრიატიზების პირველმა ეტაპმა მოიცვა სავაჭრო, მათ შორის წიგნით ვაჭრობის საწარმოები. უნდა აღინიშნოს ის, რომ წიგნით ვაჭრობის საწარმოების (მაღაზიების) მნიშვნელოვანმა ნაწილმა თბილისსა და სხვა ქალაქებში პრიატიზების შემდეგ დაიწყო ვაჭრობა უფრო მომგებიანი სასაქონლო ვაჭურვებით ან წიგნის მაღაზიების დიდი ნაწილი ვაჭრობას ეწევა მომგებიანი საქონლით წიგნებთან ერთად ე.ი. ასეთი მაღაზიების ნაწილის პროფილი შეიცვალა და წიგნით ვაჭრობამ გადაინაცვლა ქალაქების ქუჩებში. წიგნით ვაჭრობა სოფლად მოიშალა. ამრიგად, წიგნით ვაჭრობის პრობლემა საბაზრო ურთიერთობათა პირობებში ერთ-ერთი ყველაზე რთული ეკონომიკური პრობლემა გახდა.

წიგნით ვაჭრობისათვის დამახასიათებელია საქონელმომოქცევის კანონზომიერებათა სპეციფიკა ახალ პირობებში, რომელთა გამოკვლევას გააჩნია უაღრესად დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა. წიგნით ვაჭრობის სწორი ორგანიზაცია შექმნის ყველა პირობას მთლიანად ქვეყანასა და მის რეგიონებში წიგნით ვაჭრობის განვითარების, მისი სოციალური მნიშვნელობის ამაღლებისა და საზოგადოების სულიერი გამდიდრებისათვის.

წიგნით ვაჭრობის პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამჟამად, როდესაც ჩვენი ქვეყანა განიცდის ღრმა კრიზისს ეკონომიკასა და საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში.

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში აუცილებელია წიგნის პროდუქციის სასაქონლო ასორტიმენტის გაუმჯობესება, მისი პოლიგრაფიული შესრულების ჯეროვანი დონე მომხმარებელთა მოთხოვნისა და საჭიროებების გათვალისწინებით, წიგნით ვაჭრობის გონივრული ორგანიზაცია.

წიგნით ვაჭრობის ბევრი ასპექტი საჭიროებს სათანადო შესწავლასა და გა-

დაწვევას მოცემული პრობლემის გამოკვლევის აქტუალურობა და აუცილებლობა, განსაკუთრებით საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, განპირობებულია იმით, რომ მან ვერ ჰპოვა გაშუქება ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში. კერძოდ, დღეისათვის ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არსებობს სპეციალური გამოკვლევა, რომელიც ეხლენება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში წიგნით ვაჭრობის საკითხებს. საკვალიფიკაციო ნაშრომის (თემის) შესრულების შედეგად მიღებული დასკვნები და წინადადებები აქტუალურია პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

კვლევის მიზანი და ამოცანები. საღისურთაქციო ნაშრომის მიზანია საბაზრო ურთიერთობათა პირობებში წიგნით ვაჭრობის სრულყოფის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდაციების დამუშავება. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- საქართველოში წიგნით ვაჭრობის თავისებურებათა გამოკვლევა სხვადასხვა ეტაპზე;
- წიგნით ვაჭრობის სტიმულირების მეთოდებისა და ფორმების განსაზღვრა;
- წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზი;
- წიგნით ვაჭრობის სრულყოფის პრაქტიკული რეკომენდაციების დამუშავება.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში წიგნით ვაჭრობის მდგომარეობის ანალიზი და მისი სრულყოფა. გამოკვლევის ობიექტია წიგნის ბაზარი და მისი სუბიექტები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველია თანამედროვე ეკონომიკური თეორია, ცნობილი ქართველი და უცხოელი სწავლული ეკონომისტების ნაშრომები საბაზრო ურთიერთობათა და მარკეტინგის შესახებ, საკანონმდებლო აქტები.

გამოკვლევა ემყარება საქართველოს წიგნის სახელმწიფო პალატის, საქართველოს წიგნის გამომცემელთა¹ და გამავრცელებელთა ასოციაციის, შპს „საქწიგნის“ და სავაჭრო საწარმოთა კონკრეტულ მასალებს, ავტორის მიერ მოძიებულ სტატისტიკურ სხვა ინფორმაციებს. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზისათვის გამოყენებულია მეცნიერული აბსტრაქციის, ინდექსისა და დელუქციის, სინთეზისა და ანალოგიის, სტატისტიკური დაჯგუფების და სხვა მეთოდები.

კვლევის მეცნიერული სიახლე სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობათა პირობებში პირველ მცდელობას წიგნით ვაჭრობის გამოკვლევის სფეროში, რომლის მეცნიერული სიახლეებია:

- გამოკვლეულია წიგნით ვაჭრობის განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში;
- დამუშავებულია წიგნით ვაჭრობაში საბაზრო ურთიერთობათა გამოვლინებების თავისებურებების გამოყენების კონცეფცია;
- ჩატარებულია წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზი საბაზრო ურთიერთობათა პირობებში;
- განსაზღვრულია წიგნით ვაჭრობის მარკეტინგის შინაარსი;
- გაანალიზებულია წიგნით ვაჭრობის კომერციალიზაციისა და პრივატიზაციის საკითხები წიგნის ბაზრის ფორმირების თვალსაზრისით;
- დამუშავებულია წიგნით ვაჭრობის ფინანსური დაგეგმვის სრულყოფის მექანიზმი საბაზრო ურთიერთობათა პირობებში;
- შემოთავაზებულია წიგნით ვაჭრობის სრულყოფის მიზნით კონსიგნაციის გამოყენება.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. გამოკვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების პროცესში და წიგნით ვაჭრობის საწარმოთა საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

ნაშრომში გაშუქებული საკითხების გამოყენება შესაძლებელია სამეცნიერო დისციპლინების „ვაჭრობის ეკონომიკის“, „კომერციული საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის“, სწავლების პროცესში.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია. სადისერტაციო ნაშრომი განხილულ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქონელმომოქცევის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის გაფართოებულ სხდომაზე (ოქმი №2, 2004 წლის 8 ოქტომბერი). სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია სამ სამეცნიერო ნაშრომში.

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 129 გვერდს და იგი შედგება შესავლის სამი თავის, ცხრა პარაგრაფის, დასკვნებისა და წინადადებებისაგან. ტექსტში მოცემულია „7“ ცხრილი ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და „14“ დანართი.

კვლევის მიზნისა და ამოცანებიდან გამომდინარე ნაშრომის სტრუქტურამ მიიღო შემდეგი სახე:

შესავალი

თავი I წიგნით ვაჭრობის განვითარება საქართველოში

- 1.1 წიგნით ვაჭრობის თავისებურებანი
- 1.2 წიგნით ვაჭრობის განვითარების ძირითადი ეტაპები
- 1.3. წიგნით ვაჭრობის ტრანსფორმაცია საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების პირობებში

თავის II. წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები

- 2.1. წიგნით ვაჭრობის ეფექტიანობის შესახებ
- 2.2. წიგნით ვაჭრობის მარკეტინგი
- 2.3. წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირება

თავი III. წიგნით ვაჭრობის სრულყოფის გზები საქართველოში

3.1. საკრედიტო ურთიერთობები წიგნით ვაჭრობაში საბაზრო ეკონომიკის პირობებში

- 3.2. ხელმოწერით გამოცემათა რეალიზაციის ძირითადი ასპექტები
- 3.3 წიგნით ვაჭრობის საწარმოს ფინანსური დაგეგმვის თავისებურებანი დასკვნები და წინადადებები

გამოყენებული ლიტერატურის სია
დანართები

თავი I. ჟიზნით ვაჭრობის განვითარება საქართველოში

1.1. წიგნით ვაჭრობის თავისებურებანი

წიგნით ვაჭრობას, როგორც სამომხმარებლო საქონლით ვაჭრობის შემადგენელ ნაწილს გააჩნია სპეციფიკური თავისებურებანი. წიგნით ვაჭრობის თავისებურებანი განისაზღვრება საქონლის - წიგნის პროდუქციის თავისებურებებით წიგნის პროდუქციის სირთულე განისაზღვრება უპირველეს ყოვლისა სასაქონლო ასორტიმენტის მრავალფეროვნობით. ეს მრავალფეროვნება ქმნის დამატებითი საშუალოს ასორტიმენტთან წიგნით ვაჭრობის საწარმოებისა და ცალკეულ წიგნით მოვაჭრეთა დონეზე. საასორტიმენტო მუშაობა მოიცავს ბიბლიოგრაფიულ და წიგნის ფონდების დაკომპლექტებასთან დაკავშირებულ საშუალებებს, აგრეთვე ყველა დამატებითი სასაწყობო საშუალოს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ასორტიმენტის სირთულესთან.

ყოველწლიურად ადგილი აქვს სტრუქტურულ ძვრებს წიგნის პროდუქციის ამა თუ იმ ასორტიმენტის სასარგებლოდ. ლიტერატურის ყოველი თემატიკური განყოფილების (კარის) შიგნით არსებობს კიდევ უფრო მცირე ჯგუფები განყოფილებებისა და მიმართულებების მიხედვით. წიგნის პროდუქციის სასაქონლო რესურსების ასორტიმენტული სტრუქტურა გახუდებით რთულდება, მიუხედავად წიგნებისა და ბროშურების გამოცემის შემცირებისა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან.

დიდი საასორტიმენტო მუშაობა, რომელიც დამახასიათებელია სწორედ წიგნით ვაჭრობისათვის, ქმნის დამატებითი მიმოქცევის ხარჯებს, რომელთა სიდიდე 1,5-3-ჯერ აღემატება მიმოქცევის ხარჯებს სხვა საქონლით ვაჭრობაში (იხ. ცხრილი 1). ცნობილია, რომ წიგნის პროდუქციის ხარჯტევადობა ყოველთვის მეტია სხვა საქონლის ხარჯტევადობაზე. მიმოქცევის ხარჯების ზრდა წიგნით ვაჭრობაში უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია ცოცხალი შრომის დამატებით ხარჯებთან, კერძოდ წიგნით ვაჭრობის მუშაკთა შრომის ანაზღაურებასთან, რაც განპირობებულია სასაქონლო ასორტიმენტის სირთულით. გარდა ამისა, წიგნით ვაჭრობის საწარმოების საქონლებრუნვის მოცულობა და წიგნის ბრუნვადობის

სისწრაფე მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთოდ სხვა პროფილის სავაჭრო საწარმოების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ცხრილი 1

მიმოქცევის ხარჯების დონე საქართველოში ყველა საქონლით სახელმწიფო ვაჭრობისა და წიგნით ვაჭრობის საცალო ვაჭრობაში¹

წლები	მიმოქცევის ხარჯების დონე, %	
	ყველა საქონლით ვაჭრობაში	წიგნით ვაჭრობაში
1970	7,12	14,25
1975	6,76	12,68
1980	6,81	12,88
1985	6,87	11,45
1990	4,80	8,05

უფრო მაღალი დანახარჯები წიგნით ვაჭრობაში ძლიერ გავლენას ახდენს წიგნით ვაჭრობის საწარმოების მოგებისა და რენტაბელობის ფორმირებაზე წიგნით ვაჭრობის თეორია და პრაქტიკა ამტკიცებს, რომ ეს მაჩვენებლები ნაკლებია ფართო მოხმარების სხვა საგნებით ვაჭრობას ანალოგიურ მაჩვენებლებზე ეს გარემოება განაპირობებს იმას, რომ წიგნით ვაჭრობის საქმიანობის დეცენტრალიზაციისა და კომერციალიზაციის პირობებში ზდება კაპიტალის გადაღინება წიგნით ვაჭრობის სფეროდან სამომხმარებლო დანიშნულების სხვა საქონლით ვაჭრობის სფეროში

წიგნით ვაჭრობის სხვა მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ წიგნები და ბროშურები მკაცრად გამოიჯნულია მიზნობრივი დანიშნულებით. ამის გამო წიგნით ვაჭრობის საწარმოები იძულებულნი არიან იმუშაონ წიგნის ბაზრის სხვადასხვა სეგმენტებთან. გარდა ამისა, გამოყოფენ წიგნით მოვაჭრე სტრუქტურების ასორტიმენტული საქმიანობის სხვადასხვა პროფილს, ესენია – ვაჭრობა ცალკეული ასორტიმენტული ჯგუფების მიხედვით, ასორტიმენტის რემოდინიშე ჯგუფის მიხედვით, აგრეთვე ნებისმიერი ასორტიმენტის წიგნების მიხედვით წიგნით ვაჭრობის ეკონომიკაზე ლიტერატურაში ჯერ კიდევ წიგნით ვაჭრობის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამდე იყო მრავალი მცდელობა გაენალიზებინათ წიგნით ვაჭრობის საქმიანობის შედარებითი ეფექტიანობა ამა თუ

¹ ცხრილი შედგენილია „საქწიგნის“ მონაცემების საფუძველზე.

იმ წიგნით მოვაჭრე სტრუქტურის ასორტიმენტულ სტრუქტურაზე დამოკიდებულებით.

ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა წიგნით ვაჭრობის საწარმოების საქმიანობის ანალიზისადმი მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ დასაბუთებას, რადგან წიგნის პროდუქცია, შინაარსის მაღალი ხარისხის პირობისას, ესაჭიროება მოსახლეობის ყველა სოციალურ ფენას და ჯგუფს. სხვადასხვა დონეზე წიგნით ვაჭრობის უფრო მაღალი ეფექტიანობის გამოვლენამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს წიგნზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ცალკეული ასორტიმენტული ჯგუფების მიხედვით.

წიგნით ვაჭრობის მნიშვნელოვანი თავისებურება არის ისიც, რომ ახალი წიგნების შინაარსის განსაზღვრა რთულია, რაც აძლიერებს წიგნის სახმარი ღირებულების პრობლემას. აქედან გამომდინარე წიგნით ვაჭრობის საქმიანობა მოითხოვს დამატებით ძალისხმევას წიგნის რეკლამასა და პროპაგანდაზე, მაღალკვალიფიციური კადრების, მათ შორის წიგნის ბაზრის შემსწავლელი სპეციალისტების – მარკეტერების მომზადებაზე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ წიგნის სარგებლობის შეფასების სირთულე ვრცელდება მხოლოდ ადრე გამოუცემელ პროდუქციაზე, რომლის საზოგადოებრივი შეფასება შეუძლებელი იყო მის გამოცემაზე.

წიგნით ვაჭრობის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში წიგნის საქონლის თავისებურებანი განსაზღვრავენ საბირჟო და საუქციონო ვაჭრობის სუსტ განვითარებას. უკანასკნელი წლების სამეცნიერო ლიტერატურაში საბირჟო ვაჭრობის განვითარების პირობებში გამოთქმულია მოსაზრება, რომ წიგნი თავისი შინაგანი ბუნებით არ არის საბირჟო საქონელი და ამიტომ არ შეიძლება განვითარდეს წიგნით ვაჭრობის საბირჟო სახეობა. უკანასკნელი წლების წიგნით ვაჭრობის საერთაშორისო პრაქტიკამ აჩვენა, რომ წიგნით საბირჟო ვაჭრობამ ვერ პპოვა გავრცელება. 1992 წელს მსოფლიო მასშტაბით მოქმედმა ერთადერთმა ქ. იუვესკის წიგნების ბირჟამ სცადა აღედგინა სპეციალიზებული წიგნით ვაჭრობა, რომელიც უკვე 1993 წელს არ დავეირგვინდა წარმატებით. სწორედ მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სპეციალიზებული წიგნის ბირჟების არ არსებობა უკავშირდება უპირველეს ყოვლისა, წიგნის საქონლის მაღალ ხარჯცევადობას: კარგად დაყენებულ მარკეტინგული მუშაობისას წიგნი პოტენციურად შეიძლება

გამოტანილი იქნეს სავაჭროდ, მაგრამ ასეთი სამუშაო მოითხოვს დამატებით კაპიტალს, რომელიც სხვა საქონლით საბირჟო ვაჭრობისას საჭირო არ არის.

ცალკეული ეკონომისტები წიგნით ვაჭრობის დარგში წიგნის საქონლის ეკონომიკურ თავისებურებებს მიაკუთვნებენ მის უნარს სისტემატურად ასახოს საზოგადოების მიღწევები მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში¹ თუმცა დეთანხმო ამას ცოტა ძნელია, — ასეთი უნარი აქვს მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებას გარდა ამისა, მათ შეუძლიათ ასახონ არა მხოლოდ ყველაფერი დადებითი, რაც მიღწეულია საზოგადოებაში განსაზღვრულ პერიოდში, არამედ ის უარყოფითი მხარეები, რაც გააჩნია საზოგადოებას. ამ აზრის მქონე ეკონომისტები წიგნის თავისებურებად ასახელებენ იმას, რომ წიგნს არა აქვს ურთიერთშემცვლელიობის უნარი ასეთ კატეგორიულ მსჯელობას ძნელია დაეთანხმო. მართალია, ყოველი კონკრეტული გამოცემა თავისებურად უნიკალურია და განსხვავდება სხვა გამოცემისაგან (წიგნის შინაარსის თემატიკის დამთხვევის დროსაც კი), მაგრამ წიგნის პროდუქციის შედარებით მცირე სასაქონლო ასორტიმენტის დროსაც კი მომხმარებელს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლია მოძებნოს წიგნი, რომლის სახმარი ღირებულება ემთხვევა ან მაქსიმალურად უახლოვდება გაყიდვაში არ არსებული გამოცემის სახმარ ღირებულებას. ეს შეეხება ლიტერატურას, რომელიც განსაკუთრებულია არა მხოლოდ მყიდველთა ფართო წრისათვის, არამედ სპეციალისტთა ვიწრო წრისათვისაც. ამ შემთხვევაში წიგნი, რომელსაც კითხულობენ და წიგნი, რომელიც არ არის გაყიდვაში — ურთიერთშემცვლელია.

წიგნის პროდუქციის ურთიერთშემცვლელიობის უნარს აქვს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. ის მასტიმულირებელ ზემოქმედებას ახდენს წიგნის ვაჭრობის საწარმოს ასორტიმენტულ სამუშაოსა და დამაკმაყოფილებელი მოთხოვნის რეალიზაციაზე.

წიგნით ვაჭრობის შემდეგ თავისებურებას წარმოადგენს წიგნის საქონლის სუსტი ფიზიკური ცვეთა. წიგნის ფიზიკური ცვეთის ხარისხი დამოკიდებულია როგორც მისი შინაარსის ხარისხზე, ასევე მისი პოლიგრაფიული შესრულების ხარისხზე. წიგნები რბილი გარეკანით¹ და ბროშურები უფრო მეტად

¹ Гриншай Т. Хозяйственный расчет в розничной торговле книгой. Киев, 1969, стр 8

ექვემდებარებიან ფიზიკურ მოძველებას. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წიგნი ადვილად ექვემდებარება რესტავრაციას შემდგომი მრავალჯერადი მოხმარებით.

წიგნის სარგებლობის შენარჩუნების პირობებში სხვა საქონლით ვაჭრობისაგან განსხვავებით, წიგნით ვაჭრობაში ფართო გავრცელება ჰპოვა ძველი გამოცემებით ვაჭრობამ ანუ ბუკინისტურმა ვაჭრობამ. ვაჭრობის ტექნიკაში, ტექნოლოგიაში, ორგანიზაციასა და ეკონომიკაში არსებული თავისებურებების გამო ბუკინისტური ვაჭრობა, როგორც წესი და არც თუ უსაფუძვლოდ გამოიყოფა წიგნით ვაჭრობის ცალკე სფეროდ. ძველი წიგნებით ვაჭრობამ არა თანაბარი განვითარება ჰპოვა ქვეყნის რეგიონების მიხედვით. ეს უთანაბრობა განისაზღვრება მრავალი ცნობილი ფაქტორით, რომლებიც ასდენენ მოთხოვნის ფორმირებას ძველ, მათ შორის ანტიკვარულ გამოცემებზე

წიგნის პროდუქციის რეალიზაციაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს წიგნის სწრაფი მორალური ცვეთა, მაგრამ სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში მორალურ ცვეთას ექვემდებარება არა მთელი ლიტერატურა, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი. ამ „აეადმყოფობას“ ნაკლებად ექვემდებარება აგრეთვე კლასიკური მხატვრული ლიტერატურა, პუბლიცისტიკა, სამეპუარო ლიტერატურა, „საყოფაცხოვრებო“ და სხვა ლიტერატურა, თუმცა მსგავს ლიტერატურაზე ბაზრის კონიუნქტურაც ექვემდებარება ცვლილებას დროში, გარდა ამისა, წიგნის მორალური მოძველება უკავშირდება მისი შინაარსის ხარისხის დაკარგვას დროში. ჩვენი აზრით, ბაზარზე წიგნის მორალური მოძველება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე წიგნის შინაარსის ხარისხის დაკარგვა. გამომდინარე აქედან ბაზარზე უფრო მაღალი სახმარი ღირებულების მქონე ალტერნატიული გამოცემების გამოჩენა ხელს შეუწყობს წინა გამოცემების მორალური ცვეთის დაჩქარებას.

წიგნის მორალური ცვეთის თეორია არ გამოყოფს ლიტერატურის მორალურ ცვეთას რეგიონული ნიშნის მიხედვით. მნიშვნელოვანია გამოიყოს წიგნის სრული და საბოლოო მორალური მოძველება, მიუხედავად რეალიზაციის რეგიონისა და მათი მორალური მოძველება რეგიონების მიხედვით, რომლის ხარისხიც შესაძლებელია სხვადასხვაგვარი იყოს. ამასთანავე, წიგნი, რომელიც ექვემდებარება მორალურ ცვეთას ერთ რეგიონში, შეიძლება არ იყოს მოძველებული სხვა რეგიონში და სარგებლობდეს მოთხოვნით. მოცემულ გარემოებას შეიძლება დიდი

პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდეს საქალაქთაშორისო და საერთაშორისო წიგნით ვაჭრობის განვითარებისათვის.

წიგნის მორალური მოძველების თეორიის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს იმ წიგნებზე მოთხოვნის შემცირების საკითხი, რომლებზეც ვრცელდება მორალური მოძველება. წიგნით ვაჭრობის პრაქტიკაში ხშირად არის შემთხვევები, როდესაც რომელიმე გამოცემა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მორალურად მოძველდა, მაგრამ მაღალი მოთხოვნით სარგებლობს რეალიზაციის მოცემულ კონკრეტულ რეგიონში (ადგილას). ასეთი შემთხვევები შესაძლებელია მაშინ, როცა წიგნის ბაზარზე შესაბამის რეგიონში არ არის სხვა ლიტერატურა უფრო ახალი, თანამედროვე ან, როცა ასეთი ლიტერატურა საერთოდ არ შეესაბამება მოცემულ რეგიონში მომხმარებელთა გადახდისუნარიან მოთხოვნილებებს.

წიგნით ვაჭრობის შემდეგი თავისებურება ის არის, რომ გამოცემული წიგნის მთელი პროდუქცია არ შეიძლება პოტენციურად გახდეს რეალიზაციის ობიექტი ანუ მიიღოს სასაქონლო ფორმა. საუბარია ისეთ გამოცემებზე, რომლებსაც არა აქვთ სასაქონლო ფორმა: საუბარია წიგნებზე და ბროშურებზე, რომლებსაც არა აქვთ ფასი, რომელთა წარმოებაზე დახარჯული იყო ცოცხალი შრომა. გააჩნიათ რა სახმარი ღირებულება, მაგრამ არა აქვთ რა ღირებულება, ეს პროდუქცია ნაწილდება მცირებითუმ მომხმარებლებს შორის – ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, საწარმოებს, სასწავლო დაწესებულებებს შორის საწარმოო მიზნით. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში წიგნის პროდუქციის სასაქონლო რესურსების წილი მკვეთრად იზრდება და შესაბამისად მცირდება არასასაქონლო რესურსების პროცენტი.

მიჩნეულია, რომ ასეთი წიგნის პროდუქციის წარმოების პრაქტიკა არა თუ მიზანშეუწონელია, არამედ ზიანიც კი მოატყს. მასში ჩადებულია ღრმა წინააღმდეგობა, რომლის გადაჭრასაც ცდილობდა წინა წლებში წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნების განაწილებისა და გადანაწილების სოციალისტური სისტემა. არასასაქონლო წიგნის რესურსების წარმოების შემცირება აიხსნება ამ წარმოების ცენტრალიზებული კაპიტალბაძანდების სახსრებიდან დაფინანსების წყაროების არ არსებობით ან შემცირებით.

წიგნით ვაჭრობის მნიშვნელოვანი ეკონომიკური თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ წიგნის პროდუქციის სპეციფიკის გამო წიგნების სასაქონლო მიმოქცევა ვრცელდება უმთავრესად მხოლოდ ქვეყნის საშინაო ბაზარზე. წიგნით საერთაშორისო ვაჭრობამ ვერ ჰპოვა მასობრივი გავრცელება სხვადასხვა ქვეყნებს შორის მოსახლეობის ეროვნული და ენობრივი ბარიერების გამო. საერთაშორისო ბაზარზე წიგნების ექსპორტისა და იმპორტის ზრდა განისაზღვრება მრავალი ფაქტორით, რომელთა შორის მნიშვნელოვანია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური წყობა და ხალხის კულტურის დონე ასევე, ცივი ომის პერიოდში იდეოლოგიური ბარიერების გამო კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებს შორის წიგნით საერთაშორისო ვაჭრობა ჩანასახის მდგომარეობაში იყო და რეგულირდებოდა შესაბამისი სახელმწიფოებრივი ორგანოების მიერ.

წიგნით ვაჭრობის თავისებურებას წარმოადგენს მისი სრული დამოკიდებულება გამოცემისა და პოლიგრაფიაზე. წიგნით საერთაშორისო ვაჭრობა, რომელმაც ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება, აძლიერებს წიგნის გავრცელების დამოკიდებულებას სამამულო გამოცემლობასა და პოლიგრაფიაზე, რომელიც ბევრად გნსაზღვრავს წიგნის საშინაო ბაზრის ურთიერთობების მექანიზმს. ეს მექანიზმი მოიცავს მისი ძირითადი შემადგენელი სამი ელემენტის — საწარმოო მიწოდების, ფასისა და სამომხმარებლო მოთხოვნის ურთიერთქმედებას.

მიუღებელია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „წიგნის ბაზარზე უფრო მეტად, ვიდრე სხვა საქონლის ბაზარზე, პრიმატი მიეკუთვნება მიწოდებას მის ურთიერთქმედებაში მოთხოვნასთან. წიგნის ბაზარზე უპირველეს ყოვლისა, მიიღწევა შესაბამისობა მიწოდებისა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს შორის, რომლებიც თავისი დანიშნულების მიხედვით უფრო მაღალია, ვიდრე საზოგადოების წევრების მოთხოვნის ვაში. საზოგადოებრივი მოთხოვნილებები წიგნებში ასახავენ საზოგადოების ინტერესებს, აღებულს მთლიანობაში და უარყოფენ.. ცალკეული წევრების კერძო მოთხოვნილებებს...“¹ ერთობლივი მოთხოვნის ფორმირება ხდება საზოგადოების წევრების ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე, მომხმარებლის მოთხოვნილებები ქმნიან საზოგადოების მოთხოვნას და შემოქმედებენ ერთობლივ მიწოდებაზე. წიგნის პროდუქციის

¹ Кузнецов А П Экономика книжной торговли М, 1985, стр 59

მიწოდების პრიმატად ცნობა ნიშნავს უარს წიგნით ვაჭრობაში საბაზრო ურთიერთობების განვითარებაზე.

წიგნით ვაჭრობის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ წიგნით ვაჭრობის საწარმოებს შესაძლებლობა აქვთ განავითარონ წიგნით საფოსტო ვაჭრობა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ვაჭრობა ჩვენს ქვეყანაში თითქმის არ არსებობს, თუ არ ჩათვლით იშვიათ გამონაკლისებს. მაღაზიებში „წიგნი-ფოსტით“ განყოფილებების არსებობა ხელს შეუწყობს საქალაქთაშორისო და საერთაშორისო წიგნით ვაჭრობის განვითარებას, უმეტესად დღეს-ს დღეებთან, სადაც ამჟამად დროებით, თუ ზოგან მუდმივად, ცხოვრობენ ქართულენოვანი მოსახლეობა, რომლებსაც სხვა შესაძლებლობა შეიძინონ წიგნის პროდუქცია მშობლიურ ენაზე არა აქვთ.

წიგნების სასაქონლო ასორტიმენტის სირთულე განსაზღვრავს წიგნის პროდუქციაზე ფასწარმოქმნის სირთულესა და ფასების სხვადასხვაგვარობას. წიგნის საგამომცემლო და სავაჭრო საქმიანობის დეცენტრალიზაციამ გამოიწვია წიგნის ბაზარზე ფასწარმოქმნის დეცენტრალიზაცია საგამომცემლო თვითღირებულება, საგამომცემლო მოგება და წიგნით სავაჭრო ფასნამატი ახდენენ წიგნის საცალო ფასის ფორმირებას ბოლო დროს მისი პროგნოზირებისათვის იყენებენ წიგნის მარკეტინგს. წიგნის თანამედროვე ბაზარის პირობებში წიგნებზე საცალო ფასების განსაზღვრა და ფორმირება ხდება კომერციალიზებული საგამომცემლო და სავაჭრო სტრუქტურებს შორის თავისუფალი კონკურენციის პირობებში როგორც წესი წიგნის პროდუქციაზე ფასები სახელშეკრულებოა (შეთანხმებითია).

წიგნით ვაჭრობის შემდეგ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი რეალიზაციის საგანი შეიძლება იყოს ან არ იყოს კულტურის ობიექტი. უკანასკნელი გარემოება დაკავშირებულია წიგნის სახმარი ღირებულების ხასიათთან. საქართველოში ბოლო ათწლეულში გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა დაანერია ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული წიგნით ვაჭრობის წარმოებისა და რეალიზაციის მექანიზმები, რამაც გამოიწვია ბაზარზე სასაქონლო ასორტიმენტის ცვლილება. მსოფლიო ლიტერატურის შედეგები, კლასიკური სამამულო ლიტერატურა, სპეციალური გამოცემები იცვლება სავაჭრო გამოცემებით, რომლებიც არ არიან მაღალი ღირებულების მატარებელი, მაგრამ

გათვლილია მაღალი შემოსავლის მიღებაზე მათი რეალიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ფასეულებების და აზროვნების სტერეოტიპების გადაფასება არ შეიძლებოდა არ შენებოდა ქვეყანაში წიგნის გამოცემასა და გავრცელებას არასახელმწიფო გამოცემები და წიგნით ვაჭრობის საწარმოები განთავისუფლდნენ სახელმწიფოზე ეკონომიკური და ადმინისტრაციული დამოკიდებულებისაგან. ამასთანავე, ამ საწარმოების გადარჩენისა და შემდგომი განვითარების პირობას წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობისადმი მაქსიმალურად მაღალი მოვების მიღება. წიგნების შინაარსი, მათი სოციალური მნიშვნელობა, ზნეობრივი ფასეულობები უკანა პლანზე გადავიდნენ. რიგი სპეციალისტების თვალსაზრისით, წიგნის პროდუქციის გააჯანსაღების მთავრ საშუალებას წარმოადგენს აღმზრდელობითი საშუაოს ჩატარება მოსახლეობაში, მათ შორის ახალგაზრდობაში. წიგნი, ზღვება რა სოციალური გაუცხოვების კლანჭებში, იძულებულია გახდეს ძირითადად ყიდვა-გაყიდვის ობიექტი და გაიზიაროს მთელი კულტურის სამწუხარო ბედი. აღმზრდელობითი მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იგი არ არის წიგნის ბაზრის გააჯანსაღების განმსაზღვრელი ფაქტორი. ამ საკითხში უნდა ვეძიოთ უფრო ღრმა მიზეზები და არა ბაზრის დაბალი ხარისხის ლიტერატურით გაჯერების შედეგები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ წიგნის კულტურის აღმოცენება უნდა დაიწყო ცივილიზებული წიგნის ბაზრის შექმნით, რომელიც იფუნქციონერებს განსაზღვრული კანონების მიხედვით და ყველა თავისი ატრიბუტით.

წიგნით ვაჭრობის შემდეგი თავისებურება მდგომარეობს მის უნარიანობაში იმოქმედოს წიგნის მეშვეობით საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე წიგნი შეიძლება რეალიზებული იქნეს საწარმოო მოხმარებისათვის პრაქტიკულ და სამეცნიერო საქმიანობაში, როგორც ინფორმაციის წყარო. წიგნი დიდ როლს თამაშობს საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებაში, სოციალურ ურთიერთობებში, საზოგადოების აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო და კულტურული ამოცანების გადაჭრაში. წიგნს გააჩნია აგრეთვე პოლიტიკური დატვირთვა. წიგნის პოლიტიკური როლი ფრიად მნიშვნელოვანია და განმსაზღვრელია მისი სხვა ამოცანების მიმართ.

წიგნით ვაჭრობის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ წიგნი ზოგიერთ საქონელთან შედარებით ადვილად გადაადგილდება, ტრანსპორტირდება, შეინახება და ნაკლებად ექვემდებარება განადგურებას გარემოს

ზემოქმედებით (თუმცა მის მოვლა-შენახვასაც გარკვეული ძალისხმევა სჭირდება). ყოველივე ეს დაკავშირებულია წიგნის წონასთან, მის ფორმასთან, მოცულობასთან და ა.შ. წიგნის ამ თავისებურებებით აიხსნება ამჟამად არასამალაზიო წიგნით ვაჭრობის განვითარება, წიგნით ვაჭრობის საცალო საწარმოების შედარებით დაბალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სხვა ფართო მონმარების საგნებით მოვაჭრე საწარმოებთან შედარებით.

წიგნით ვაჭრობის თავისებურებას წარმოადგენს წიგნით ვაჭრობის საწარმოებში სარეკლამო სამუშაოების ორგანიზაციის სპეციფიკაც წიგნის სიახლეების შინაარსის ხარისხის განსაზღვრის სირთულე იწვევს წიგნის რეკლამის ორგანიზაციის, ტექნიკის, ტექნოლოგიისა და წიგნის პროპაგანდისადმი მეცნიერული მიდგომის აუცილებლობას. წიგნის პროდუქციის ასორტიმენტის მრავალფეროვნება ხელს უწყობს რეკლამასა და პროპაგანდაზე ხარჯების ზრდას (წიგნით ვაჭრობაში რეკლამის ხარჯები უფრო მაღალია, ვიდრე სხვა საქონლით ვაჭრობაში). თანამედროვე პირობებში რეკლამის ორგანიზაციასა და მართვას უნდა ახდენდნენ წიგნით ვაჭრობის მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები.

წიგნით საბჭოთა ვაჭრობის განვითარების მნიშვნელოვან კანონზომიერებას წარმოადგენდა მისი გასახელმწიფოებრიობის უფრო მაღალი ხარისხი ფართო მონმარების სხვა საქონლით ვაჭრობასთან შედარებით. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე მილიანად ქვეყნის მიხედვით სახელმწიფოებრივი ვაჭრობის წილი შეადგენდა 70%-ს, ხოლო წიგნით სახელმწიფოებრივი ვაჭრობის წილი შესაბამისი კომიტეტისა და უწყების სახით შეადგენდა 85%-ს.

1991 წლიდან მოყოლებული წიგნით ვაჭრობის საცალო საქონლებრუნვის წილი მთელი ვაჭრობის საცალო საქონლებრუნვაში მკვეთრად მცირდება. ეს გარემოება უკავშირდება ქვეყანაში წიგნის გამოცემის შემცირებას და როგორც შედეგი, წიგნით ვაჭრობის სასაქონლო რესურსების შემცირებას.

წიგნის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მანქვნელების შემცირება აიხსნება იმ სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, რომლებშიც აღმოჩნდა საქართველო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან.

1.2. წიგნით ვაჭრობის განვითარების ძირითადი ეტაპები

წიგნით ვაჭრობა, როგორც ვაჭრობის ნაწილი წარმოადგენს სასაქონლო მიმოქცევის შედარებით ახალგაზრდა სფეროს. მისი ჩასახვა დაკავშირებულია წიგნის საქონლის გაჩენასთან და მის მიმოქცევასთან ქვეყნის საშინაო და საგარეო ბაზარზე

წიგნით ვაჭრობის წარმოშობა უშუალო კავშირშია წიგნის წარმოებასთან წიგნის წარმოება წარმოადგენს წიგნით ვაჭრობის ფუნქციონირების აუცილებელ, მაგრამ არა საკმარის პირობას. წიგნი საქონელი ხდება მხოლოდ მისი ყიდვა-გაყიდვის შედეგად ანუ წიგნის ბაზარზე მიმოქცევის დროს.

წიგნის სფეროში მოღვაწე სპეციალისტების გამოკვლევები როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ მოიცავენ წიგნით ვაჭრობის ისტორიულ-წიგნთმცოდნეობრივ ასპექტებს წიგნით ვაჭრობის ეკონომიკა კი ძალიან მცირე მოცულობითაა გამოკვლეული. ეს გარემოება შეიძლება აიხსნას რამდენიმე მიზეზით. უპირველეს ყოვლისა, წიგნით ვაჭრობის ეკონომიკის ისტორია, როგორც ცალკე სამეცნიერო დისციპლინა, არ არსებობს და, როგორც შედეგი, სპეციალისტები მოცემულ დარგში თითქმის არ არსებობენ. გარდა ამისა, წიგნით ვაჭრობის ეკონომიკური საკითხების ამსახველი საარქივო მასალები ძალზედ შეზღუდულია. არ არსებობს საკმარისი მოცულობის ინფორმაცია გასული საუკუნეების წიგნით ვაჭრობის ფუნქციონირების ეკონომიკური ასპექტების შესახებ; ამიტომ წიგნით ვაჭრობის ეკონომიკის ისტორიული შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ წმინდა ისტორიული პოზიციიდან, არამედ ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით, ე.ი. დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების პირობებში წიგნით ვაჭრობის ეკონომიკური პრობლემების (წარმოება-გასაღების) გამოკვლევას.

პირველი ქართული წიგნი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია არის ი. ცურტაველის „შუშანიის წამება“, რომელიც ხელნაწერს წარმოადგენს. იგი მეხუთე საუკუნით თარიღდება და სანამ პირველი ქართული წიგნი დაიბეჭდებოდა თორმეტმა საუკუნემ განვლო.

პირველი ქართული წიგნი ევროპაში დაიბეჭდა წიგნის ბეჭდვის გამოგონებიდან 189 წლის შემდეგ – რომში 1629 წელს. ეს იყო ქართულ-

იტალიური ლექსიკონი, რომელიც ნიკიფორე ირბახის (ერისკაცობაში – ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი) ხელშეწყობით დაიბეჭდა. ნიკიფორე ირბახი 1626-1629 წლებში თეიმურაზ პირველის ელჩი იყო რომის პაპთან. აქედან იწყება ქართული დაბეჭდილი წიგნის ისტორია. 1705 წელს არჩილ II და მისმა შვილმა ალექსანდრემ მოსკოვში დაბეჭდეს „დავითნი“.

საქართველოში პირველად, ვახტანგ VI ხელშეწყობით თბილისში გახსნილ სტამბაში 1709 წელს დაიბეჭდა „სახარება“, 1712 წელს კი „ეფესხისტყაოსანი“. ამის შემდგომ, ნელ-ნელა განვითარებას იწყებს წიგნის ბეჭდვითი საქმიანობა, რამაც მე-18 საუკუნის დასაწყისიდანვე ნაბეჭდი წიგნი ძლიერ გააიფა და ხელნაწერზე 8-10-ჯერ ნაკლები გახდა. ეს გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ საქართველოში დაბეჭდილი წიგნების ტირაჟი საოცრად დიდი იყო, როგორც წესი, საეკლესიო წიგნები 1000 ეგზემპლარის რაოდენობით იბეჭდებოდა, ხოლო ისეთი წიგნები, როგორცაა „სახარება“, „დავითიანი“, „სამოციქულო“, „ლოცვანი“ მუორჯეჯერ და შესამოჯეჯერაც დიდი რაოდენობით გამოიცემოდა ხოლმე.

რამდენადაც წიგნის გამოცემის საქმე თანდათან ვითარდებოდა და წიგნებიც მრავლად გროვდებოდა, იმდენადვე ყალიბდებოდა წიგნით ვაჭრობის საქმიანობა – ჩნდებოდნენ წიგნის დამტარებულ-გამავრცელებელნი.

საქართველოში, კერძოდ, თბილისში წიგნით ვაჭრობის ძველი ცენტრი (XVII-XVIII ს.ს.) სიონის ტაძრის გასწვრივ ყოფილა მოგვიანებით XIX ს-ის 60-70-იანი წლებიდან წიგნით ვაჭრობამ ალექსანდრეს ბაღის აღმოსავლეთით მდებარე ქუჩაზე გადმოიღის. ამ დროიდან „აქ თუჯის მოაჯირზე რუსეთიდან ჩამოსული მოსიარულე წიგნით მოვაჭრენიც გამოუფენდნენ ხოლმე სხვადასხვა იაფფასიან წიგნებსა და სურათებს, რომელთაც მაშინ საკმაოდ ჰყოლია კლიენტი“¹.

მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებამდე თბილისში არ იყო წიგნის არც ერთი სპეციალური მაღაზია. ამ პერიოდში უპირატესად სასწავლებელში და ისიც ვარკვეულ დღესა და საათებში იყიდებოდა სასწავლო-სახელმძღვანელო წიგნები. მხოლოდ ბაზარში შეხვდებოდა კაცი წიგნის დამტარებელს.

¹ Уличная книжная торговля в Тифлисе Газ "Кавказ", 1877, № 38

წიგნის პირველი დიდი მალაზია თბილისში გაიხსნა 1840 წელს¹ წიგნით ვაჭრობის პიონერებად ძმები ენფიანჯიანცები ითვლებიან ისინი უმთავრესად ქართული, რუსული და სომხური წიგნებით ვაჭრობდნენ

მეცხრამეტე საუკუნის 40-იანი წლებიდან რამდენადმე გამოცოცხლებული წიგნის ვაჭრობა ყირიმის ომის წლებში შესაძინევად მინღებულა, მაგრამ 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან კვლავ გამოცოცხლდა. ამ მხრივ აღსანიშნავია 1857 წელს გახსნილი გ. ბერენშტამის წიგნის მალაზია, რომელმაც ამ პატრონის ხელში დიდი განვითარება პპოვა. ბერენშტამმა ამ საქმის შესასწავლად და წიგნების შესაძინად რამდენჯერმე ვეროპაშიაც იმოგზაურა.

1863 წელს იხსნება ტერ-მიქელიანის წიგნის მალაზია, რომლის გახსნასაც ილია ჭავჭავაძემ სპეციალური სტატია უძღვნა. ამ მალაზიაში იყიდებოდა თითქმის ყოველგვარი წიგნი ქართულ და უცხო ენებზე.

1871 წელს ს. ვართანოვი ხსნის წიგნის მალაზიას, სადაც იყიდება სომხური, ქართული და რუსული ბეჭდვითი სიტყვის პროდუქცია.

1878 წელს არსდება ზ. ჭიჭინაძისა და გრ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიები, სადაც უმეტესად ქართული წიგნები იყიდებოდა. გარდა ამისა, პერიოდულ გამოცემათა რედაქციებიც პატარა-პატარა „წიგნის მალაზიებს“ წარმოადგენდნენ. მაგალითად „ცისკარის“ (1852-1875), „საქართველოს მოაზრების“ (1863), „დროების“ (1866-1885), „ივერიის“ (1877 წლიდან) და სხვათა რედაქციებში ჩვეულებრივ იყიდებოდა ქართული წიგნები. რედაქციების, სტამბების და წიგნის მალაზიების გარშემო მაშინ თავს იყრიდა მთელი პროგრესული საზოგადოება, რომელიც იმავე დროს იყო წიგნის მთავარი მომხმარებელიც.

1879 წლის 31 მარტს თბილისში ფუძნდება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ (ქმწკგს), რომლის წესდების თანახმად: „საზოგადოება შეადგენს თავის საწიგნობროს, როგორც თავისთვის, ისე ხალხისთვის საკითხავად, აგრეთვე დახსნის წიგნების საწყობებს, რაც მუქთად და ფასით იქნება დასარიგებელი“. ეს საზოგადოება უმთავრესად გამოსცემდა საბავშვო, სახალხო და სასწავლო-პედაგოგიური ხასიათის წიგნებს.

¹ А Ерцов Книжное дело в Тифлисе Журнал "Кавказский книжный вестник", 1900, № 3

როდესაც წიგნების გამოცემა-გავრცელება საზოგადოებამ ფართო ნიადაგზე დააყენა, გახსნა მალაზიები წიგნების სარეალიზაციოდ; გარდა საწიგნებისა და მალაზიების გახსნისა „ვაიჩინა აგრეთვე წიგნის გამავრცელებელი აგენტების ქსელი ის აძლევდა, ვინც კი მოისურვებდა წიგნების გასაყიდად და, როდესაც გამოირკვა, რომ წიგნზე მოთხოვნილება იმიერ საქართველოში უფრო მეტად არის განვითარებული, ვიდრე ამიერ საქართველოში, საზოგადოებამ ქართლ-კახეთში სპეციალური დანიშნულების მუშაკი (აგენტი) დაიქირავა (მოსიარულე წიგნით მოვაჭრე), რომელსაც თვეში 20 მანეთს და გაყიდული წიგნების 10%-ს აძლევდა.¹

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსების პირველსავე წლებში დაარსდა აგრეთვე ორგანიზაცია, რომელსაც თავის სპეციალურ საქმიანობად წიგნის გამოცემა და გავრცელება ჰქონდა დასახული. ეს იყო – „წიგნის გამომცემელი და გამავრცელებელი ქართველთა ამხანაგობა“.

ამ ამხანაგობამ იმთავითვე, რაც შეიძლებოდა ფართო ნიადაგზე დააყენა თავისი საქმიანობა. ის ყოველთვის ყოველწლიურად სცემდა ათეული დასახელების წიგნს აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში, ანუ მე-19 საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის წიგნის გამოცემა საქართველოში 55-ჯერ და მეტჯერ გაიზარდა (იხ. ცხრილი 2).

„წიგნის გამომცემელმა და გამავრცელებელმა ქართველთა ამხანაგობამ“ თავისი წიგნების სარეალიზაციოდ 1891 წელს შექმნა საკუთარი გამავრცელებელი ქსელი, რომელიც ავრცელებდა, როგორც თვით ამხანაგობის, ისე ყველა სხვა გამომცემელთა პროდუქციას დასახელებულ პუნქტში: სოხუმი, ბათუმი, ფოთი, ოზურგეთი, სუფსა, ქუთაისი, რიონი, ზესტაფონი, ხარაგაული, ხაშური, გორი და მისი რაიონი, ასალციხე, თელავი, განჯა და განჯას რაიონი, ყარსი და სხვ.

ამავე 1891 წელს ამხანაგობის წლიური ბრუნვა 50000 მანეთს აღწევდა.² აღსანიშნავია, რომ თავისი პროდუქციის – წიგნის გავრცელება-რეალიზაციას „ქართველ გამომცემელთა და გამავრცელებელთა ამხანაგობაც“, ისევე როგორც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ უფრო დასავლეთ საქართველოში ახერხებდა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში.³

¹ ქუჭს ანგარიში 1893-1894 წწ., 1894, ტფილისი, გვ. 37

² წიგნის გამომცემელი და გამავრცელებელი ქართველთა ამხანაგობის ანგარიში, ტფ., 1892, გვ. 28.

³ იმავე გვ. 12

წიგნის გამოცემის მდგომარეობა საქართველოში
1884-1904 წლებში¹

წლები	დასახელების რაოდენობა	საერთო ტირაჟი
1884	48	6025
1885	79	95000
1886	77	95120
1887	81	98225
1888	88	108675
1889	86	110800
1890	90	104680
1895	64	88355
1899	94	126080
1904	162	334160

მე-19 საუკუნის ბოლოსთვის მთელი საქართველო მოფენილი იყო ქართული წიგნის გამავრცელებელი ქსელით, ხოლო მარტო თბილისში 1900 წლისათვის იყო 60-ზე მეტი მაღაზია და კიოსკი.

„წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ქართველთა ამხანაგობამ“ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ ერთად დიდი როლი ითამაშა საქართველოში წიგნის საქმის განვითარებაში. ეს როლი შემდგომში მდგომარეობს:

- ფორმირებულ იქნა განსაზღვრული ძალა, რომელსაც შეეძლო ეწარმოებინა მოლაპარაკებები სახელმწიფოებრივ ორგანოებსა და სამსახურებთან წიგნის პროდუქციის ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით წიგნის გავრცელების სტიმულირების მიზნით;
- ქმნიდა წიგნის პროდუქციის რეალიზაციის განსაზღვრულ საშუალებათა ან გამკაცრებულ პირობებს კონკრეტულ ფაქტორებზე დამოკიდებულებით;
- განსაზღვრა წიგნით ვაჭრობის ფორმები, მეთოდები, პირობები, ეკონომიკური ურთიერთობები წიგნით ვაჭრობის/სუბიექტებს შორის.

„წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ქართველთა ამხანაგობა“ დაკავებული იყო წიგნით ვაჭრობის ტექნოლოგიასა და ორგანიზაციასთან დაკავშირებული რიგი საკითხების გადაჭრით. ისინი მდგომარეობდნენ შემდგომში:

¹ ცხრილი შედგენილია საქართველოს წიგნის სახელმწიფო კალატის მონაცემების საფუძველზე.

- წიგნით ვაჭრობაში ერთიანი საფასო და სატარიფო პოლიტიკის შემუშავება;
- წიგნის გამოცემულთა და მოვაჭრეთა შორის ეკონომიკური ურთიერთობების პრინციპების შემუშავება;
- იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც ეხებოდა წიგნით ვაჭრობის საბითუმო სასაწყობო და სატარო მურუნების განვითარებას, მის განთავსებას ქვეყნის ქალაქებსა და რეგიონების მიხედვით;
- აწარმოებდა დისპროპორციების აღრიცხვასა და კონტროლს, რომლებიც ყალიბდებოდა წიგნით ვაჭრობაში - წიგნის პროდუქციის დეფიციტით და მისი ჭარბი სასაქონლო მარაგით

შემოსვენებულ ორგანიზაციათა გარდა, აღნიშნული პერიოდის უკანასკნელ ხანებში საგრძობლად გაიზარდა და განვითარდა სხვადასხვა კერძო სავაჭრო-საგამომცემლო ორგანიზაციები, რომელთა ხელში ამ საქმიანობამ შემოსავლიანობის, რენტაბელობის ხასიათი მიიღო და რომელთა ნაწილმა 1920-1921 წლებამდე მოაღწია. გარდა ამისა, წიგნის გამრავლებამ გამოიწვია მისი გავრცელების ზერზების რეკლამის განვითარებაც. ამ დროიდან მოყოლებული ქართული ჟურნალ-გაზეთები სავსეა გამოცემულთა და გამავრცელებულთა განცხადებებით.

წიგნის პროდუქციის მოზღვავებამ ბაზარზე მასტიმულეული როლი ითამაშა წიგნით მოვაჭრე ახალი ტიპის - ბუკინისტების ფორმირებაში

უწინარესად უნდა ითქვას, რომ ქართული წიგნი, მასობრივად, მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოდან გახდა ბუკინისტური ვაჭრობის საგანი განსაკუთრებით 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, რასაც მოჰყვა საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფასეულობათა ერთგვარი გადაფასება, ერთი სიტყვით, ძველის და დაძველებულის, მათ შორის წიგნადი სიმდიდრის უფრო დაძველება. ამ ვითარებამ წიგნადი ფონდის თემატურად და დანიშნულებით გარკვეული ნაწილი და რიგ შემთხვევაში მათი მფლობელობის შესამჩნევი ნაწილიც, ჩამოაცილა საზოგადოებრივი ცხოვრების სარბილზე მიმდინარე ახალ ცენტრალურ არხებს. სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი წიგნით ვაჭრობაში ძველი წიგნების გამრავლებას.

ამ მოვლენებმა განსაკუთრებით სიძლიერით იჩინა თავი 1917 წლის რევოლუციის შემდეგ. ბუკინისტურ ბაზარზე განჩნდა აუარებელი წიგნი. იყო

შემთხვევები, როდესაც კერძო ბიბლიოთეკები იყიდებოდა მთლიანადაც კი, და აი, ასეთი წიგნების უმრავლესობამ ბუკინისტთა მაღაზიებში კპოვა თავშესაფარი

შემდგომში სახელმწიფოებრივმა სტრუქტურებმაც მიაქცია ყურადღება ძველი წიგნით ვაჭრობის საქმეს და პირველი ქართული სახელმწიფო ბუკინისტური წიგნის მაღაზია გაიხსნა 1929 წელს, რომელსაც გასაგები მიზეზების გამო „საბჭოთა ბუკინისტი“ უწოდეს

სამწუხაროდ, საქართველოში ბუკინისტურ ვაჭრობაზე ძალიან ცოტა არის დაწერილი, რაც გამოსწორებას საჭიროებს. მიუვანჩია, რომ ბუკინისტური წიგნი ცოდნის, კულტურის გავრცელებას და გარკვეული გაგებით მის აღდგენა-განახლებასა და განმტკიცებას ემსახურება. ვინ უწყის ძველ წიგნებში რამდენი საინტერესო, უკეთ რომ ვთქვათ დავიწყებული და ჩვენი დროისთვის ფრიალ საჭირო ინფორმაციაა დაცული, ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის კონტაქტად, ფაქიზად შენახული სიბრძნე, სინათლე და ენერჯია შენახული.

წიგნით ვაჭრობის განვითარების განსაკუთრებულ ეტაპს ყოფილ სსრ კავშირში წარმოადგენს 1917-1990 წლები, ხოლო საქართველოში 1921-1990 წწ. ამ პერიოდს წიგნის ისტორიის სპეციალისტები მაშინ განიხილავდნენ როგორც „ერთადერთ სწორს, რომელსაც შეუძლია გაუძლოს ნებისმიერ კრიტიკას“¹. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი იყო და წიგნით ვაჭრობა, ისე როგორც სხვა საქონლით ვაჭრობა, ხორციელდებოდა ცენტრალიზებული წესით.

საქართველოს რესპუბლიკაში წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციას წარმოადგენდა „საქწიგნი“, რომელიც 1934 წელს დაარსდა. იგი ამუშავებდა რესპუბლიკის წიგნის ყველა საგამომცემლო თემატიკურ გეგმას. გარდა ამისა, წიგნით ვაჭრობის საკავშირო ცენტრიდან („სოიუზბიგვა“) ღებულობდა 70-ზე მეტი დასახელების თემატიკურ გეგმას, ე.წ. „შეკვეთის ბლანკებს“ და წიგნები შემოქონდათ როგორც სოციალისტური ქვეყნებიდან, ისე კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნებიდან.

„საქწიგნის“ კქონდა წიგნის მაღაზიების ფართო ქსელი, როგორც თბილისში, ასევე რესპუბლიკის მასშტაბით. მარტო თბილისში მათი რიცხვი გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს 80-ს აჭარბებდა. გარდა ამისა, აჭარაში

¹ Утков В Т Что нужно знать каждому о книжной торговле М, 1980, стр 6

„საქწიგნის“ 15 (მარტო ბათუმში 6); აფხაზეთში – 12 (სოხუმში 5); ცხინვალში – 4 მაღაზია ფუნქციონირებდა¹ „საქწიგნის“ მაღაზიები ფუნქციონირებდა რესპუბლიკის ყველა დიდ ქალაქში, რომელთა საშუალებითაც ახორციელებდა წიგნით ვაჭრობას

„საქწიგნს“ გააჩნდა სპეციალიზებული წიგნის მაღაზიები, სადაც იყიდებოდა სპეციალური (მაგალითად, პოლიტიკური, მხატვრული, ტექნიკური, ეკონომიკური, საბავშვო, სამედიცინო და ა.შ.) ხასიათის ლიტერატურა.

„საქწიგნის“ გარდა წიგნით ვაჭრობას ეწეოდა ცკკავშირი (საქართველოს სამომხმარებლო ორგანიზაციების ცენტრალური კავშირი), რომელიც წიგნებით ამარაგებდა სოფლის მოსახლეობას.

ძალიან დიდ განვითარებას მიაღწია საგამომცემლო საქმიანობამ 1920-1990 წწ. შეიქმნენ და წარმატებით ფუნქციონირებდნენ შემდეგი გამომცემლობები: „საბჭოთა საქართველო“, „განათლება“, „ნაკადული“, „მერანი“, „ხელოვნება“, „სამშობლო“, „მეცნიერება“, თსუ-ის გამომცემლობა. მათ გარდა „აღაშარა“ და „საბჭოთა აფხაზეთი“ – აფხაზეთში, „საბჭოთა აჭარა“ – აჭარაში, „ირისტონი“ – ცხინვალში, რომლებიც დიდი რაოდენობით წიგნებსა და ბროშურებს უშვებდნენ (იხ. ცხრილი 3)

ცხრილი 3

წიგნებისა და შრომების გამოცემა საქართველოს სსრ-ში

1920-1990 წწ.²

წლები	დასახელების ტირაჟი		მათ შორის ქართულ ენაზე			
	რაოდენობა	ათასი ეგზემპტი	დასახელების რაოდენობა	%-ში დასახელებების საერთო რიცხვი	ტირაჟი ათასი ეგზემპტი	%-ში შოლიან ტირაჟში
1920	159	417,5	132	83,0	380,0	91,0
1940	1622	7222,0	1189	73,3	1011,0	55,5
1945	482	2689,0	363	75,3	216,0	80,6
1950	1380	8181,9	1094	79,2	6934,0	84,7
1955	2179	10192,9	1517	69,6	8162,8	80,0
1960	2519	13243,2	1805	71,6	9329,6	70,4
1965	2255	12821,2	1672	74,1	9616,2	75,0
1970	2211	15943,5	1610	72,8	12960,5	81,2
1975	2032	15645,5	1407	69,2	12965,8	82,8
1980	2103	14473,5	1382	65,7	11350,0	85,7
1985	2531	21933,1	1713	67,7	18422,7	84,0
1990	1659	16969,8	1278	77,0	15034,8	88,5

¹ მონაცემები აღებულია შპს „საქწიგნიდან“

² ცხრილი შედგენილია საქართველოს წიგნის სახელმწიფო პალატის მონაცემების საფუძველზე.

ასე რომ შეგვიძლია ვთქვათ, მეოცე საუკუნეში წიგნით ვაჭრობამ საქართველოში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. თუმცა იგი დამოუკიდებლად არ ვითარდებოდა და განიხილებოდა საბჭოთა წიგნით ვაჭრობის კონტექსტში. ამიტომ რამოდენიმე სიტყვით შევეხეთ საბჭოთა წიგნით ვაჭრობას.

წიგნით საბჭოთა ვაჭრობას ახორციელებდა წიგნით ვაჭრობის საკავშირო სახელმწიფოებრივი ორგანო „სოიუზკნიგა“, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით იმართებოდა მთელი კავშირის მასშტაბით წიგნების წარმოება-რეალიზაციის საქმე.

წიგნით საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკურ პრობლემას, ძირითადად რუსულ ლიტერატურაში, მივხვდნენ ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები. მიუხედავად იმისა, რომ მათ გააჩნიათ დიდი სამეცნიერო ფასეულობა, ეს ნაშრომები სრულდებოდა წიგნით ვაჭრობის სფეროს იდეოლოგიზაციის და პოლიტიზაციის პირობებში. წიგნით ვაჭრობის ეკონომიკის სფეროში სამეცნიერო გამოკვლევების ავტორები მუშაობდნენ უმთავრესად საბჭოთა წიგნის გავრცელების უპირატესობათა რეალიზაციაზე. ამასთანავე მათი ნაკლოვანებები აიხსნებოდა სუბიექტური მიზეზებით – შეცდომებით წიგნით ვაჭრობის ცალკეული სუბიექტების მუშაობაში

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ წიგნით ვაჭრობა სსრ კავშირში ფუნქციონირებდა მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში. ისეთი საბაზრო კატეგორიები, როგორცაა საქონელი, ფასი, მოგება, კრედიტი და ა.შ. ყოველთვის ახასიათებდნენ წიგნით ვაჭრობის პრაქტიკას, მაგრამ საბაზრო მექანიზმის ზემოქმედების ძალა დაბალი იყო, წიგნით ვაჭრობა ხელოვნურად იყო შევიწროვებული წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივი ორგანოების (სტრუქტურების) მიერ.

წიგნის გავრცელების სოციალისტური სისტემის მშენებლობა დაკავშირებული იყო წიგნით ვაჭრობის / ძლიერი სახელმწიფოებრივი სისტემის შექმნასთან, რომელსაც კჰონდა როგორც დადებითი მხარეები, ისე ნაკლოვანებები (იხ. ცხრილი 4).

სამწუხარო რეალობაა ის, რომ საქართველოში წიგნით ვაჭრობის ეკონომიკის სფეროში არ არის სამეცნიერო კვლევები ჩატარებული. შესაბამისად, წიგნით ვაჭრობის საქმის სპეციალისტების დეფიციტია. ჩვენი სადისერტაციო

ნაშრომი ერთადერთია საქართველოს დამოუკიდებლობისა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში. ამიტომ ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოიყენეთ ადრინდელი სტატისტიკური და სხვა მასალები, ვინაიდან ჯერჯერობით არ არის მოწესრიგებული წიგნით ვაჭრობის სტატისტიკა.

წიგნით ვაჭრობის განვითარების შემდგომი ეტაპი საქართველოში დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში ამ დროიდან ქვეყნის ეკონომიკა, მათ შორის წიგნით ვაჭრობასა, რადიკალურ ტრანსფორმაციას განიცდის ამ სფეროში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების შედეგად.

ცხრილი 4

წიგნით ვაჭრობის სოციალისტური სისტემის უპირატესობანი და ნაკლოვანებები

უპირატესობანი	ნაკლოვანებანი
<p>ძლიერი სახელმწიფოებრივი სისტემა საბითუმო წიგნით ვაჭრობაში</p> <p>წიგნით ვაჭრობის საბითუმო რგოლის მაღალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.</p> <p>მოწესრიგებული და საკმაოდ ეფექტიანი სისტემა ბიბლიოგრაფიული და სარეკლამო სამუშაოებისათვის, ასევე ასორტიმენტის შესწავლისათვის</p> <p>დოკუმენტრუნვის მაღალი სისწრაფე, რომელიც უზრუნველყოფდა წიგნით ვაჭრობის ოპერატიულ მართვას.</p> <p>ეკონომიკური ანგარიშების ცენტრალიზაცია და სტანდარტიზაცია წიგნით ვაჭრობაში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების განვითარება წიგნის ვაჭრობის სფეროში</p> <p>წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივი დაფინანსება და ხელშეწყობა</p> <p>შედარებით დაბალი საცალო ფასები წიგნის პროდუქციაზე.</p> <p>ძლიერი სახელმწიფოებრივი დახმარება სოციალურად მნიშვნელოვან ლიტერატურის რეალიზაციაზე</p>	<p>ეკონომიკური მაჩვენებლების ღირებულებით დაგეგმვა, მათი კორექტირება შემდგომი სტრუქტურების მიერ</p> <p>დეფიციტური ეკონომიკა, გამოცემლის პრიმატი (სოციალოგოური გამოკვლევების მონაცემებით ერთობლივი მოთხოვნა წიგნის პროდუქციაზე კმაყოფილდებოდა 45-50%-ით) მკაცრი ცენზურა სარეალიზაციო გამოცემებზე</p> <p>წიგნით მოვაჭრე საწარმოების იურიდიული და ეკონომიკური თავისუფლების უქონლობა</p> <p>იდეოლოგიური ბარიერები წიგნის პროდუქციის იმპორტსა და ექსპორტზე</p> <p>წიგნით ვაჭრობის საცალო საწარმოების შედარებით დაბალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა</p> <p>დიდი ასორტიმენტული დისპროპორციები: დეფიციტისა და ზერნობათილი მარაგის შესაბამე რევიონებისა და წიგნითმოვაჭრე სისტემებთან.</p> <p>დიდი მშართველობითი დანახარჯები და არაეფექტიანი დოკუმენტრუნვა</p>

წინით ვაჭრობას ახორციელებს, უფრო სწორად, განაგრძობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) „საქწიგნი“, მაგრამ არა აღრინდელი დატვირთვით. ამას თავის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები გააჩნია. მოხდა წიგნის მალაზიების პრივატიზება. გაყიდული ობიექტების მეპატრონეებმა (მესაკუთრეებმა) კი მალაზიებს შეუცვალეს პროფილი, რამაც საგრძნობლად შეამცირა წიგნის მალაზიების რაოდენობა. საერთოდ გაუქმდა ცეკავშირის აპარატში წინით ვაჭრობის სამმართველო, რამაც დიდი ზიანი მიაყენა სოფლის მოსახლეობის წინით მომარაგებას.

მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი კრიზისული ეკონომიკური მდგომარეობისა, საბედნიეროდ აღმოჩნდნენ ისეთი პიროვნებები, რომლებმაც მიზნად დაისახეს წინით ვაჭრობის სფეროს გაჯანსაღება.

შეიქმნა მრავალი ახალი გამომცემლობა და წიგნის მალაზია, რომლებმაც დიდი პოპულარობა მოიპოვეს და, ჩვენი აზრით, წინ წასწიეს წინით ვაჭრობის განვითარების საქმე. განსაკუთრებით წარმატებით მუშაობენ შემდეგი გამომცემლობები: „აზრი“ (დაარსების წელი 1993), „არტანუჯი“ (2000), „ბაკურ სულაკაური“, „გრასე“ (1999), „დიოგენე“ (1995), „ლოგოსი“ (1996), „მარსი“ (1996), „ოაზისი“ (1996), „სარი“ (1995), „სანი“ (1993) და სხვ. მათ საგამომცემლო პრიოპიტეტებს მიეკუთვნება: თანამედროვე და კლასიკური მხატვრული ლიტერატურა, დოკუმენტური პროზა, ისტორიული ლიტერატურა, საშუალო და უმაღლესი სკოლებისათვის სახელმძღვანელოების გამოცემა, იურიდიული, ეკონომიკური ლიტერატურა, საბავშვო ლიტერატურა, სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა, სასპორტო ლიტერატურა, თარგმანები და სხვ. გამომცემლობათა მიხედვით წიგნებისა და ბროშურების გამოცემის შესახებ 2002-2003 წწ. წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრილი 5).

2002 წელს შეიქმნა პირველი ელექტრონული გამომცემლობა, რომელიც უშვებს ლიტერატურას ელექტრონული ფორმატით. პირველი ელექტრონული წიგნის შექმნის ინიციატორი საქართველოში არის „საქტექნიფორმი“, რომელიც წარმოადგენს ტექნიკური და ეკონომიკური ინფორმაციის წამყვან ცენტრს საქართველოში. საქტექნიფორმთან არსებობს მუდმივმოქმედი საგამოყენო დარბაზი „ცოდნის ცენტრი“, სადაც წარმოდგენილია ტექნიკურ-ეკონომიკური წიგნები, თარგმანები, ლექსიკონები და ა.შ. „ცოდნის ცენტრი“ იღებს შეკვეთებს უცხოური

ლიტერატურის გამოწერაზე, პერიოდული გამოცემების ხელმოწერაზე, ეწვეა საბიბლიოთეკო მომსახურებას, სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის მოძიებას.

ცხრილი 5

წიგნები და ბროშურები გამომცემლობების მიხედვით 2002-2003 წწ.¹

გამომცემლობები	რაოდენობა		ტირაჟი (ათს.)	
	2002	2003	2002	2003
„საქართველო“	20	26	1,5	3,9
„განათლება“	22	27	90,2	90,4
„თ ს უ“	32	141	12,6	43,8
„მეცნიერება“	13	21	10,0	10,8
„მერანი“	23	40	23,5	31,2
დანარჩენი გამომც (საუწყებო)	335	330	36,1	427,1
სულ	445	585	499,0	607,2

აქ შესაძლებელია წიგნის გამომცემელთა და მომხმარებელთა შეხვედრებისა და პრეზენტაციების მოწყობა. ახალ გამომცემლობებთან ერთად თავიანთ საქმიანობას მეტ-ნაკლებად წარმატებით განაგრძობენ ძველი გამომცემლობები: „მერანი“, „ნაკადული“, „განათლება“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა და სხვ.

ქართული გამომცემლობის მიერ გამოშვებული წიგნის პროდუქციით ვაჭრობას ეწვეიან როგორც ძველი, შპს „საქწიგნის“ დაქვემდებარებაში მყოფი წიგნის მაღაზიები, ასევე ისეთი პოპულარული ახალი წიგნის მაღაზიები თბილისში, როგორცაა: „პარნასი“ (დაარსების წელი 2002), „პროსპეროს ბუქს“ (1999), „ჯი ენდ ემი“ (1996), „შალი“ და სხვ.

წიგნით ვაჭრობის შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა ჩათვალოს 1996 წელს შექმნილი კერძო პირთა (გამომცემელთა, ავტორთა, რედაქტორთა და სხვა) გაერთიანება, რომელსაც „ქართველ გამომცემელთა ასოციაცია“ ეწოდა.

1998 წელს იგი გარდაიქმნა გამომცემელ საწარმოთა და ორგანიზაციათა გაერთიანებად და ეწოდა „საქართველოს წიგნის გამომცემელთა“ ასოციაცია.

2000 წელს ასოციაციაში გაერთიანდნენ წიგნის გამავრცელებლები (ლისტრიბუცია, საბითუმო და საცალო ვაჭრობა) და ასოციაციას ეწოდა

¹ ცხრილი შედგენილია საქართველოს წიგნის სახელმწიფო კატალის მონაცემების საფუძველზე

„საქართველოს წიგნის გამოცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“. ასოციაციაში შექმნილია ორი სექცია – გამოცემელთა და გამავრცელებელთა სექციები, რომელთა საქმიანობას კოორდინირებას უწევენ ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტები ასოციაციას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, ხოლო მმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ:


- საერთო კრება
- გამგეობა (პრეზიდენტი, ორი ვიცე-პრეზიდენტი და ოთხი წევრი – აირჩევიან 2 წლის ვადით)
- კომიტეტები
- ფილიალები და სამსახურები
- სამდივნო (აღმასრულებელი დირექტორი, ფინანსური მენეჯერი, პროექტების მენეჯერი)

„საქართველოს წიგნის გამოცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ ძირითადი საქმიანობაა: წიგნის სექტორისა და მისი მონაწილეთა საერთო ინტერესების განსაზღვრა, წარმომადგენლობა და დაცვა, წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღის ინიცირება და ორგანიზება საქართველოში, საგამომცემლო საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივები, წიგნზე დღე-ის საწინააღმდეგო კომპანია, სპეციალური მომსახურება და კონსულტაციები წვერთათვის წიგნის სექტორთან დაკავშირებულ საკითხებზე


საქართველოს წიგნის გამოცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ მოამზადა გამოცემელთა და წიგნით მოვაჭრეთა „პროფესიული ეთიკის კოდექსი“, რომელიც მიიღეს 2003 წელს. ასოციაციის ძალისხმევით საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანება, რითაც დაწესდა პროფესიული დღე – „წიგნისა და საავტორო უფლებების დღე“ – 23 აპრილი. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ ასევე გაიზიარა ასოციაციის წინადადება და მიიღო გადაწყვეტილება, მომზადდეს და 2004 წლის 23 აპრილს გამოშვებულ იქნეს მარკა „23 აპრილი წიგნისა და საავტორო უფლებების დღე“.

1997 წელს აღნიშნულმა ასოციაციამ დააფუძნა თბილისის წიგნის ფესტივალი, რომელიც 2000 წლიდან ტრადიციული გახდა და ყოველ წელს იმართება.

ავტორს ჰქონდა ბედნიერება ყოფილიყო ბოლო ორი ფესტივალის მონაწილე და უშუალოდ განეცადა ის სიხარული და სიამოვნება, რაც ამ ფესტივალს ახლდა თან. ბოლო რიგით მიექცეს წიგნის ფესტივალი – გამოცემლებისა და წიგნის მაღაზიების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა ჩატარდა 2004 წლის 16-19 ივნისს. ფესტივალმა უამრავი ხალხი მოიზიდა. უნდა აღინიშნოს, რომ მონაწილეთა და დამთვალიერებელთა რაოდენობა ფესტივალიდან-ფესტივალამდე საგრძნობლად იზრდება, რომელთა ზრდის დინამიკა მოცემულია ნახაზებზე 1 და 2



ნახ.1. მონაწილეთა რაოდენობის ზრდის დინამიკა



ნახ.2. დამთვალიერებელთა რაოდენობის ზრდის დინამიკა

წიგნის მოყვარულებთან შესახვედრად სამზადისი ორგანიზატორებმა რამდენიმე დღით ადრე დაიწყეს. ფესტივალის გახსნის დღეს კი, დილით მოსულ დამთვალიერებლებს ყველაფერი წესრიგში დახვდათ გამოცემლებმა მკითხველს უამრავი ახალი გამოცემა შესთავაზეს. იყო ძველი გამოცემებიც, ისეთი რომელიც მკითხველის ინტერესს ყოველთვის იწვევდა

ფესტივალის დღეებში არავინ საუბრობდა წიგნის დანიშნულებასა და მნიშვნელობაზე იქ ამის საჭიროება ნამდვილად არ იყო. უბრალოდ ითქვა, რომ ეს ის ღონისძიებაა, რომელიც ყველას ენატრება და რომლის დეფიციტს ყველა გრძობს. ფაქტობრივად, ეს იყო ახალი წიგნების, გამოცემების პრეზენტაციების, ავტორებთან შეხვედრის მონატრებული დღეები

აღნიშნული ფესტივალის ჩატარებამ საზოგადოებაში კიდევ უფრო მეტი ინტერესი გააღვივა წიგნით ვაჭრობის სფეროს მიმართ, რაც იმის წინაპირობაა, რომ წიგნით ვაჭრობის საქმე კიდევ უფრო მეტ განვითარებას ჰპოვებს საქართველოში. თუმცა უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოებაც: წიგნით ვაჭრობის სფეროს გამოცოცხლება ძირითადად ხდება დედაქალაქში, ხოლო პერიფერიებში ამ მხრივ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მიზანშეწონილია წიგნით ვაჭრობის ფესტივალები საქართველოს სხვა რეგიონებშიც ჩატარდეს, რაც ხელს შეუწყობს წიგნის პროპაგანდას და შესაბამისად, წიგნით ვაჭრობის შემდგომ განვითარებას.

1.3. წიგნით ვაჭრობის ტრანსფორმაცია საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების პირობებში

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ძირფესვიანად ცვლის წიგნით ვაჭრობის ფუნქციონირების იმ ჩამოყალიბებულ სისტემას, რომელიც საბჭოურ პერიოდში არსებობდა. როგორც მთლიანად საბჭოთა ვაჭრობა, ასევე წიგნით ვაჭრობის სფეროც მონოპოლიზებული იყო და მისი მართვა ცენტრალიზებულად ხდებოდა სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მიერ. წიგნით ვაჭრობის საქონელბრუნვაში ყველაზე დიდი ხვედრითი წონა სახელმწიფო სექტორზე მოდიოდა. ყველა ფუნქცია, რომელიც დაკავშირებული იყო წიგნით ვაჭრობის საქმიანობის ორგანიზაციასთან, მართვასა და დაგეგმვასთან ყოფილ სსრ კავშირის ტერიტორიაზე ეკისრებოდა გამოცემების, პოლიგრაფიის და წიგნით ვაჭრობის

სახელმწიფო კომიტეტს. წიგნით ვაჭრობა პოლიტიზებული იყო და ასრულებდა იდეოლოგიურ ფუნქციას.

დღეისათვის წიგნით ვაჭრობის მართვის და დაგეგმვის ადმინისტრაციულ-მმართველური სისტემა ლიკვიდირებულია. ძირითადად ჩამოყალიბდა საბაზრო სტრუქტურები – სააქციო საზოგადოებები (სს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები (შპს), კერძო საწარმოები და ა.შ. წიგნით ვაჭრობის სფეროში თანდათანობით იზრდება პირდაპირი სამეურნეო კავშირურთიერთობა საწარმოებს, წიგნით მოვაჭრეებსა და წიგნის პროდუქციის მწარმოებლებს, გამომცემლებს შორის. წიგნით ვაჭრობის საწარმოები (მაღაზიები) თავისუფალი მეწარმეობის საფუძველზე ახორციელებენ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციას, დაგეგმვასა და მართვას. კარდინალურად იზრდება საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის როლი და მნიშვნელობა, გაფართოებულია მისი შესაძლებლობები, გამოყენების სფეროები.

საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების ადრე არსებულ დოგმებსა და სტერეოტიპებზე უარი ითქვა. ქვეყანაში უკვე აღარ არსებობს წიგნით ვაჭრობის განვითარების ერთიანი გეგმა, რომელშიც ჩადებული იყო ცენტრალიზებული დაგეგმვის პრინციპები: დემოკრატიული ცენტრალიზმი და გეგმის პარტიულობა, გეგმის დირექტიულობა და ა.შ. ამასთანავე მკვეთრად შემცირებულია ერთიანი ეკონომიკური მაჩვენებლების, ეკონომიკური ნორმატივების, ერთადერთი „სწორი“ მეთოდოლოგიისა და თეორიული პოსტულატების როლი და საქმიანობის სფერო. წიგნით ვაჭრობა იწყებს თავისუფალი მეწარმეობის კანონებით განვითარებასა და ფუნქციონირებას.

ამგვარად, საბაზრო ურთიერთობები თამაშობენ გადაწყვეტ როლს წიგნით ვაჭრობის საქმიანობაში. ეს როლი შეიძლება გამოისახოს შემდეგი ძირითადი მომენტებით:

- წიგნით ვაჭრობის დეცენტრალიზაცია, დირექტიული მართვის ძველი ორგანიზაციული სტრუქტურების ნგრევა და ლიკვიდაცია;
- საბითუმო და საცალო რგოლებში საბაზრო სტრუქტურების – დამოუკიდებელი ქვედანაყოფების ჩამოყალიბება;
- წიგნით ვაჭრობის საწარმოების სრულ სამეურნეო დამოუკიდებლობაზე გადასვლა, მათი კომერციალიზაცია;

- წიგნით ვაჭრობის საწარმოებს შორის საფინანსო-სამეურნეო კავშირების განვითარება და გაძლიერება;
- საფინანსო-საკრედიტო ინსტრუმენტების გამოყენების სფეროებისა და შესაძლებლობების გაფართოება, მათი როლის გაძლიერება;
- საბანკო სისტემის შექმნა, რომელიც მოემსახურება წიგნით ვაჭრობის საქმიანობას.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში წიგნით ვაჭრობის ტრანსფორმირება შეიძლება განსორციელდეს სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბებით (იხ. დანართი 1).

ამჟამად ჩვენთან წიგნის გავრცელების სახელმწიფო სისტემა, რომელიც არადინამიური იყო უარყოფილია ამ უარყოფის მთავარი არგუმენტი იყო ის გარემოება, რომ წიგნის გავრცელების სახელმწიფო სისტემისათვის რთული იყო შევუებოდა თავისუფალ ფასწარმოქმნას, რომელიც ეფუძნება მხოლოდ წიგნის ბაზრის კონიუნქტურას

მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წიგნის გავრცელების სახელმწიფო საბითუმო სისტემას ლიკვიდაციამდე გააჩნდა ძალზე განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სოლიდური გამოცდილება, რომელიც ჩამოყალიბდა წლების განმავლობაში ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის პირობებში. ამ სისტემას შეეძლო შეესრულებინა წიგნის პროდუქციის დიდმასშტაბიანი საკონტინენტო მიწოდებები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ამასთანავე, დარეგულირებული იყო სპეცილიტერატურაზე სპეციალისტებისათვის წინასწარი შეკვეთების სისტემა.

წიგნით სახელმწიფო ვაჭრობის გამოცდილებით დადგინდა, რომ მსხვილი ცენტრალიზებულ სისტემას გააჩნია ეკონომიკური უპირატესობანი, რაც დაკავშირებულია რესურსების ეკონომიასთან. 2003-2004 წლებში ჩვენ მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს მიმოქცევის ხარჯების დონის მკვეთრად გამოხატული დამოკიდებულება წიგნით ვაჭრობის საქონელბრუნვის სიდიდეზე (იხ ცხრილი 6)

ცხრილიდან ჩანს, რომ რაც უფრო დიდია საქონელბრუნვის მოცულობა, მით უფრო დაბალია მიმოქცევის ხარჯების დონე.

წიგნით სახელმწიფო ვაჭრობის დეცენტრალიზაციისა და პრივატიზაციის პროცესი დაკავშირებულია მიმოქცევის ხარჯების ზრდის ტენდენციასთან ამიტომ ეს მომენტი ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ წიგნით ვაჭრობის საწარმოს ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის პროგნოზირებისას.

წიგნით სახელმწიფო ვაჭრობის თავისებურებანი გვიჩვენებენ წიგნის გაჯრცელების ასეთი სისტემისგან უარის თქმის უსაფუძვლობას. ჩვენი აზრით, ეს სისტემა უნდა არსებობდეს და ვითარდებოდეს საბაზრო სისტემის პარალელურად, ოღონდ საბაზრო მექანიზმზე დამყარებული და სრულყოფილი. გამოძინარე აქედან მივანია, რომ წიგნით სახელმწიფო ვაჭრობის საბითუმო რგოლის პრივატიზაციის საკითხი არ იყო მეცნიერულად დასაბუთებული.

ცხრილი 6

მიმოქცევის ხარჯების დონის დამოკიდებულება წიგნით ვაჭრობის საქონელბრუნვის სიდიდეზე¹

წიგნით ვაჭრობის საწარმოთა ჯგუფები საქონელბრუნვის (ლარებში) სიდიდით	მიმოქცევის ხარჯების დონე საქონელბრუნვასთან %-ში
0,5 - 1,0	23,21
1,0 - 2,0	15,60
2,0 - 5,0	12,59
5,0 - 10,0	12,91
10,0 - 20,0	11,68
20 მაღლა	10,93

წიგნით ვაჭრობის ფორმებისა და მეთოდების კომერციალიზაციის პროცესი შეუძლებელი იყო წიგნით ვაჭრობის საცალო ქსელის განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის გარეშე გასული საუკუნის 90-იან წლების მეორე ნახევრისათვის კომერციალიზაციამდე „მივიდნენ“ წიგნით ვაჭრობის საცალო ქსელის თითქმის ყველა საწარმო. ჯერ კიდევ, არ ჰქონდათ რა ანგარიშსწორების საკუთარი ანგარიში, ყოველი მათგანი იმყოფებოდა დამოუკიდებელ საბუღალტრო ბალანსზე, დებდა პირდაპირ სამეურნეო ხელშეკრულებებს საქონლის მომწოდებლებთან, ფლობდნენ სრულ დამოუკიდებლობას საკუთარი სამეურნეო

¹ ცხრილი შედგენილია თბილისის ხუთი სხვადასხვა სიდიდის მაღაზიაზე ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე.

საქმიანობის განხორციელებაში. (წიგნით ვაჭრობის კომერციალიზაციის პროცესი ნაჩვენებია სქემატურად – იხ. დანართი 2)

მაღაზიების პირველი ვაჭურვისათვის დამახასიათებელია ეკონომიკური დამოუკიდებლობის ყველაზე მაღალი ხარისხი. მათი დამოუკიდებლობა ვლინდება იმაში, რომ ისინი არიან საკუთარი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სრულყოფილებიანი განმკარგულებები. სახელმწიფო სტრუქტურები საერთოდ არ ერევა მათ საქმიანობაში ასეთი მაღაზიები ზუსტად რეაგირებენ ბაზრის კონუნქტურაზე. წიგნით ვაჭრობის საცალო ქსელის კომერციალიზაციის პირველ ეტაპზე ასეთი ტიპის მაღაზიები მცირე რაოდენობით იყო, მაგრამ შემდგომ გაძულებით იზრდებოდა მათი ხვედრითი რაოდენობა.

საცალო ქსელის წიგნით ვაჭრობის კომერციული საწარმოები სიბნელებს განიცდიან ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: დაბალი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, ახალ პირობებში მუშაობის გამოუცდებლობა, მაღალკვალიფიციური კადრების დეფიციტი და სხვა ითვალისწინებენ რა ამ სიბნელებს და კონკურენციის აუცილებლობას წიგნით ვაჭრობის სხვა საწარმოებთან მიმართებაში, ასეთი მაღაზიები სშირად წიგნის საქონელს ნაწილობრივ მაინც სარეალიზაციოდ ცვლიან უფრო სარფიანი (მოგების მომტანი) საქონლით. ეს კიდევ ერთი მიზეზია წიგნით ვაჭრობაში სახელმწიფოს როლის აღდგენისათვის. კარგი იქნება წიგნით ვაჭრობის სისტემაში სახელმწიფოებრივ გამომცემლობებსა და უწყებებს ჰქონდეთ წიგნის მაღაზიების ქსელი და წიგნით ვაჭრობაში იყოს სახელმწიფოებრივი სექტორიც

საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების კვალობაზე წიგნით ვაჭრობაში შეიძლება შეიქმნას წიგნის საბითუმო გავრცელების ალტერნატიული, მათ შორის სახელმწიფოებრივი ფორმები.

ამჟამად საქართველოში არის მცდელობა შეიქმნას ბეჭდვითი პროდუქციის ვაჭრობის საბირჟო სისტემა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ წიგნით საბირჟო ვაჭრობის განვითარების პერსპექტივები არც თუ ისე დიდია. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ, წიგნის საქონელი საბირჟო საქონელი არ არის. ეს აიხსნება იმით, რომ ძნელია მოკლე დროში მყიდველმა განსაზღვროს წიგნის შინაარსის ხარისხი, სასურველ წიგნზე მოთხოვნა და ოპერატიულად მიიღოს შეუცდომელი გადაწყვეტილება. მაღალი სასტარტო ფასით

წიგნის ბირჟაზე შეიძლება რეალიზებული იქნეს მხოლოდ დეფიციტური ლიტერატურა, სხვა დანარჩენი ლიტერატურის რეალიზაცია ამ წესით გაზრდის სასაქონლო ნაშთებს. ამიტომაც, რომ მსოფლიო მასშტაბით არ არსებობენ წიგნით ვაჭრობის ბირჟები. ისინი ტარდება მხოლოდ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. ასეთი ქვეყნების კატეგორიას განეკუთვნება საქართველო. გამოძიწარე აქედან მიგვანწინა — ურიგო არ იქნება ბეჭდვითი პროდუქციით საბირჟო ვაჭრობა ჩატარდეს იგი კონკურენციას გაუწევს წიგნის გავრცელების სხვა ორგანიზაციულ ფორმებს. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ გავითვალისწინებთ წიგნის საქონლის სპეციფიკას, ჩვენი აზრით, იგი არ განდება განმსაზღვრელი და თუ იქნება კიდევ, მხოლოდ ვიწრო სასაქონლო ასორტიმენტისათვის.

წიგნით საბითუმო ვაჭრობის სხვა ფორმას წარმოადგენს წიგნის გავრცელების საბითუმო კომერციული სისტემა. იგი მოიცავს მრავალ კერძო ფირმას, რომლებიც ვაჭრობენ წიგნის პროდუქციის საბითუმო პარტიებით, აგრეთვე გამოძემლობებს, რომლებიც ახდენენ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას.

წიგნით საბითუმო ვაჭრობა, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია წიგნით დამოუკიდებელ მოვაჭრეთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. წიგნით საბითუმო ვაჭრობის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია სხვა ქვეყნების, მათ შორის, უპირველესად რუსეთისა და ევროპის წამყვანი სახელმწიფოების, გამოძემლობებისა და წიგნით ვაჭრობის ფირმების საქართველოთი დაინტერესება და მოზიდვა ჩვენს ქვეყანაში. სხვათა შორის, ამ კუთხით მიმდინარეობს მუშაობა. წიგნით ვაჭრობის სფეროს წამყვან საკვიალისტებთან შეხვედრებმა დაგვარწმუნა, რომ ამ მიმართულებით უკვე იდგმება ნაბიჯები. დაგეგმილია შეიქმნას სააკციო საზოგადოება, ჯერჯერობით პირობითი სახელწოდებით „საერთაშორისო წიგნის სახლი“, რომელიც მსურველთა შესთავაზებს მომსახურებას საგარეო ბაზარზე წიგნის პროდუქციის სწრაფად და ხეფექტიანად გასვლისათვის.

ამგვარად, წიგნით ვაჭრობა საქართველოში უახლოვდება იმ მთავარი ამოცანის შესრულებას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ წიგნით ვაჭრობის ეკონომიკამ ხელი შეუწყოს წინაპირობების შექმნას ისეთი მაღალორგანიზებული ცივილიზებული წიგნით ვაჭრობისათვის, რომელშიც თავის ადგილს იპოვნიან

სხვადასხვა სახის ფორმები და მუშაობის სხვადასხვა მეთოდების მქონე საბითუმო და საცალო საწარმოები

წიგნით ცივილიზებული ვაჭრობა გულისხმობს წიგნის ისეთ ბაზარს, რომელსაც შემდეგი პირობები ახასიათებს:

- ბაზრის გაჯერება საჭირო წიგნის პროდუქციით მყიდველთა ყველა კატეგორიისათვის ზარისხიანი პოლიგრაფიული შესრულებით;
- საკუთრების სხვადასხვა ფორმის წიგნით ვაჭრობის საბითუმო და საცალო სტრუქტურების სისტემის არსებობა, რომლებიც ერთად იმუშავებენ და კონკურენციას გაუწევენ ერთმანეთს;
- წიგნით ვაჭრობის საქმიანობაში განვითარებული საფინანსო-საკრედიტო სისტემის არსებობა.

ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის პირობებში წიგნით ვაჭრობის ორგანიზაციაში საყოველთაოდ აღიარებული იყო სამეურნეო კავშირის ხუთი ფორმის განხილვა (სქემატურად ისინი წარმოდგენილია – დანართი 3)

წიგნით ვაჭრობის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას ამ სქემაში ახალი ზარისხობრივი შინაარსი შეაქვს. ჩნდება ახალი გამოცემლობები, წიგნით მოვაჭრენი, წიგნის პროდუქციის ბითუმად რეალიზაციისათვის შუად მყოფი კერძო ფორმები წიგნით მოვაჭრე საცალო საწარმოებიც ასევე წარმოდგენილი არიან საკუთრების სხვადასხვა ფორმით. ასეთ პირობებში სქემა იძენს უკვე სხვა სახეს (დანართი 4).

მოცემული სქემის მოდიფიკაცია არ არის უდავო და საჭიროებს ღრმა შესწავლას. ჩვენ წარმოგვიდგენია, რომ წიგნით ვაჭრობის საქმეში მრავალფეროვნების განვითარება ხელს შეუწყობს საკუთრების სხვადასხვა ფორმის ორგანიზაციებისა და საწარმოებს შორის საფინანსო-სამეურნეო კავშირების ფორმირებას. მე-4 დანართში მომხმარებლის ცნებაში იგულისხმება წიგნის პროდუქციის საბოლოო მომხმარებელი, მათ შორის წერილობითი მოვაჭრეები, რომლებიც ყოველთვის შეგვიძლია განვიხილოთ როგორც პოტენციური გამყიდველები. ამ დანართში გამოირცხვლია წიგნის გავრცელების ისეთი მნიშვნელოვანი სფერო, როგორცაა წიგნის პროდუქციით ვაჭრობა მაღაზიების გარეთ ანუ „ხელზე“. ეს სფერო ახალი არ არის. მან განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულიდან და დღესაც

დიდი სევდენტი უკავია წიგნის ბაზარზე. იგი საბაზრო ურთიერთობების პირობებში ახალ შინაარსს იძენს და გამოკვლევას საჭიროებს

წიგნით ვაჭრობის საბითუმო და საცალო საწარმოების მეკეთრი შემცირების ტენდენციას თან ახლავს წიგნის ბაზარზე გამომცემლობების დიდი რიცხვის გაჩენა. ამჟამად საქართველოში რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს 80-ზე მეტი საგამომცემლო ფირმა.¹

წიგნით ვაჭრობის განვითარების მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ფასწარმოქმნა წიგნის პროდუქციაზე. მისი მნიშვნელობა დაკავშირებულია იმასთან, რომ მრავალი წლის განმავლობაში ფასწარმოქმნა არაპერიოდულ გამოცემებზე აგებული იყო სავაჭრო დათმობების განაწილებით და გადანაწილებით სისტემებზე წიგნით ვაჭრობის ორგანიზაციებს (საწარმოებს), ყოფილ სსრ კავშირის რეგიონებს შორის, აგრეთვე წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო ორგანოების დოტაციების სისტემებზე ეს სისტემა კარგად მუშაობდა სამეურნეო მექანიზმის წინა მოდელის დროს საბაზრო კანონები კი მოითხოვენ წიგნის პროდუქციაზე ფასის პრობლემისადმი ახლებურ მიდგომას.

წიგნზე საბაზრო ფასის დაწესება გრძელი და კანონზომიერი პროცესია. საბჭოთა პერიოდში, კერძოდ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ფასები გაზრდილი იყო ისეთ გამოცემებზე, რომლებზეც ყველაზე დიდი მოთხოვნა იყო. ეს ეხებოდა უპირველეს ყოვლისა მხატვრულ ლიტერატურას. მაგრამ მაშინ ფასის დადგენა ხდებოდა ძირითადად წიგნის მოცულობისა და შრომატევადობის გათვალისწინებით. 1987 წელს სსრ კავშირის პოლიგრაფიის, გამომცემლობისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტმა დაამტკიცა დამატებითი პრეისკურანტი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იყო სახელშეკრულებო ფასის დაწესება. ამასთანავე, ფასის დაწესების მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იყო მოთხოვნა მოცემულ წიგნზე.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირველ ეტაპზე სახელშეკრულებო ფასებმა ფართო გავრცელება ჰპოვა ბუკინისტურ ვაჭრობაში, მაგრამ უკვე გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან ბევრმა წიგნით საცალო ვაჭრობის საწარმომ დაიწყო წიგნების რეალიზაცია სახელშეკრულებო ფასებით წიგნის ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით.

¹ -წიგნის გამომცემლობა და გამავრცელებლობა ასოციაციის“ მონაცემების მიხედვით

1990 წლამდე, როცა საქართველო ჯერ კიდევ სსრ კავშირის შემადგენელი ნაწილი იყო, პოლიგრაფიის, გამომცემლობის და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტმა დამტკიცა სავაჭრო დათმობები 25% ოდენობით მიმოქცევის ხარჯების დასაფარად ყოფილი სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე ეს დათმობები ლიფერენცირებულნი იყვნენ წიგნით ვაჭრობის ორგანიზაციების (საწარმოების) ადგილმდებარეობის ნიშნის მიხედვით. ამავე პერიოდში დადგენილი იქნა ფასნამატი 8-10% ოდენობით. იმის გამო, რომ ამ პერიოდში მიმოქცევის ხარჯები გაიზარდა 2%-დან 7%-მდე, ხოლო გადასახადებმა შეადგინა საბითუმო საქონელბრუნვის 3%-ი, დანახარჯების დაფარვის მიზნით მიღებული იქნა მომარაგება-გასაღების ფასნამატი 15%-ის ოდენობით წიგნის პროდუქციაზე და 10%-ით სასწავლო წიგნებზე.¹

წიგნის პროდუქციაზე სახელმწიფო-საგამომცემლო საცალო ფასის ლიკვიდაციამ ხელი შეუწყო საცალო ფასების დადგენის ახალი პრაქტიკის გაჩენას. საცალო ფასს ადგენს გამომცემელი წიგნის მოცულობისა და შრომატევადობის გათვალისწინებით, აგრეთვე წიგნზე საბაზრო მოთხოვნილების (მოთხოვნის) გათვალისწინებით. თბილისის წიგნის ბოლო ფესტივალზე მასში მონაწილე გამომცემლებმა და წიგნით ვაჭრობის საწარმოებმა (მაღაზიებმა) ხელი მოაწერეს შეთანხმებას ფიქსირებული საცალო ფასების შესახებ. შეთანხმების თანახმად საცალო ფასები უმნიშვნელოდ ექვემდებარება ცვლილებას. საცალო ქსელს გამომცემელი წიგნს აძლევს 25-30%-ით ფასდაკლებით პლუს 10% მიაქვთ დამტარ-გამაყვრებლებს. მსხვილ საბითუმო ორგანიზაციებთან მოქმედებს ფასდაკლების სხვა სისტემა. ამ შემთხვევაში ფასდათმობა დამოკიდებულია რა რაოდენობის და რა თანხის პროდუქციას შეიძენს საბითუმო საწარმო (ბაზა). უკვე შეხუნილი წიგნების ფასს კი ადგენს მისი უშუალო მფლობელი — მებითუმე

დღეისათვის ფასწარმოქმნის პროცესი ემყარება მხარეების გამომცემლობისა და წიგნით ვაჭრობის სუბიექტების შეთანხმებას. თუ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აშკარად უფრო მაღალი ფასი იყო არასახელმწიფო გამომცემლობების მიერ გამოშვებულ წიგნებზე, 90-იანი წლების ბოლოსათვის შეიძინოდა წიგნის პროდუქციაზე ფასების გაწონასწორების პროცესი, მოუხდავად იმისა, სად იყო წარმოებული და ვის მიერ იყო რეალიზებული.

¹ В Солоненко К цене равновесия Книжное дело, 1992, № 2, стр 38

წიგნის ბაზრის ტევადობის ანალიზი მოწმობს, რომ წიგნის გამოცემის მაჩვენებლების (ტირაჟის) დაცვამ განაპირობა მისი რეალიზაციის საგრძობლად შემცირება. მცირდება მოთხოვნა და შესაძლებლობა და არა მოთხოვნილება. ამიტომ ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით მხატვრული ლიტერატურისა და ენციკლოპედიური გამოცემების რეალიზაცია დაბალია. შედარებით მოთხოვნით უფრო სარგებლობს საბავშვო ლიტერატურა, ლექსიკონები, სპეციალური ლიტერატურა, რელიგიური ლიტერატურა (რაც მისასალმებელია), სასკოლო ლიტერატურა.

წიგნის ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების მთლიანი პარამეტრების დაწვეა ხელს უწყობს მისი ტევადობის შემცირებას. ამასთან, ერთობლივი მიწოდების დაცემის ტემპები უფრო მაღალია, ვიდრე ერთობლივი მოთხოვნის დაცემის ტემპები. ამის შედეგად ფასები წიგნის პროდუქციაზე იზრდება როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით. ამჟამად, საქართველოში წიგნებზე ფასები, მიუხედავად მათი ზრდისა, 10-15-ჯერ ნაკლებია მსოფლიო ფასებზე, პოლიგრაფიულ მომსახურებაზე კი 20-30%-ით ნაკლები. ამის გამო ფასები წიგნის პროდუქციაზე დღეისათვის არ წარმოადგენს წიგნით ვაჭრობის მოცულობის გაზრდის მთავარ საშუალებას.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე პირობებში წიგნის ბაზარი ფუნქციონირებს წმინდა კონკურენციის კანონებით, ფასი წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს წიგნის საქონლის წარმოებასა და მოხმარებაზე

წიგნით ვაჭრობის კომპერიალიზაციასთან ერთად მნიშვნელოვნად იცვლება წიგნით ვაჭრობის სუბიექტების დამოკიდებულება წიგნის მიმართ. უფრო მეტად წიგნს უყურებენ როგორც საქონელს, უფრო ნაკლებად – როგორც კულტურის ობიექტს. ამის გამო, თანამედროვე წიგნის ბაზარი გაჯერებულია ძველი დეფიციტური ლიტერატურით. წიგნის მაღაზიები, ჩვენი ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, ნაკლებად მუშაობენ სპეციალისტებისათვის განკუთვნილ ლიტერატურაზე, მცირდება ვიწრო სპეციალური ლიტერატურის წარმოება, რასაც გააჩნია, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზები

წიგნით ვაჭრობის საქმიანობაში აშკარად შეინიშნება ე.წ. ასორტიმენტის „გამორეცხვის“ (გაღარიბების) პროცესი. 2003-2004 წლებში თბილისის წიგნის

მაღაზიების ასორტიმენტის ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ სპეციალიზებულ წიგნის მაღაზიებში წიგნებისა და ბროშურების რიცხვი 4-5-ჯერ შემცირდა მაღაზიების მიხედვით რენტაბელობის დიაპაზონი გამუდმებით ფართოვდება. რენტაბელობის ზრდა უზრუნველყოფილია ძირითადად კომერციული ლიტერატურის გაყიდვით სასაქონლო ასორტიმენტის შემცირება უარყოფითად მოქმედებს საცალო წიგნით ვაჭრობის საწარმოების გადახდისუნარიანობაზე, რომლებიც იძულებულნი არიან ეძიონ კრედიტუნარიანი მომწოდებლები მიმოქცევის ხარჯების ზრდის ტენდენციები აჩქარებენ კაპიტალის გადადინების პროცესს წიგნით ვაჭრობიდან საქმიანობის სხვა სფეროებში.

საქართველოს წიგნის ბაზრის ჩამოყალიბებაში დიდი სიძნელეების მიუხედავად წიგნით ვაჭრობის განვითარებას დიდი შესაძლებლობები გააჩნია. ამჟამად მთავარი ამოცანაა წიგნის ბაზრის რეგულირების მექანიზმის შექმნა ამ პრობლემის გადაწყვეტაში დიდ აქტუალობას იძენს წიგნით ვაჭრობის მარკეტინგი

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში წიგნით ვაჭრობის მარკეტინგი ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ამის ძირითადი მიზეზია ქვეყანაში მრავალი წლის განმავლობაში წიგნით ვაჭრობაში კონკურენციის არ არსებობა. მეორე მიზეზს წარმოადგენს ზოგადი ფაქტორების მოქმედება, რომელთა შემოქმედების შედეგად ხდება წიგნის როგორც სამომხმარებლო ღირებულებისადმი საზოგადოებრივი ინტერესის შესუსტება: საზოგადოების ცხოვრების ყოველი მხრის ღრმა კრიზისი, მოსახლეობის ცხოვრების ღონის დაცემა მესამე მიზეზი – წიგნით ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯების შეუქერებელი ზრდაა. წიგნით ვაჭრობის სუბიექტები იძულებულნი არიან შეამცირონ ან საერთოდ შეწყვიტონ ხარჯების გაწევა წიგნის რეკლამასა და პროპაგანდაზე მზარდი დანახარჯების ეკონომიის მიზნით.

დღეისათვის აუცილებელია სპეციალისტების ერთობლივი ძალისხმევა, რათა შექმნან წიგნის ბაზრის რეგულირების სხვადასხვა კონცეფცია. საჭიროა, რომ წიგნით ვაჭრობის სუბიექტები გაერთიანდნენ ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის შესაშუშავებლად, წიგნით ვაჭრობის საქმიანობის გადარჩენისა და შემდგომი განვითარების საშუალებების ძიების მიზნით. წიგნით ვაჭრობის ეკონომისტების ძალისხმევა უნდა მოხმარდეს წიგნის ბაზრის კონიუნქტურის შესწავლას, მისი უზრუნველყოფის კანონზომიერებების გამოვლენას. აუცილებელია წიგნი განხილულ

იქნას როგორც განსაკუთრებული სახის საქონელი, რომელიც საზოგადოებისათვის ცოდნისა და სულიერი პოტენციალის მატარებელია.

წიგნით ვაჭრობის თავისებურებების შესწავლა იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ისინი განისაზღვრება წიგნის საქონლის თავისებურებებით. წიგნით ვაჭრობის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური და ეკონომიკური ღვიზებურებებით, წიგნის პროდუქციის სასაქონლო მიმოქცევის კანონზომიერებებითა და ტენდენციებით.

წიგნით ვაჭრობაში ახალი პროცესების შინაარსის განსაზღვრა არის საბაზრო პრობლემის სწორად დარეგულირება ვაჭრობის საქმიანობაში სწორედ ამ პროცესების მეცნიერული მართვით შესაძლებელია წიგნით ვაჭრობაში საბაზრო პრობლემების გადაჭრა

|

თავი II წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური უწყებტიანობის საკითხები

2.1. წიგნით ვაჭრობის ეფექტიანობის შესახებ

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წიგნით ვაჭრობის მაკროეკონომიკურ ეფექტიანობას, რომელიც ორ ასპექტში განისაზღვრება – ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტიანობაში.

ცენტრალიზებული დაგეგმვის პირობებში ადგილი ჰქონდა წიგნით ვაჭრობის მოქმედ სისტემათა მუშაობის ეკონომიკურ ეფექტიანობას წიგნით ვაჭრობის რენტაბელურ და არარენტაბელურ საწარმოთა ფუნქციონირების პირობებში წიგნით ვაჭრობის ყველა საწარმოში ეკონომიკური ეფექტიანობის რეალიზაცია მიიღწეოდა შემოსავლების განაწილებითა და გადანაწილებით წიგნით ვაჭრობის მართვის ცენტრალიზებული ორგანოების მიერ. (წიგნით ვაჭრობის ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემა წარმოდგენილია სქემატურად – დანართი 5).

შემოსავლების ასეთი გადანაწილებითი სისტემა თეორიულად შესაძლებელია შენარჩუნებული იყოს ეკონომიკის მხოლოდ სახელმწიფო სექტორში, მაგრამ წიგნით ვაჭრობაში ცენტრალიზებული ინვესტიციების მკვეთრად შემცირების პირობებში მისი პრაქტიკაში არსებობა რთულად განსაზოციელებელია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ეფექტიანობის რეალიზაცია უნდა მოხდეს წიგნით ვაჭრობის უშუალოდ ყოველი სტრუქტურის მიერ, როგორც მისი არსებობისა და გაფართოების აუცილებელი პირობა.

წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივ სექტორში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის გამო, ჯეროვნად არ არის შესწავლილი ეფექტიანობის საკითხი წიგნით ვაჭრობის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ წიგნით ვაჭრობის სფეროში¹ სახელმწიფოებრივ მეწარმეობას (ბიზნესის) არსებობის უფლება აქვს. წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივი სტრუქტურების შემოსავლებისა და მოგების ზრდა არის შედეგი სწორედ მათი ბიზნესისა, რომელიც საბოლოო ჯამში მიმართულია წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივი სტრუქტურების განვითარებისაკენ

ყველაზე რთულსა და პრობლემატურს, ჩვენი თვალსაზრისით, წარმოადგენს მაკროდონეზე წიგნით ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის საკითხი. მისი სირთულე აიხსნება რიგი მიზეზებით. წიგნით ვაჭრობის სტატისტიკა ტრადიციულად ითვლიდა ეკონომიკურ ეფექტიანობას დარგობრივ და რეგიონულ ჭრილში. ცენტრალიზებული დაგეგმვისა და შეზღუდული რაოდენობის წიგნით ვაჭრობის სუბიექტთა საქმიანობის დირექტიული რეგლამენტაციის პირობებში სირთულეს არ წარმოადგენდა მისი გაანგარიშება ქვეყნის წიგნით ვაჭრობის სისტემის მიზეზით ასეთი მუშაობისათვის პირობების შექმნას უზრუნველყოფდა წიგნით ვაჭრობის ცენტრალიზებული აღრიცხვა-ანგარიშება.

საქართველოში ამჟამად არ არის წიგნით ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების მეთოდის მაკროდონეზე ეფექტიანობის ასეთი განსაზღვრა წარმოადგენს წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების მეთოდოლოგიის მნიშვნელოვან პირობას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოცემული მიმართულებით კვლევა უნდა წარიმართოს საბაზრო ურთიერთობების პირობებში საქართველოს წიგნით ვაჭრობის სტატისტიკის ჩამოყალიბების გზით. მოცემული პრობლემის გადაწყვეტა საჭიროებს ცალკე სამეცნიერო გამოკვლევას დღეისათვის საქართველოს მასშტაბით არაპერიოდული გამოცემების გავრცელების სტატისტიკა არ არსებობს. არ არის აგრეთვე ჩამოყალიბებული წიგნის პროდუქციის წარმოებისა და განაწილების სტატისტიკურ მაჩვენებელთა ურთიერთკავშირის სისტემა

წიგნით ვაჭრობის სოციალური ეფექტიანობა ვლინდება მის პროდუქციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების დონით, წიგნით ვაჭრობის მომსახურების ხარისხით. მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილება მჭირდო კავშირია ასორტიმენტის სიფართოვესა და სტაბილურობასთან, ვაჭრობის მომსახურების ხარისხი – წიგნით ვაჭრობის საწარმოს გამტარუნარიანობასთან, წიგნის პროდუქციის მომხმარებელთა უზრუნველყოფასთან შესაბამისი წიგნის სავაჭრო ქსელის მიერ შესაბამის რეგიონში, ვაჭრობის კულტურასთან, რეალიზებული ლიტერატურის საერთო მოცულობაში მომსახურების პროგრესული ფორმების ხვედრით წილთან, იმ დამატებითი ფასიანი მომსახურების რაოდენობასთან, რომელსაც სთავაზობენ მკითხველს.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლაზე წინით ვაჭრობის სოციალური ეფექტიანობის რეალიზაცია ძირითადად ხდებოდა წიგნის პროდუქციის დეფიციტის გადალახვით გამოცემლობების გამოცემათა თემატიკური გეგმების მიხედვით წინასწარი შეკვეთების დახმარებით. დიდი მუშაობა ტარდებოდა იმისათვის, რომ რაოდენობრივად განესაზღვრათ მომსახურების კულტურის დონე, ძირითადად საცალო მაღაზიებში. მაღაზიებში მომსახურების კულტურის დონის განსაზღვრელად შემოღებული იყო ექვსი მაჩვენებელი მათი გამოთვლის შესაბამისი მეთოდით. ყოველი მაჩვენებელი ან კოეფიციენტი, ასახავდა განსაზღვრულ ხედვრით წილს წიგნით ვაჭრობის სოციალური ეფექტიანობის რეალიზაციაში. ამის შემდეგ კეთდებოდა დასკვნა, რომ მაღაზიაში მყიდველთა მომსახურების კულტურის დონე მთლიანობაში ექვემდებარება გაანგარიშებას და შესაბამისად, შეიძლება განხილული იქნეს ეკონომიკურ მაჩვენებელთან ერთად სამუერეო საქმიანობის შედეგების განსაზღვრისას და სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას განსაზღვრულ პერიოდში. წიგნით ვაჭრობის ფუნქციონირებისადმი ასეთი მიდგომა წინა ეკონომიკური მოდელის დროს გამართლებული იყო: იგი უზრუნველყოფდა ათობით და ასობით წიგნით ვაჭრობის საწარმოთა მუშაობის შედეგებს, მაგრამ ნათელია, რომ თანამედროვე პირობებში ეკონომიკურად დამოუკიდებელ საწარმოს არა აქვს რეალური სტიმულები იმისათვის, რომ მიჰყვეს მსგავს საქმიანობას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ წიგნით ვაჭრობის მომსახურების ხარისხის ყველა მაჩვენებელმა საბოლოო ჯამში უნდა „იმუშაოს“ ზოგად მაჩვენებელზე, რომელიც ობიექტურად ასახავს წიგნით ვაჭრობის ეფექტიანობის სოციალურ ასპექტებს.

წიგნით ვაჭრობის სოციალური ეფექტიანობის ოპტიმალური განსაზღვრისათვის, ჩვენი აზრით, უნდა შეირჩეს შესაბამისი კრიტერიუმი. ეს კრიტერიუმი შეიძლება იყოს: წიგნის პროდუქციის მომხმარებლის იმ დრიის მინიმიზაცია, რომელიც უკავშირდება შეძენას, მოთხოვნის მაქსიმალურად დაკმაყოფილებას. წიგნით ვაჭრობის საქმიანობის სოციალური ეფექტიანობის ოპტიმალური კრიტერიუმის აღრიცხვა იძლევა იმის საშუალებას, რომ საწარმოს მუშაობა ავად ისე, რომ ჩვენთვის ცნობილი მაჩვენებლების დახმარებით მოხდეს წიგნით ვაჭრობის სოციალური ეფექტიანობის რეალიზაცია. მაჩვენებელთა სისტემა, მათი კონკრეტიზაცია, მოქმედების ძალა ყოველ კონკრეტულ

შემთხვევაში სხვადასხვაგვარია და განისაზღვრება მრავალი ფაქტორით, რომლებიც ასახავენ წიგნით ვაჭრობის საწარმოთა თავისებურებებს.

ამჟამად წიგნით ვაჭრობის სოციალური ეფექტიანობის შემცირება გამოწვეულია იმ ფაქტორებით, რომლებიც ზემოქმედებენ წიგნის ბაზრის მოცულობის შემცირებაზე, წიგნით ვაჭრობის ეკონომიკური პოტენციალის შემცირებაზე, წიგნის გავრცელების არაორგანიზებული სფეროების გაფართოებაზე

წიგნით ვაჭრობის სოციალური ეფექტიანობის ოპტიმალური კრიტერიუმის შეფასებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ დროის დანახარჯთა მაჩვენებელს, რომელიც საჭიროა მყიდველის რეალიზებული მოთხოვნის ანუ დაკმაყოფილებული მოთხოვნის სარეალიზაციოდ. მოცემული მაჩვენებელი ვაჭრობისათვის ზოგადად ცნობილია, წიგნით ვაჭრობაში კი მან ვერ ჰპოვა სათანადო აღიარება. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ წიგნის რთული ასორტიმენტის გამო მყიდველს სჭირდება უფრო მეტი დრო მისთვის საჭირო წიგნის ან ბროშურის მოძებნისათვის, ვიდრე სამომხმარებლო საქონლის სხვა სახის შეძენისათვის.

წიგნით ვაჭრობის სოციალური ეფექტიანობის ამაღლების საკვანძო საკითხს წარმოადგენს რეალიზებული მოთხოვნის ზრდა. საერთოდ მოთხოვნის შესწავლის პრობლემებს, კერძოდ მარკეტინგულ საქმიანობას რამდენიმე სამეცნიერო გამოკვლევა მიეძღვნა. ამ სფეროში დარგობრივ ეკონომიკურ მეცნიერებას საკმაოდ სოლიდური სამეცნიერო პოტენციალი აქვს. აღნიშნული საკითხი შეუსწავლელია წიგნით ვაჭრობაში, კერძოდ ნაკლებადაა შესწავლილი მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე საბაზრო ფაქტორების ზემოქმედების საკითხები ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მრავალი წლის განმავლობაში წიგნის პროდუქციაზე იყო შედარებით დაბალი ფასები და უმეტეს შემთხვევაში მოთხოვნა წიგნის პროდუქციაზე განიხილებოდა, როგორც რეალიზაციის უფრო ძლიერი ფაქტორი მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ფაქტორებთან შედარებით. გარდა ამისა, წიგნის პროდუქციაზე სისტემატური დეფიციტი ახდენდა მომხმარებლის სტიმულირებას, რომ დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა.

მოთხოვნის ფორმირება – ეს არის საკვანძო ინფორმაცია არაპერიოდული გამომცემლობის წარმოების დასადგენად წიგნი საბითუმო სავაჭრო რგოლს დაჰყავს საცალო რგოლამდე, საცალო რგოლს კი, რომლის როლი ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა, უშუალოდ მომხმარებელამდე.

სწორედ წიგნით ვაჭრობის საცალო საწარმოებმა უნდა განსაზღვრონ რეალიზებული, დაუკმაყოფილებელი და ფორმირებაში მყოფი მოთხოვნის სიდიდე რეალიზებული მოთხოვნის სიდიდის განსაზღვრა არ წარმოადგენს დიდ სირთულეს, თუ გამოვიყენებთ საეაჭრო ბალანსს, გაცილებით რთულია დაკმაყოფილებელი მოთხოვნის განსაზღვრა. ამ მიზნით ჩვენ ვთავაზობთ შემდეგ მეთოდებს:

$$m_{*} = \frac{m}{r} 100\%$$

სადაც,

m – არის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა (პროცენტებით);

m_{*} – გაყიდვაში არ არსებული იმ წიგნებისა და ბროშურების რაოდენობა, რომელზეც მყიდველთა მოთხოვნაა;

r – გაყიდული წიგნებისა და ბროშურების რაოდენობა.

განგარიშების ამ მეთოდის სირთულე ის არის, რომ შემოთავაზებული გამოთვლა საჭიროებს იმ გამოცემების სახელობით აღრიცხვას, რომელიც იყიდება და რომელზეც მოთხოვნაა. მნიშვნელოვანია არაპერიოდული გამოცემების სახელობითი აღრიცხვის ავტომატიზაციის პრობლემის გადაჭრა. ასეთი აღრიცხვის წარმოება კი შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების შედეგად ამ სფეროში.

წიგნით ვაჭრობის სუბიექტების მიერ არაპერიოდული გამოცემების სახელობითი აღრიცხვის ავტომატიზაციის პრობლემების გადაწყვეტა იძლევა იმის საშუალებას, რომ ამდღედ დაუკმაყოფილებელი და ფორმირებაში მყოფი მოთხოვნის სიდიდეთა განგარიშების გამოყენების ეფექტიანობა.

ფორმირებაში მყოფი მოთხოვნის სიდიდე შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:

$$m_{*}^{i} = \frac{m_{*} - m_{*}^{i}}{m_{*}} 100\%$$

სადაც,

m_{*} – არის არაპერიოდული გამოცემების რაოდენობა, რომლებიც გამოდიან პირველად და რომელზეც წარმოდგენილია მყიდველთა მოთხოვნა;

m_{*}^{i} – რეალიზაციის მოცულობა ანუ დაკმაყოფილებული მოთხოვნა;

მ_კ – არაპერიოდული გამოცემების რეალიზაციის მოცულობა, რომლებიც ადრე გაიყიდა და ცნობილია მყიდველისათვის;

მ_ლ – მოთხოვნის საერთო სიდიდე (როგორც რეალიზებული, ისე არარეალიზებული).

დაუკმაყოფილებელი მოთხოვნისა და ფორმირებაში მყოფი მოთხოვნის სიდიდითა გაანგარიშება წიგნით ვაჭრობაში უნდა წარმოებდეს ყოველთვიურად. გაანგარიშებისას უნდა გამოვიყენოთ კომპლექსური ანალიზი და სისტემური მიდგომა, რომელიც ეფუძნება სტატისტიკურ და ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელებს, საექპერტო შეფასებებს, სოციოლოგიურ და მარკეტინგულ კვლევებს.

დაუკმაყოფილებელი და ფორმირებაში მყოფი მოთხოვნის სიდიდეების გაანგარიშება წიგნით ვაჭრობის საცალო საწარმოებში იძლევა წლიურ ეკონომიკურ ეფექტს, რომელიც საწარმოს წლიური საბალანსო მოგების 30%-ის ტოლია. ეს გაანგარიშება იძლევა იმის საშუალებას, რომ გაეზარდოს წიგნით ვაჭრობიდან მიღიანი შემოსავალი 30%-ით მისი წარმოების უცვლელი დანახარჯების პირობებში. ამას შეუძლია ადგილი ჰქონდეს საკუთრების და ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიუხედავად წიგნით ვაჭრობის ყველა საბითუმო და საცალო საწარმოში.

ჩვენ წიგნით ვაჭრობის საწარმოებს ვთავაზობთ გაყიდული წიგნებისა და ბროშურების სახელობითი აღრიცხვის მარტივ და ეფექტიან მეთოდს, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: წიგნის ან ბროშურის ყოველ იმ ეგზემპლარს, რომელიც სავაჭრო დარბაზშია, უნდა ჰქონდეს მიმგრებული საინვენტარო ბარათი, რომელშიც იქნება მინიმალური, მაგრამ საკმარისი ცნობები წიგნის მასსიათებლის ზუსტი განსაზღვრისათვის. როცა წიგნი ან ბროშურა გაიყიდება, საინვენტარო ბარათი მოიხვევა და დარჩება საწარმოში მინიშნებით „გაიყიდა“. იგი წარმოადგენს პირობას, რომელიც ამარტყევს რეალიზაციის აღრიცხვის პროცესს ლიტერატურის გასაღებაზე. სახელობითი აღრიცხვის მოცემული მეთოდი მისაღებია ლიტერატურის საბითუმო და მცირებითუმაღ გაყიდვისათვის. უკანასკნელ შემთხვევაში საინვენტარო ბარათი შეიძლება მიმგრდეს წიგნის პროდუქციის შეკვრას და შეიტავდეს მონაცემებს იმ წიგნებისა და ბროშურების პროდუქციის შესახებ, რომელიც შეკვრაშია. მიგვაჩნია, რომ გაყიდული საქონლის სახელობითი აღრიცხვის მოცემული მეთოდის გამოყენება, უპირველეს ყოვლისა,

საჭიროა წიგნით ვაჭრობაში, სადაც საქმე გვაქვს ფართო და რთულ სასაქონლო ასორტიმენტთან.

წიგნით ვაჭრობაში ერთობლივი მოთხოვნის შესწავლის ტრადიციულ და ჩვენი აზრით, ყველაზე ეფექტიან მეთოდად რჩება ინდივიდუალურ მყიდველთა წერილობითი ანკეტირება მოთხოვნის სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ანკეტაში მიზანშეწონილია შეტანილ იქნეს შემდეგი რეკვიზიტები: სქესი, ასაკი, ეროვნება, განათლება, პროფესია, თანამდებობა, ყოველთვიური შემოსავალი, ლიტერატურა, რომელიც ინტერესს იწვევს; წლის განმავლობაში წიგნებისა და ბროშურების კითხვის პერიოდულობა, ოჯახური მდგომარეობა, ბავშვების რიცხვი ოჯახში, ინვალიდების რიცხვი ოჯახში და ა.შ. წიგნით ვაჭრობაში მოთხოვნის სოციოლოგიურ გამოკვლევათა ჩატარების პრაქტიკა მოწმობს, რომ ყველა ამ რეკვიზიტის ერთობლიობა იძლევა იმის საშუალებას, რომ მაქსიმალურად შევისწავლოთ წიგნზე ერთობლივი მოთხოვნა საერთოდ (საერთო მოცულობა), მომხმარებელთა სტრუქტურისა და ასორტიმენტის მიხედვით. თვით ტექნიკა ასეთი ანკეტირებისა – რთული და შრომატევადია. ამ პრობლემებით ყოველთვის სოციოლოგები იყვნენ დაინტერესებულნი. დღეისათვის ასეთი საშუაოს შედეგები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ, ამიტომ წიგნით ვაჭრობაში სოციოლოგთა მუშაობა თანდათანობით უნდა შეიცვალოს წიგნის მარკეტინგის სპეციალისტების მუშაობით.

წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის საერთო პრიტერიუმს წარმოადგენს წიგნით ვაჭრობის საწარმოთა ცოცხალი და განვითარებული დანახარჯების შემცირება, წიგნის შექმნაზე მომხმარებლის დროის შემცირება, მომხმარებელთა დაკმაყოფილებული მოთხოვნის დონის ამაღლება და საწარმოს მოგების ზრდა. მოცემული მახასიათებლების შესრულება ყველა შემთხვევაში იწვევს წიგნით ვაჭრობის საწარმოს სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

ქვეყნის წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ინდიკატორად შეიძლება გამოვიყენოთ მთლიანად ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლების ჯამთა ზრდის ტემპების გასწრება წიგნით ვაჭრობის მიმოქცევის ხარჯების ზრდის ტემპებთან შედარებით, რომლებიც უზრუნველყოფენ

ეფექტიანობის ამაღლებას და აგრეთვე საზოგადოების, მისი სოციალური სფეროს კულტურული დონის განვითარებას.

წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის შემცირებაზე, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში, ზემოქმედებენ წიგნის პროდუქციის სასაქონლო მიმოქცევის ახალი ტენდენციები.

წიგნით ვაჭრობის ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობა უნდა განიხილებოდეს დიალექტურ ერთიანობაში ამასთანავე შეიძლება წიგნით ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტიანობა იყოს განსაზღვრულ წინააღმდეგობაში მის სოციალურ ეფექტიანობასთან. წიგნით ვაჭრობის ეკონომიკის სპეციალისტებმა ამას უნდა მიაქციონ სათანადო ყურადღება.

წიგნის მაღაზიის ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის კერძო მაჩვენებელთა დეტალური განხილვა გვიჩვენებს, რომ განხილული მაჩვენებლები არათუ წინააღმდეგობრივია, არამედ თავისი შინაარსის მიხედვით ანტაგონისტურ დამოკიდებულებებშიც არიან ერთმანეთთან (დანართი 6). ჩვენ მიგვაჩნია, რომ წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის კვლევის მიზანი უნდა იყოს ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის მაჩვენებელთა კოორდინაციის მექანიზმის შემუშავება, რის შედეგადაც წიგნით ვაჭრობის პრაქტიკაში შესაძლებელი ხდება მათი რაოდენობრივი მნიშვნელობის ოპტიმალური შერწყმის ძიება. წიგნით ვაჭრობის ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის რაოდენობრივ მაჩვენებელთა ოპტიმალური შერწყმის ცნებაში ვგულისხმობთ მათ ისეთ შერწყმას, როდესაც წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა მაქსიმალურად მაღალია. ამგვარად, ამოცანა დაიყვანება ეფექტიანობის ვარიანტებიდან ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის ძიებაზე.

წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა შეიძლება განისაზღვროს ერთიანი (კრებსდით) მაჩვენებლით – ეფს_კ

$$\text{ეფს}_{\text{კ}} = \alpha_1 r_1 + \alpha_2 r_2 + \dots + \alpha_n r_n + \alpha_{n+1} r_{n+1}$$

სადაც,

$\alpha_1, \alpha_2, \dots, \alpha_n$ – ხვედრითი მნიშვნელობაა ეფექტიანობის კერძო მაჩვენებელთა კოეფიციენტის სახით; ხოლო

r_1, r_2, \dots, r_n – რაოდენობრივი მნიშვნელობა ეფექტიანობის კერძო მაჩვენებლების ისეთ ფორმაში, რომელიც იძლევა მათი დეკამების შესაძლებლობას.

კ და რ მნიშვნელობათა არგუმენტებული აგება, ჩვენი აზრით, წარმოადგენს წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის თეორიისა და პრაქტიკის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს.

წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის შინაგანი წინააღმდეგობა ვლინდება როგორც მეურნე სუბიექტების ცენტრალიზებულ-ადმინისტრაციული მართვის პირობებში, ისე წიგნით მოვაჭრე საწარმოთა საქმიანობის სტიმულირების წმინდა ეკონომიკური მეთოდების გამოყენების პირობებში. ცენტრალიზებული დაგეგმვის და შესაბამისად, ზემდგომი ორგანოებისაგან ეკონომიკური დამოკიდებულების პირობებში წიგნით მოვაჭრე საწარმოები „მუშაობდნენ“ სოციალურ ეფექტიანობაზე მმართველობითი სტრუქტურების ძალდატანებით.

ახალ პირობებში „მუშაობენ“ რა ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, წიგნით მოვაჭრე საბაზრო სტრუქტურებს ავიწყლებათ სოციალური ეფექტიანობა.

წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის შინაგანი წინააღმდეგობების შერბილება წარმოადგენს მიკრო და მაკრო ეკონომიკურ ამოცანას.

წიგნით ვაჭრობის საწარმოს სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემების გადაჭრა მიკროდონეზე წიგნის მარკეტინგის გადასაწყვეტია ამ უკანასკნელს შესაბამისობაში მოჰყავს წიგნის ბაზრის გამყოფეელისა და მყოფეელის ინტერესები. ჩვენ სავსებით ვუთანხმებით საერთოდ აღიარებულ მოსაზრებას, რომ წიგნის მარკეტინგს შეუძლია უზრუნველყოს წონასწორობა მიწოდებასა და მოთხოვნას შორის წიგნის ბაზარზე, როგორც მოცულობის, ისე სტრუქტურის მიხედვით

2.2. წიგნით ვაჭრობის მარკეტინგი

წიგნით ვაჭრობის მარკეტინგი – ეს არის ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებული ელემენტთა კომპლექსი, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- წიგნით ვაჭრობის მარკეტინგის შინაარსის განსაზღვრა;
- წიგნით ვაჭრობის მარკეტინგული გარემოს განსაზღვრა და მისი ანალიზი;
- წიგნით ვაჭრობის ინფორმაციული ბაზის განსაზღვრა მარკეტინგული გადაწყვეტილებების მისაღებად;
- წიგნის პროდუქციის მომხმარებელთა განსაზღვრა მიზნობრივი ბაზრის შერჩევისას;
- წიგნის პროდუქციის მოცულობის დაგეგმვა მიზნობრივი ბაზრის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით;
- წიგნის პროდუქციის საქონელმობრარობისა და მისი გასაღების დაგეგმვა;
- წიგნის გასაღების სტიმულირების სისტემისა და რეკლამის შემუშავება;
- ფასწარმოქმნის სრულყოფა და საფასო სტრატეგიის შემუშავება წიგნის პროდუქციის გავრცელებისა და გაცვლის სტადიებზე;
- წიგნის საგარეო ბაზარზე მარკეტინგის ფუნქციების განსაზღვრა;
- წიგნით ვაჭრობის მარკეტინგის მართვის სისტემის შემუშავება

უკანასკნელ წლებში წიგნით ვაჭრობის საქმიანობის სპეციალისტები იწყებენ მუშაობას წიგნის მარკეტინგის გამოყენებით. ისინი იკვლევენ წიგნის ბაზრის მარკეტინგის პრობლემებს, მაგრამ არა წიგნით ვაჭრობისა ჩვენი აზრით კი, ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს წიგნის მარკეტინგულ კვლევებში. წიგნის ბაზრის მარკეტინგის სტრატეგია განიხილავს წიგნის პროდუქციის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ყველა სტადიას

ცნობილია მარკეტინგის უამრავი განმარტება. ცალკეული სპეციალისტები წიგნით ვაჭრობის მარკეტინგის ცნებაში გულისხმობენ: „წიგნის წარმოების სფეროდან მისი მოხმარების სფერომდე წიგნის მობრარობის პროცესის ეფექტიან უზრუნველყოფას ორგანიზაციულ-ეკონომიკური, სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური

და წიგნით ვაჭრობის წიგნმცოდნეობის საქმიანობის ერთიანობის საფუძველზე“¹ წიგნით ვაჭრობის მარკეტინგის მოცემული განსაზღვრება ძირითად აქცენტს აკეთებს წიგნის პროდუქციის ფიზიკურ გადაადგილებაზე, რითაც აღიღებს საქონელმომარაგებისა და გასაღების არხების როლს, მომხმარებელზე ორიენტაცია კი თითქოს უკანა პლანზე გადადის. ჩვენი აზრით, წიგნით ვაჭრობის მარკეტინგი – ეს არის წიგნის პროდუქციაზე მოთხოვნის განჭვრეტა, გამოვლენა და მისი დაკმაყოფილება ყოველ-გაყოფის მეშვეობით.

სპეციალისტები, რომლებიც დაკავებულნი არიან წიგნით ვაჭრობის გამოკვლევით, წიგნის მარკეტინგის სუბიექტებად ძირითადად ასახელებენ იმ ფირმებს (ორგანიზაციებს), რომლებისთვის წიგნის გამოცემა წარმოადგენს გაცვლის ობიექტს ჩვენი აზრით, წიგნის ბაზრის მარკეტინგის სუბიექტებად გამოდიან როგორც საგამომცემლო და წიგნით მოვაჭრე ფირმები, ასევე წიგნის პროდუქციის საბოლოო ინდივიდუალური და მცირებითუმი მომხმარებლები, ოურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც დასპეციალებული არიან წიგნით ვაჭრობის ერთ ან რამდენიმე მარკეტინგულ ფუნქციაზე.

წიგნით ვაჭრობის მარკეტინგის სუბიექტები გამოდიან როგორც უშუალოდ წიგნით ვაჭრობის სუბიექტები, აგრეთვე ცალკეული ოურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ასრულებენ წიგნით ვაჭრობის მარკეტინგის ერთ ან რამდენიმე ფუნქციას.

როგორც წესი, წიგნით ვაჭრობის მარკეტინგის სუბიექტები არ ასრულებენ მარკეტინგის ყველა ფუნქციას. ეს აიხსნება იმით, რომ წიგნით ვაჭრობის საწარმოები არ ფლობენ საკმარის მატერიალურ-ტექნიკურ, ფინანსურ და ინტელექტუალურ რესურსებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა ფუნქციის შესრულებას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წიგნით ვაჭრობას პირდაპირი მარკეტინგი არ ახასიათებს

უნდა გამოვყოთ აგრეთვე წიგნით ვაჭრობის მარკეტინგის მიკრო და მაკრო გარემო. წიგნით ვაჭრობის მარკეტინგის შიგა მიკროგარემოს მიეკუთვნება საკუთრივ წიგნით ვაჭრობის სუბიექტის სტრუქტურა, რომლის ელემენტები პირდაპირ ან ირიბად ემსახურებიან წიგნის პროდუქციის ყველა მიმწოდებელსა და

¹ Кожевников Г В Теория и методика ассортиментной работы Мир книги М., 1993, стр 48

მომხმარებელს. ამასთანავე, მიმწოდებლები და მომხმარებლები ქმნიან წიგნით ვაჭრობის მარკეტინგის გარე მაკროგარემოს. მათ უნდა მივაკუთვნოთ წიგნის მარკეტოლოგიებიც, რომლებიც უშუალოდ არ მუშაობენ მოცემულ საწარმოში, მაგრამ თანამშრომლობენ მასთან, აგრეთვე კონკრეტული საწარმოები და სხვა კლიენტურა

წიგნით ვაჭრობის მარკეტინგის მაკროგარემო წარმოადგენს ეკონომიკური, დემოგრაფიული, ბუნებრივი, მეცნიერულ-ტექნიკური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორების ერთობლიობას, რომლებიც გავლენას ახდენს მარკეტინგის მიკროგარემოზე. წიგნის ბაზარი წარმოადგენს განსაკუთრებულ მობილურ სისტემას იმდენად, რამდენადაც წიგნის პროდუქციაზე სამომხმარებლო უპირატესობები განსაკუთრებით დინამიკურია. მათი ფორმირება ხდება მრავალი ფაქტორის ზემოქმედებით, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანია: მყიდველთა ფულადი შემოსავლები, მოდა, რეკლამა, საზოგადოებრივი აზრი, ცვლილებები, მყიდველის გემოვნებაში, პროფესიულ ორიენტაციაში, მომხმარებელთა ასაკობრივ შემადგენლობაში, აგრეთვე, ცვლილებები ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოწყობაში, მოსახლეობის შიდა და გარე მიგრაციებში და სხვ.

წიგნით ვაჭრობის მარკეტინგი უნდა ასრულებდეს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

- 1) მარკეტინგული კვლევა, რომელშიც იგულისხმება: წიგნით ვაჭრობის მარკეტინგის სუბიექტის სამეორნეო საქმიანობის ანალიზი; სამომხმარებლო, გასაღების და სარეკლამო სფეროს ანალიზი; კონკურენტების საქმიანობის ანალიზი;
- 2) წიგნის ბაზრის მარკეტინგული ინფორმაციის შვეროვება და დამუშავება;
- 3) სასაქონლო ასორტიმენტის დაგეგმვა: პროდუქციის ასორტიმენტული სტრუქტურის განსაზღვრა და შემუშავება;
- 4) წიგნის პროდუქციის რეალიზაცია: რეალიზაცია წიგნით ვაჭრობის საწარმოს საქონელვაგარეცელების სტრუქტურით, რეალიზაციის არხების არჩევა, ტრანსპორტირება, წიგნის პროდუქციის სასაქონლო ასორტიმენტის მიხედვით რეალიზაციის ანალიზი და პროგნოზირება;
- 5) წიგნის რეკლამა და პროპაგანდა;

6) გასაღების სტიმულირება: საფასო სტიმულირება, სასაქონლო სტიმულირება და სერვისული სტიმულირება.

წიგნით ვაჭრობის მარკეტინგის პრობლემები დაკავშირებულია იმასთან, რომ წიგნის პროდუქციას აქვს მრავალი თავისებურება, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა სამომხმარებლო საქონლისაგან. წიგნით ვაჭრობის მარკეტინგული კვლევები განსაკუთრებით აქტუალურია მისი კომერციალიზაციის პირობებში.

წიგნის მარკეტინგის შინაარსის განსაზღვრისას საჭიროა მარკეტინგს მიუღვეთ როგორც გასაღების ბაზრისათვის კონკურენტული ბრძოლის საშუალებას. მარკეტინგული კვლევის სუბიექტის კომერციული წარმატება და, საბოლოო ჯამში, მისი გადარჩენა დამოკიდებულია დაბანდებული საშუალებების დაბრუნებაზე საქონლის რეალიზაციის გზით და, შესაბამისად, მისი გასაღებითი საქმიანობის ეფექტიანობაზე გასაღებითი საქმიანობის მთავარი ამოცანაა წიგნის ბაზრის გამოკვლევა და წიგნის ბაზრის რაც შეიძლება სრულად ექსპლოატაცია ამიტომ ფინანსებთან ერთად წიგნით ვაჭრობის მარკეტინგი ასრულებს მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას. უკანასკნელი გარემოება კი უნდა აისახოს მენეჯერ-მარკეტოლოგის შრომის ანაზღაურების დონეზეც. ის უნდა ფლობდეს პრიორიტეტის უფლებას მიღებული ხელფასის თანხაში.

ამგვარად, წიგნით ვაჭრობის საწარმოს ყველა ფუნქცია მიმართულია გაყიდვაზე. ამ ფუნქციების ურთიერთდამოკიდებულება, საწარმო პირობებისა და შესაძლებლობების ურთიერთკავშირი განიხილება როგორც „მარკეტინგ მიკსი“ წიგნით ვაჭრობაში იგი უნდა მოიცავდეს: მარკეტინგული კვლევების სისტემას, წიგნით მოვაჭრე საწარმოს მარკეტინგის დაგეგმვას, მარკეტინგულ კონტროლს, სასაქონლო, საფასო, გასაღების პოლიტიკასა და წიგნის პროდუქციის გასაღების სტიმულირების პოლიტიკას.

მარკეტინგის კონცეფციაში მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც გავლენას ახდენენ პროდუქციის გასაღებაზე. მნიშვნელოვან ფაქტორებს მიეკუთვნება: წიგნის ბაზარი, წიგნით ვაჭრობის სუბიექტის მდგომარეობა, საკუთრივ წიგნის პროდუქცია. წიგნის ბაზრის გამოკვლევამ უნდა მოიცავს ყველა პირობის ანალიზი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ წიგნის პროდუქციის წარმატებით რეალიზაციისათვის.

წიგნით ვაჭრობის საწარმოს ასეთ საქმიანობას საფუძვლად უნდა დაელოს წიგნის პროდუქციის ბაზრის გამოკვლევები მისი გასაღების მაღალი ეფექტიანობის პოზიციიდან. ჩვენი აზრით, ამ გამოკვლევებმა უნდა მოიცვას – მომხმარებლის მოტივიზაცია, მისი მოთხოვნები, მოხმარების ვადა ასორტიმენტის მიხედვით, წიგნის სასაქონლო სახე, წიგნით ვაჭრობის საწარმოს საქონელბრუნვის მოცულობა, კონკურენტუნარიანობა, რეალიზაციის სისწრაფე, მოთხოვნის ცვლილება დროში და მათი კანონზომიერებების გამოვლენა, მიმწოდებელ-შუამავლების საქმიანობის ეფექტიანობა, წიგნის რეალიზაციისა და პროპაგანდის ეფექტიანობა, კონკურენტთა საქმიანობა.

წიგნით ვაჭრობაში იქმნება ფასეულობათა თავისუფალი სასაქონლო ნაშთები, რომლის რეალიზაცია მოცემულ საბაზრო გარემოში ძალზე რთულია. თავისუფალი ნაშთების პრობლემას აწყდებიან როგორც საბითუმო, ასევე წიგნით ვაჭრობის საცალო საწარმოები.

სასაქონლო მარაგის ზრდა, როგორც ცნობილია, იწვევს სასაქონლო რესურსების იმობილიზაციას, საქონლის ჩაწოლას, რეალიზაციის, საქონელბრუნვადობის, მთლიანი შემოსავლების, მიმოქცევის ხარჯებისა და მოგების მაჩვენებლების გაუარესებას.

საბჭოურ პერიოდში წიგნით ვაჭრობაში ფართოდ გამოიყენებოდა საქონლის გადაგზავნა მაღაზიიდან მაღაზიაში თავისუფალი სასაქონლო ნაშთების არსებობის პირობებში წიგნით ვაჭრობის მართვის წინანდელი სისტემა წიგნით ვაჭრობის საწარმოებს ძლიერ ეკონომიკურ დამოკიდებულებაში აყენებდა სახელმწიფო „წინგვაჭრობაზე“. მხოლოდ წიგნვაჭრობის დირექტორის წერილობითი ნებართვით შეიძლებოდა ასეთი გადაგზავნის პრაქტიკული განხორციელება. ამასთანავე, დინტერესებული მხარე ახდენდა გადაგზავნის მიზანმიმართულების მოტივაციას „ტექნიკური დახმარებაც გაწევით“. სასაქონლო ნაშთებთან მუშაობის ასეთი წესი წიგნვაჭრობის დონეზე წარმოადგენდა დამატებით ადმინისტრაციულ ინსტრუმენტს წიგნით ვაჭრობის საწარმოებს შორის სასაქონლო რესურსების გადანაწილებისა (დანართი 7).

საქონლის გადაგზავნას ადგილი ჰქონდა საბითუმო და საცალო წიგნით ვაჭრობის საწარმოებს შორის, აგრეთვე ქვეყნის წიგნვაჭრობებს შორის. ასეთ შემთხვევებში წიგნვაჭრობებს შორის ასეთი ურთიერთობები ფორმდებოდა

ხელშეკრულებით და მათ რეგულირებას ახორციელებდა წიგნვაჭრობის მართვის ორგანო.

სასაქონლო რესურსების ღირებუთული გადაანაწილების სისტემა, როცა შესაბამისი წიგნვაჭრობის ადმინისტრაცია აძლევდა ნებართვას საქონლის გადავზენაზე წიგნით ვაჭრობის ერთი საწარმოდან მეორეში, ეკონომიკური მეცნიერების მიერ განიხილებოდა, როგორც პრაქტიკაში სახალხო მეურნეობის პროპორციული გეგმაზომიერი განვითარების ეკონომიკური კანონის გამოყენება.

წიგნით ვაჭრობის საწარმოებში ზენორმატული ნაშთების არსებობას თან ხდევდა საწარმოს ღირეკციის ზემდგომი სტრუქტურის წინაშე პირდაპირი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობით თანხის შემცილება, რომელიც მიმართული იყო მოცემულ წიგნით ვაჭრობის საწარმოს ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში.

საბაზრო ურთიერთობების დროს წიგნით ვაჭრობის ერთი საწარმოდან მეორეში საქონლის მიწოდების წინა მეთოდები მიუღებელია. ამჟამად ასეთი გადავზენის გაფორმება ხდება პირდაპირი ხელშეკრულებით კომერციალიზებულ წიგნით ვაჭრობის საწარმოებს შორის, ხოლო გარიგება წარმოედგენს წმინდა საბაზრო გარიგებას, რომელიც რეალიზდება მისი მონაწილეების საწარმო-მიწოდებისა და საწარმო-მოშმარებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

ჩვენი აზრით, წიგნის სავაჭრო ქსელის კომერციალიზაციის პირობებში წიგნით ვაჭრობაში ეკონომიკურად მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს ბარტერული ვაჭრობა წიგნის ბაზრის ეკონომიკურ სუბიექტებს შორის. იგი არა მხოლოდ ხელს უწყობს წიგნის ბაზარზე სასაქონლო საშუალებების ეფექტიან გადაანაწილებას, არამედ ამცირებს სასაქონლო დეფიციტს და შესაბამისად, წარმოადგენს წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის ფაქტორს

ბარტერული ვაჭრობა უზრუნველყოფს შეთანხმების მხარეთა მიერ მისაწოდებელი საქონლის ერთნაირ ფულადი შეფასების არსებობას. თუ ფულადი შეფასებების ტოლობა არ მიიღწევა, მაშინ უნდა გადავიდეთ კომპენსაციური გარიგების დადებაზე საქონლის ნაწილობრივი გადახდით.

წიგნით ვაჭრობის საწარმოებს შორის, რომლებსაც აქვთ თავისუფალი სასაქონლო ნაშთები, წმინდა ბარტერული ვაჭრობისაგან განსხვავებით უნდა

დაიღოს კონტრაქტები ან ხელშეკრულებები, რომლებშიც იქნება განსაზღვრული საბაზრო გარიგების მონაწილეთა შემხვედრი ვალდებულებები საქონლის მიწოდებაზე კომპენსაციურ საფუძველზე ასეთი კონტრაქტები ანუ ხელშეკრულებები უნდა იყოს მოკლევადიანი – დაიღოს ერთ წლამდე ვადით და ითვალისწინებდეს საქონლის ნაწილობრივ ანაზღაურებას ხარისხითა და რაოდენობით თანაბარი მიწოდების შემთხვევაში.

კომპენსაციური გარიგებების შესრულებაზე კონტრაქტების დადებისათვის საჭიროა შემდეგი პირობების შესრულება:

- წიგნის პროდუქცია არ უნდა იყოს ურთიერთშემცველი;
- წიგნის პროდუქცია უნდა სარგებლობდეს გადახდისუნარიანი მოთხოვნილებით (მოთხოვნით) მიწოდების ადგილზე;
- წიგნით ვაჭრობის საწარმო-მომხმარებელი უნდა ფლობდეს საქონელ-აკვივალენტს გარიგების შესასრულებლად.

წიგნით ვაჭრობის პრაქტიკაში შემხვედრი ვაჭრობის გამოყენება ხელს შეუწყობს დსთ-ს ქვეყნებისა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების წიგნის ბაზრის განმტკიცებას, აგრეთვე ქვეყნის რეგიონებს შორის სამეურნეო (ეკონომიკური) კავშირების დამყარებას.

ბარტერული გარიგებების შესრულება ახდენს ფულადი საშუალებების გადაგზავნისა და გადარიცხვის პრობლემის ლიკვიდაციას. ბარტერული გარიგებები განსაკუთრებით ეფექტიანია იმ ქვეყნების წიგნით ვაჭრობის საწარმოებს შორის, რომლებშიც სხვადასხვა ფულადი სისტემებია.

ბარტერული გარიგებები ამცირებენ მიმოქცევის ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი გადარიცხვების თანხის გადახდასთან.

კომპენსაციური გარიგებები საქონლის ნაწილობრივი ანაზღაურებით წიგნით ვაჭრობაში უფრო მისაღებია ქვეყნის წიგნის ბაზრის შიგნით.

ჩვენი აზრით,¹ შემხვედრი ვაჭრობა წიგნის ბაზარზე მისაღებია არა მხოლოდ ორმხრივი, არამედ მრავალმხრივ საფუძველზეც. (დანართი 8). ამასობაში იზრდება სასაქონლო რესურსების გადანაწილების შედეგანობაც. ასეთი ვაჭრობის განსაკუთრებული უპირატესობა მდგომარეობს ნაღდი ფულადი საშუალებების, მათ შორის ვალუტის მოთხოვნილების შემცირებაში.

მრავალმხრივი ბარტერული გარიგების ნაკლს წარმოადგენს მისი შესრულების შეუძლებლობა თუნდაც ერთი მონაწილის მიერ შემხვედრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ეს გარემოება გვევლინება მრავალმხრივი ბარტერული გაცვლის განვითარების შემდარკოლებელ ფაქტორად. ბარტერული გარიგებების შესასრულებლად ფულადი ინსტრუმენტის არ არსებობა გულისხმობს სახელშეკრულებო პირობების მკაცრ დაცვას. ამის გამო ჩნდება მკაცრი საჭირო სანქციების შემუშავების აუცილებლობა მხარეებისათვის, რომლებმაც არ შეასრულეს სახელშეკრულებო ვალდებულებები.

წიგნით ვაჭრობაში კომპენსაციური გარიგებების თავისებურებებს მიეკუთვნება:

- წიგნის სახმარი ღირებულების რაოდენობრივი შეფასების არ არსებობა ართულებს წიგნის პროდუქციის სახმარი ღირებულების დაპირისპირების პრობლემას;
- წიგნის ასორტიმენტის სირთულე საჭიროებს წიგნის ბაზრის შინაარსისა და სტრუქტურის ღრმა ცოდნას. ამის გამო წიგნით ვაჭრობის პრაქტიკაში კომპენსაციური გარიგებების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ წიგნის მაღალკვალიფიციური მარკეტინგის სპეციალისტების არსებობისას, რომელთა სიმცირეს დღეისათვის ძალზე განიცდის წიგნის ბაზარი

ბარტერული გარიგებები შეიძლება გავრცელდეს არა მხოლოდ წიგნის, არამედ სხვა პროდუქციაზეც, რომლის რეალიზაციასაც ახდენენ წიგნით ვაჭრობის საწარმოები. წიგნით ვაჭრობის გაერთიანების განკარგულებაში ხშირად არის სხვადასხვა საქონლის საბითუმო ბაზები. ამ საქონელს მიეკუთვნება საწერი მოწყობილობები, სასკოლო საქონელი, საკანცელარიო საქონელი, ქაღალდი და სხვ. საბითუმო და საცალო წიგნით ვაჭრობის საწარმოების მიერ სამომხმარებლო ქაღალდის გაყიდვა არსებით როლს თამაშობს ამ ფირმებისა და საწარმოების მთლიანი შემოსავლის ფორმირებაში. ბარტერულ გარიგებაში შეიძლება ჩაერთონ არა მხოლოდ წიგნით ვაჭრობის, არამედ საგამომცემლო-პოლიგრაფიული სტრუქტურები.

წიგნით ვაჭრობის და საგამომცემლო-პოლიგრაფიულ სტრუქტურებს შორის გამართლებულია არა მხოლოდ წმინდა ბარტერული გარიგებების დადება, არამედ გარიგებების დადება კომპენსაციურ საფუძველზეც (დანართი 9), როდესაც

გასაცვლელი საქონელი ღირებულებით გამოსახულებაში არა ეკვივალენტურია და გარიგების ერთ-ერთი მხარე ახორციელებს ფულად ანაზღაურებას საქონლის ნაწილზე ისევე, როგორც განხილულ შემთხვევებში, აქაც საჭიროა მათი დადების და რეალიზაციის სამართლებრივი მექანიზმის შემუშავება შემხვედრი ვალდებულებების გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგების ერთ-ერთი მონაწილე შეიძლება დაზარალდეს, თუ მან პირველმა განახორციელა მიწოდება, ხოლო მეორე მხარემ არ შეასრულა შემხვედრი ვალდებულებები.

წიგნისა და ქალაქის პროდუქციის შემხვედრ მიწოდებაზე ბარტერული გარიგებების გამოყენება მკვეთრად ზრდის მის მონაწილეთა სამეურნეო საქმიანობის შედგენილობას, რამდენადაც:

- საწარმოს საქონლის გასაღებას თან სდევს მისი სასაქონლო უზრუნველყოფა;
- მცირდება ცოცხალი შრომის დანახარჯები ტრადიციულ მომარაგება-გასაღების (ლოგისტიკის) ოპერაციების შესრულებაზე;
- მცირდება საწარმოს მოთხოვნილება ფულად საშუალებებზე;
- მცირდება გადასახადებით დასაბეგრი თანხა;
- ხდება კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარება საწარმოს სამეურნეო საქმიანობის პროცესში

გარდა დადებითისა, პრაქტიკაში ბარტერული გარიგებების ფართო გამოყენებას წიგნისა და ქალაქის პროდუქციის საქონელგაცვლის საფუძველზე აქვს თავისი პრობლემატური მხარეც, რაც შემდეგში მდგომარეობს:

- ბარტერული გარიგების მონაწილეთაგან იგი მოითხოვს მიწოდების პირობების მკაცრ დაცვას, მიუხედავად შესაძლო ცვლილებებისა მათ საწარმო-კომერციულ საქმიანობაში;
- მოცემულ წიგნის პროდუქციაში, რომელიც მიწოდებულია ბარტერული გარიგებით აუცილებლად დაინტერესებული უნდა იყოს წიგნით ვაჭრობის საწარმო.

გამომდინარე იქიდან, რომ წიგნით ვაჭრობის საწარმო არ ფლობს წინასწარ ინფორმაციას თავის ჭარბ სასაქონლო ნაშთებზე, ბარტერული გარიგებები უნდა დაიდოს ოპერატიულ საფუძველზე მოკლევადიანი შემხვედრი ვალდებულებებით პროდუქციის მიწოდებაზე.

ბარტერული გარიგებების დადება მიზანშეწონილია საცალო და საბითუმო წიგნით ვაჭრობის საწარმოებს შორის (დანართი 10) წიგნის პროდუქციის დაბრუნება, რომელიც ქმნის დიდ სასაქონლო ნაშთებს, საცალო მაღაზიის მიერ საბითუმო ბაზას ბარტერული გარიგებით ხელს უწყობს ეკონომიკური ინფორმაციის ფორმირებას ზენორმატიულ სასაქონლო მარაგზე. ასეთი ინფორმაცია წარმოადგენს სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს სასაწყობო კომპლექსის ერთობლივი სასაქონლო მარაგის მართვისა. ეს გადაწყვეტილებები დაკავშირებული უნდა იყვნენ წიგნის პროდუქციის გადაზიდვასთან სხვა რეგიონებში, აგრეთვე საგამომცემლო-პოლიგრაფიულ საწარმოს მიერ წიგნის პროდუქციის გასავლიანობაზე ინფორმაციის გადაცემასთან

წიგნისა და ბროშურის დიდი სასაქონლო ასორტიმენტის გამო ბარტერული და კომპენსაციური გარიგებების შესრულება წიგნით ვაჭრობაში განსაკუთრებით მიზანშეწონილია და დიდი პოტენციური შესაძლებლობები აქვს

საბოლოოდ შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

- ბარტერულ გარიგებებსა და გარიგებებს კომპენსაციურ საფუძველზე დიდი პოტენციური შესაძლებლობები აქვთ წიგნით ვაჭრობის პრაქტიკაში;
- ბარტერული და კომპენსაციური გარიგებები ხელს უწყობენ სასაქონლო რესურსების ეფექტიან გადანაწილებას, რის შედეგადაც მცირდება სასაქონლო დეფიციტი და ზენორმატიული მარაგი და ამით ახდენენ წიგნის ბაზარზე დისპროპორციის ლიკვიდაციას;
- ბარტერული გარიგებები კომპენსაციურ საფუძველზე წარმოადგენენ წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის რეზერვს.

წიგნის ბაზარი მისი სპეციფიკური თავისებურებების გამო საჭიროებს სისტემატურ გამოკვლევას, როგორც პირობას მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისა. წიგნის ბაზრის გამოკვლევაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის სემენტაციას. ცნობილია, რომ სემენტაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული მყიდველის ფსიქოლოგიასთან, ფაქტორების კომპლექსთან, რომლებიც სურვილს აღუძრავენ პოტენციურ მყიდველს შეიძინონ წიგნი ან უარი თქვან მასზე. წიგნით ვაჭრობის საწარმოებმა უნდა გაითვალისწინონ წიგნის ბაზრის არაერთგვაროვნება. მასობრივი ტირაჟი, გამომცემლობის მიერ გამოშვებული ლიტერატურისა, რომელიც ვიწრო სპეციალისტებზეა გათვალისწინებული, თავის უნიკალურობის

დროსაც კი, წინასწარი მარკეტინგული კვლევების გარეშე აყენებს გამოდევლს გადასატრეული პრობლემის – გასაღების წინაშე. განსაკუთრებით მწვავედ შეიგრძნობა გასაღების პრობლემა მაშინ, როდესაც წიგნი გამოცემულია კრედიტის ხარჯზე და წიგნის მწარმოებლის გადარჩენა დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, მისი რეალიზაციის სისწრაფესთან. ანალოგიური სიძნელებები წიგნით ვაჭრობის საწარმომ შეიძლება განიცადოს, თუ იგი შეისყიდის ახალი წიგნების დიდ პარტიებს ან ვიწრო სპეციალური ლიტერატურის დიდ პარტიებს და იგნორირებას გაუკეთებს მარკეტინგულ კვლევებს

ჩვენ ვთავაზობთ წიგნით ვაჭრობის საცალო ქსელის განსაკუთრებულ, პრინციპულად განსხვავებულ ურთიერთობის ფორმას – წიგნის პროდუქციის მომწოდებლებთან – კონსიგნაციების გამოყენებას წიგნით ვაჭრობის პრაქტიკაში. წიგნით ვაჭრობაში კონსიგნაცია უნდა განვიხილოთ, როგორც წიგნის პროდუქციის საკომისიო გაყიდვის ფორმა. წიგნით ვაჭრობის საცალო საწარმოს წიგნის მიწოდებელი ინარჩუნებს საქონლის ფლობის უფლებას და იგი არის კონსიგნანტი. თუ არ მოხდა მიწოდებული საქონლის რეალიზაცია, საქონელი ბრუნდება უკან კონსიგნანტის ხარჯზე. მეორე მონაწილე კონსიგნაციური გარიგებისა – წიგნით ვაჭრობის საცალო საწარმო წარმოადგენს კონსიგნატორს. მის ამოცანას წარმოადგენს საქონლის რეალიზაცია, რის შედეგაც კონსიგნატორი მიიღებს შემოსავალს.

საქონლის კონსიგნაციური მიწოდება ეკონომიკურად უფრო გამართლებულია იმ შემთხვევაში, როდესაც მიწოდებული წიგნის პროდუქცია ახალია და უცნობია რეალიზაციის მოცემულ რაიონში და ძნელია პროგნოზირება რეალიზაციის რაოდენობისა.

წიგნით ვაჭრობის პრაქტიკაში კონსიგნაციამ არ მიიღო სათანადო გამოყენება და განვითარება, რაც ჩვენი აზრით გამოწვევას საჭიროებს ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ერთჯერადი, იშვიათი შემთხვევები წიგნის პროდუქციის კონსიგნაციური მიწოდებისა საწარმოებზე, ორგანიზაციებზე, დაწესებულებებზე, რომლებიც განკუთვნილია ვიწრო სპეციალისტებზე ან მომხმარებელთა მკაცრად განსაზღვრულ რაოდენობაზე

კონსიგნანტსა და კონსიგნატორს შორის უნდა დაიდოს წიგნის პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულება. მაგრამ ტრადიციული ხალხმეკრულებისაგან

განსხვავებით, მასში უნდა იყოს მინიმუმებული მიწოდებული წიგნის საქონლის მარაგის სახით ყოფნის ვადა კონსიგნატორთან წიგნის რეალიზაციის არ არსებობისას. ამასთანავე, კონსიგნაციური წიგნის საქონლის ფაქტიური მარაგი არ უნდა მიეთვალოს მის საკუთარ მარაგს. ეს ვადა უნდა განისაზღვროს გამოცემის ხასიათის გათვალისწინებით მისი მორალური ცვეთის შესაძლებლობის თვალსაზრისით, აგრეთვე კონსიგნანტის სურვილებსა და ინტერესების გათვალისწინებით.

მიგვაჩნია, რომ წიგნით ვაჭრობაში კონსიგნაციების ფართო გამოყენება გაზრდის წიგნის ბაზრის მარკეტინგული კვლევების ეფექტიანობას და გაზღდება წიგნით-ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი

კონსიგნაციური გარიგებები ხელს უწყობენ წიგნის სიახლეთა სტიმულირების სისტემების შექმნას საქონლის გადაზიდვით წიგნით ვაჭრობის საცალო ქსელში და მოთხოვნის შესწავლით ლიტერატურის გასავლიანობის შედეგები წარმოადგენენ ამოსავალ ინფორმაციას ანალოგიური გამოცემების წარმოებაზე გადაწყვეტილებების მისაღებად.

ჩვენი აზრით, წიგნით ვაჭრობა განსაკუთრებულად საჭიროებს კონსიგნაციური ოპერაციების განხორციელებას იმდენად, რამდენადაც:

ჯერ ერთი, იგი იცავს კონსიგნანტის ინტერესებს – წიგნის ფაქტიური რეალიზაციის მომენტამდე იგი ეკუთვნის კონსიგნანტს და გაითვალისწინება მის აქტივებში; ამრიგად, კონსიგნაცია იცავს მიმწოდებელს – კონსიგნაციური საქონლის მესაკუთრეს რისკისგან, რომელიც დაკავშირებულია წიგნით მოვაჭრე საწარმოს – კონსიგნაციური საქონლის მიმღების არაგადახდისუნარიანობის ან გაკოტრების შესაძლებლობისაგან. იმ შემთხვევაში, თუ წიგნის პროდუქციის მიმღები მას არ ჰყიდის, მიმწოდებელს შეუძლია დადოს სხვა ხელშეკრულებები იმავე საქონლის მიწოდებაზე, მაგრამ უკვე მისი რეალიზაციის უფრო მაღალი ალბათობის გათვალისწინებით;

მეორეც, იგი იცავს კონსიგნატორის ინტერესებს, რომელიც ფულს არ უხდის მიმწოდებელს და ფაქტიურად არ ყიდულობს იმ საქონელს, რომლის გასაღებაზე არ გააჩნია არანაირი პროგნოზი ამით წიგნით ვაჭრობის საწარმო – წიგნის პროდუქციის მიმღები დაცულია ზარალის რისკისაგან ახალ გამოცემაზე

ან წიგნის სხვა პროდუქციაზე, რომელმაც მოცემულ რეგიონში არ მიიღო საზოგადოებრივი აღიარება მოთხოვნის არ არსებობისას.

გარდა ამისა, ურთიერთობის ორგანიზაციის ასეთი ფორმა, რომლის შესაბამისადაც კონსიგნატორს შეუძლია უსასყიდლოდ მიიღოს საქონელი მის გაყიდვაზე რაიმე ვალდებულებების გარეშე, წარმოადგენს წიგნით ვაჭრობის საცალო აქტივობის მძლავრ სტიმულს წიგნის პროდუქციის გაყიდვაზე, რომლის სამომხმარებლო ღირებულებაც ვერ არ არის ცნობილი.

მარკეტინგული კონტროლი წიგნით ვაჭრობაში წარმოდგენილი უნდა იყოს გემების შესრულებაზე კონტროლით, წიგნით ვაჭრობის საწარმოს სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით წიგნის პროდუქციის ასორტიმენტული სტრუქტურის გათვალისწინებით კონტროლი უნდა ჩატარდეს გასაღების რაიონების, რეალიზაციის არხების, წიგნის პროდუქციის მომხმარებლის მიხედვით.

სასაქონლო პოლიტიკა წიგნით ვაჭრობის საწარმოში ნიშნავს წიგნით ვაჭრობის მართვას რეალიზაციის რაიონებისა და პერიოდების მიხედვით. მთავარი ამოცანა, რომელიც უნდა გადაჭრას წიგნით ვაჭრობის საწარმო, მდგომარეობს წიგნის პროდუქციის პერსპექტიული სასაქონლო ასორტიმენტის შემუშავებაში პრიორიტეტულობის ნიშნის მიხედვით.

წიგნის პროდუქციის პრიორიტეტულობის განსაზღვრა იძლევა იმის საშუალებას, რომ სავაჭრო საწარმომ (ფირმამ) სასაქონლო პოლიტიკა უნდა გაატაროს ისე, რომ დააკომპლექტოს წიგნების ყველაზე ოპტიმალური ასორტიმენტი. ოპტიმალური ასორტიმენტის ცნებაში იგულისხმება ისეთი ასორტიმენტი, რომელიც ყველაზე ეფექტიანად უზრუნველყოფს გამყიდველის ინტერესების რეალიზაციას მაგრამ გამყიდველის ინტერესები სხვადასხვაგვარია უბეტეს შემთხვევაში ეს კომერციული ინტერესებია. არაკომერციულ ინტერესებს შეიძლება მივაკუთვნოთ განსაზღვრული იმიჯის ფორმირება, შესაბამისი მიმართულების ლიტერატურის რეალიზაციის ზრდა, მოუხედავად მისგან მიღებული მოგებისა, საქონლის მიმწოდებლებთან განსაზღვრული ურთიერთობების შექმნა და ა.შ.

გამყიდველის კომერციული წარმატების რეალიზაციის წიგნის პროდუქციის პერსპექტიულობის კრიტერიუმად შეიძლება გამოვიდეს გაყიდვის რენტაბელობა

(კერძო მაჩვენებლები-ფაქტორები, რომლითაც ხდება ამ რენტაბელობის ფორმირება), წიგნის სასიცოცხლო ციკლი, მისი კონკურენტუნარიანობა და სხვ. თუ წიგნის საქონლის პერსპექტიულობის რამდენიმე კრიტერიუმს მივიღებთ, ასორტიმენტის მიხედვით შეგვიძლია შემდეგი ფორმულით რაოდენობრივად განვსაზღვროთ ასეთი პერსპექტიულობა გამოცემის თითოეული სახის მიხედვით:

$$\Pi_{\text{კრ}} = \sum_{i=1}^{\ell} \text{Lim } W_{\text{მ}},$$

სადაც,

$\Pi_{\text{კრ}}$ – არის მაჩვენებელი, წარმოადგენილი კოეფიციენტის სახით, რომელიც აჩვენებს წიგნის ან ბროშურის (i) პერსპექტიულობას ასორტიმენტის მიხედვით საქონლის (i) შესაბამისი კრიტერიუმების ერთობლიობით (Q).

Lim – წიგნის ან ბროშურის (i) პერსპექტიულობის კრიტერიუმის (m) შესრულების მაჩვენებელი;

W – წიგნის ან ბროშურის კრიტერიუმების მოცემულ ერთობლიობაში კრიტერიუმის (m) მნიშვნელობის წონითი მაჩვენებელი, ამასთანავე უნდა დაიცვას შემდეგი პირობა: $\sum_{m=1}^{\ell} W_{\text{მ}} = 1$.

Q – იმ კრიტერიუმების რაოდენობა, რომლებსაც უნდა უპასუხოთ წიგნმა ან ბროშურამ, რომ იყოს პერსპექტიული წიგნით ვაჭრობის საწარმოსათვის.

ამგვარად, წიგნით ვაჭრობის საწარმომ უნდა შეისწავლოს და შეაფასოს წიგნის ასორტიმენტის პერსპექტიულობა. მოცემული საბუჯის შედეგების მიხედვით ტარდება გამოცემის პრიორიტეტულობის პოლიტიკა ის სასიათდება იმ კრიტერიუმებისა და პირობების ერთობლიობით, რომლებსაც უნდა პასუხობდეს საქონელი, რომ გახდეს გამყიდველისათვის პერსპექტიული.

წიგნის პროდუქციის პერსპექტიულობის კრიტერიუმების რაოდენობა და მათი შინაარსი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს და იგი უნდა განისაზღვროს წიგნით ვაჭრობის საწარმოში.

ყველაზე შრომატევად და საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს თითოეული ამორჩეული კრიტერიუმის მნიშვნელობის რაოდენობრივი შეფასება. ამ საკითხის გადასაწყვეტად გამოიყენება ექსპერტული შეფასების მეთოდი,

სტატისტიკური და სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლების ურთიერთკავშირისა და ურთიერთგავლენის კვლევის ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები.

ყოველი ამორჩეული კრიტერიუმის მნიშვნელობის რაოდენობრივი შეფასება აუცილებლად წიგნით ვაჭრობის საწარმოში უნდა მოხდეს და მიმართული უნდა იყოს გამყიდველის ინტერესების უფრო ეფექტიანი რეალიზაციისკენ.

წიგნის პროდუქციის მარკეტინგი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს წიგნის სახმარი ღირებულების გაანგარიშების საკითხებს. წიგნის სარგებლობიანობა განისაზღვრება: მისი შინაარსით, გაფორმებით, პოლიგრაფიული შესრულების ხარისხით, ტირაჟით. უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრელი მნიშვნელობა მის შინაარსს ენიჭება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ წიგნის სარგებლობიანობის რაოდენობრივი გაანგარიშების მეთოდის შემუშავება შეიძლება რეალიზებული იყოს დიფერენციულ მიდგომისას მყიდველთა ცალკეული კატეგორიებისა და ასორტიმენტის ცალკეული განაყოფებისადმი.

ჩვენი თვალსაზრისით, ყველაზე პრობლემურია საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია წიგნით ვაჭრობის საწარმოს საფასო პოლიტიკასთან. ამჟამად, წიგნით ვაჭრობაში არ არის ერთიანი, საყოველთაოდ აღიარებული საფასო სტრატეგია რუსეთში მაგალითად, ბოლო წლებში გავრცელდა წიგნის პროდუქციაზე ფასების დაწესების პრაქტიკა მყიდველობის მიერ გამყიდველ-მწარმოებელთან (რაც ჩვენი აზრით, ყურადღების მიპყრობას მოითხოვს); გამყიდველ-მწარმოებლები ფასს აკონტროლებენ მხოლოდ იმ მიზნით, რომ ფასმა არ დაიწიოს დასაშვებ მინიმალურ დონეზე ქვემოთ. მასობრივ ლიტერატურაზე ფასის ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს თვითღირებულება, ვიწრო სპეციალურ გამოცემებზე კი – მოთხოვნის სიდიდე (უფრო სწორად მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობა)

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში წიგნებსა და ბროშურებზე საცალო ფასების¹ დაწესება უმეტეს შემთხვევაში ხდება უშუალოდ გამომცემლის მიერ ხშირად ისინი ფიქსირებულნი არიან, რაც არსებითად აიოლებს წიგნის მარკეტინგის სპეციალისტების მუშაობას

წიგნის პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე ხვედრითი დანახარჯების ნორმატივების გამოყენების პრაქტიკა გავრცელებული იყო სოციალისტურ ქვეყნებში. ნორმატიული დანახარჯები გაშუალებული იყო

სხვადასხვა თემატიკურ ჯგუფებს შორის. ასეთი მიდგომის შესაბამისად ზოგი ასორტიმენტული პოზიცია გამოდიოდა გეგმურ-მომგებიანად, ზოგი კი გეგმურ-წამგებიანად. ნათელია, რომ წიგნის გაერცელების სოციალური ასპექტები ამ შემთხვევაში, ეკონომიკურ ასპექტზე მალა იდგა. მაგრამ პრაქტიკაში ფასწარმოქმნის ასეთი სისტემა ქმნიდა სასაქონლო დეფიციტს და წიგნით ვაჭრობის საწარმო უძლური იყო თავისი სასაქონლო ასორტიმენტის მიხედვით გაეტარებინა დამოუკიდებელი საფასო პოლიტიკა.

გასაღების პოლიტიკა მარკეტინგის კომპლექსის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია და, როგორც წესი, ამ კომპლექსის დამასრულებელი სტადიაა. გასაღება არ უნდა განვიხილოთ როგორც მარკეტინგის მიზნობრივი ამოცანა, იგი მხოლოდ მისი რეალიზაციის საშუალებაა – წიგნით ვაჭრობის საწარმოს სამეურნეო საქმიანობის რენტაბელობის, მომგებიანობის უზრუნველყოფას ემსახურება. წიგნის პროდუქციის გასაღების პრობლემა შეუძლებელია გადაიჭრას მყიდველთა მოთხოვნის კომპლექსური და მეცნიერული შესწავლის გარეშე.

წიგნის პროდუქციის სიჭარბისა და ფართო ასორტიმენტის პირობებში, რომლებიც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის, ხშირად ძალიან ძნელია გაყიდო პოლიგრაფიული პროდუქცია. ამიტომ წიგნით ვაჭრობის საწარმომ წინასწარ უნდა გაავრცელოს ინფორმაცია სარეალიზაციო გამოცემების ხასიათისა და მყიდველისათვის გასაწევი მომსახურების სახეობებზე. რეკლამის ყველაზე გავრცელებული სახეები, რომლებსაც იყენებენ წიგნით ვაჭრობაში. ესაა – სავიტრინო და ბეჭდვითი, ტელე და რადიო რეკლამა წარმოადგენენ რეკლამის შედარებით ძვირადღირებული საშუალებებს და მათი გამოყენება შეზღუდულია, განსაკუთრებით მცირე საწარმოებისათვის. რეკლამის არჩევანი განისაზღვრება როგორც წიგნის თავისებურებით, ასევე ბიზნესის სიდიდითა (მოცულობითა) და საწარმოში (მაღაზიაში) მუშაობის გამოცდილებით.

ჩვენს მიერ | თბილისში წიგნით ვაჭრობის საწარმოებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა რეკლამის ეფექტიანობაზე გვიჩვენეს, რომ ნებისმიერი რეკლამისა და სარეკლამო კომპანიის მომზადებისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ მომენტებს:

- რეკლამა, (მისი ტექსტი) უნდა იყოს რაც შეიძლება ოპტიმალურად მოკლე – მრავალსიტყვიანი რეკლამა, რომელიც მოიცავს ჭარბ ინფორმაციას, არ რჩება გონებაში;
- რეკლამა მიმართული უნდა იყოს მყიდველთა კონკრეტული კატეგორიისადმი;
- რეკლამა უნდა გამოქვეყნდეს მისთვის ყველაზე შესაფერის ბეჭდვით ორგანოში;
- რეკლამა შედგენილი უნდა იყოს მასობრივი მომხმარებლის ფსიქოლოგიის გათვალისწინებით; არ შეიძლება რეკლამის დაწყება ფასიდან; რეკლამამ უნდა გამოიწვიოს მყიდველის დაინტერესება;
- რეკლამა უნდა იყოს ეთიკური და არ უნდა ეხებოდეს კონკურენტს.

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ყველა ჩამოთვლილი მოთხოვნების დაცვისას, რეკლამის ეფექტიანობა ძალიან დიდია. რეკლამის ეფექტიანობის ცნებაში იგულისხმება ისეთი სიტუაცია, რომლის დროსაც რეკლამა უზრუნველყოფს მოგების ზრდის უფრო მაღალ ტემპებს, გაყიდვის მიცულობის გაზრდის შედეგად, წიგნით ვაჭრობის საწარმოს მიმოქცევის ხარჯების ზრდის ტემპებთან შედარებით.

წიგნით ვაჭრობაში რეკლამა არის ერთგვარი ღონისძიება: სანამ იფუნქციონირებს წიგნით ვაჭრობის საწარმო, უნდა იმუშაოს რეკლამამაც. თუ საწარმო ეკონომიკურად ეფექტიანია, რეკლამაზე დანახარჯებმა შეიძლება მიაღწიონ ბრუნვის 5-დან 15 პროცენტამდე და ეს დანახარჯები გათვალისწინებული უნდა იყოს მიმოქცევის ხარჯების შესაბამის მუხლში.

საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პირობებში წიგნის ვაჭრობაში უნდა გაჩნდნენ სპეციალიზებული სარეკლამო ფირმები, მცირე სააგენტოები, აგრეთვე ცალკეული სპეციალისტები, რომლებსაც შეეძლებათ გაუწიონ მაღალკვალიფიციური დახმარება როგორც დამწყებ მოვაჭრეს, ისე წიგნით ვაჭრობის სოლიდურ ფირმებს, საცალო და საბითუმო საწარმოებს.

ძალიან მნიშვნელოვანი და ნაკლებად შესწავლილია წიგნით ვაჭრობაში მომსახურების მარკეტინგი. წიგნის რეალიზაციის პროცესში უნდა ჩაითვალოს მომსახურებად, მაგრამ მომსახურებად როგორც სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის შემადგენელი ნაწილი.

წიგნის საცალო ვაჭრობის სუბიექტებს შეუძლიათ უშუალოდ სავაჭრო საქმიანობის პარალელურად განავითარონ არასავაჭრო მომსახურების სფერო. მომსახურებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვანაირი მიზნები, მაგალითად,

დამთავალიერებლების რიცხვის ზრდის სტიმულირება და დამთავალიერებათა ზრდა, რაც საბოლოო ჯამში ზემოქმედებს გაყიდვის მოცულობაზე. მომსახურებამ შეიძლება იმოქმედოს საწარმოს (ფირმის) განსაზღვრული იმიჯის ფორმირებაზე. რეპუტაციის გაუმჯობესება დაკავშირებულია არა მხოლოდ მომხმარებელთა საქმიანობასთან, არამედ წიგნის პროდუქციის მიმწოდებლებთან მიწოდების ოპტიმატიზაციისა და არაპერიოდული გამოცემების ასორტიმენტული სტრუქტურის გაუმჯობესებისავენ.

თანამედროვე პირობებში წიგნით ვაჭრობის საცალო საწარმოები ფლობენ მომსახურების სისტემის განვითარების დიდ რეზერვებს. მომსახურების სისტემამ შეიძლება მოიცვას: საფირმო შეფუთვა, ფირმის სიმბოლიკა ამა თუ იმ ფორმაში, საცნობარო-საკონსულტაციო სამსახურის მუშაობა ნებისმიერი პოტენციური მყიდველის მოსამსახურებლად, ბიბლიოგრაფიული მომსახურების გაწევა, მცირე ბითუმი და საცალო მყიდველებისათვის ლიტერატურის შერჩევა შესაბამისი თემატიკური მიმართულების მიხედვით, წიგნის პროდუქციის რეალიზაციის არატრადიციული მეთოდების დანერგვა თამაშის ელემენტების გამოყენებით, მყიდველთა შეხვედრების ორგანიზაცია წიგნის ავტორებთან, გამომცემლებთან და სპეციალისტებთან, მყიდველთა შესაბამის ჯგუფებისათვის გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზაცია და ა.შ.

წიგნით ვაჭრობაში აქტუალურ საკითხს წარმოადგენს მომსახურების გადახდის პრობლემა. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამდე წიგნით ვაჭრობის საწარმოები ინდივიდუალურ მყიდველებს ძირითადად უფასო მომსახურებას უწევდნენ. წიგნით ვაჭრობაში სასაქონლო მომსახურების ფორმირებისა და მეთოდების კომერციალიზაციის შედეგად საჭიროა შეიქმნას ფასიანი მომსახურების განვითარების წინაპირობები.

წიგნით ვაჭრობაში მომსახურების სისტემის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება

წიგნით ვაჭრობაში არაკომერციული მომსახურების სისტემის ჩამოყალიბებას, ჩვენი აზრით, წინ უნდა უსწრებდეს წიგნით ვაჭრობის საერთო გაჯანსაღება. სხვა ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ წიგნით ვაჭრობის საქმიანობის ეფექტიანობის სოციალური ასპექტების რეალიზაციაში არაკომერციულ მომსახურებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ამგვარად, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში წიგნით ვაჭრობის მარკეტინგი ამა თუ იმ ფორმაში წარმოადგენს წიგნით ვაჭრობის ნებისმიერი საწარმოს აუცილებელ ატრიბუტს, ხოლო მისი – წიგნით ვაჭრობის მაკროეკონომიკური რეგულირება სახელმწიფომ უნდა განახორციელოს.

2.3. წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირება

წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება წარმოადგენს წიგნის ცივილიზებული ბაზრის ხანგრძლივი ევოლუციის შედეგს. წიგნის ცივილიზებული ბაზრის ცნებაში იგულისხმება წიგნის პროდუქციის ყიდვა-გაყიდვის ეკონომიკური ურთიერთობების ისეთი სისტემა, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბებული მოთხოვნა და მიწოდება მაქსიმალურად შეესაბამება ერთმანეთს ცნობილია, რომ ასეთი შესაბამისობის ინსტრუმენტს წიგნის პროდუქციაზე ფასები წარმოადგენს.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამდე წიგნით ვაჭრობაში შეკვეთები კმაყოფილდებოდა საშუალოდ 55 პროცენტით. წიგნით ვაჭრობის მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ წიგნის პროდუქციაზე ერთობლივი მოთხოვნის ერთობლივ მიწოდებაზე მაქსიმალური შესაბამისობა მიიღწევა მხოლოდ ისეთი სამეურნეო მექანიზმის შექმნით, რომელიც შეესაბამება საბაზრო ურთიერთობების შინაარსსა და სტრუქტურას.

ბაზარი თვითონ წარმოადგენს წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მძლავრ ინსტრუმენტს, მაგრამ აქცენტის გაკეთება მხოლოდ წიგნის ბაზრის თვითრეგულირების ძალაზე, ჩვენი აზრით, შეცდომაა ამას გვიჩვენებს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში წიგნის გავრცელების პრაქტიკა.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს როლი წიგნით ვაჭრობის ფუნქციონირებაში უაღრესად დიდმნიშვნელოვანია. იგი უნდა ემყარებოდეს ინდიკატურ დაგეგმვასა და წიგნით ვაჭრობაში სახელმწიფო სექტორის არსებობის შესაბამის კერძო სექტორთან. სახელმწიფო გამომცემლობებს უნდა გააჩნდეთ თავიანთი წიგნით ვაჭრობის საწარმოები. საბაზრო ურთიერთობათა პირობებში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს წიგნით

ვაჭრობაში სოციალურ-ეკონომიკური პროცესების დარგობრივი და რეგიონული სახელმწიფოებრივი რეგულირება

დიდი სამეცნიერო პოტენციალი, რომელიც გააჩნია წიგნით ვაჭრობის ეკონომიკას, საბაზრო ურთიერთობათა პირობებში პრაქტიკაში ქმნის წიგნის გავრცელების სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზირების გამოყენების ფართო შესაძლებლობას. წიგნის ბაზარზე არსებული დისპროპორციების გაწონასწორება შესაძლებელია სახელმწიფოებრივი რეგულირებით.

წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირება უზრუნველყოფს განსაზღვრული ორგანიზაციული, სამართლებრივი, ეკონომიკური პირობების შექმნას, რომლებიც საჭირო და აუცილებელია წიგნით ვაჭრობის ყველა სუბიექტის ეფექტიანი საქმიანობისათვის. ასეთი საქმიანობა შეიძლება მხოლოდ კონკურენტუნარიანობის, თავისუფალი მეწარმეობის პირობებში, აგრეთვე სახელმწიფო დონეზე წიგნის პროდუქციის სასაქონლო ასორტიმენტის პრიორიტეტულობის პოლიტიკის შემუშავებისას.

წიგნით ვაჭრობის სასაქონლო რესურსები განისაზღვრება ეროვნული გამოცემლობების მიერ წიგნის პროდუქციის წარმოების სახელმწიფოებრივი რეგულირების პრობლემები წარმოადგენენ პრობლემათა განსაზღვრულ წრეს, რაც ცალკე გამოკვლევის თემას წარმოადგენს.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, რომლებსაც წიგნის ცივილიზებული ბაზრის გამოცდილება აქვთ, სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეროვნული წიგნის წარმოებასა და გავრცელებაში. იგი განსაზღვრავს წიგნის პროდუქციის გადაზიდვაზე საფოსტო, საავიაციო და სარკინიგზო ტარიფებს; ატარებს განსაკუთრებულ საგადასახადო პოლიტიკას; იცავს საშინაო ბაზარს უცხოელი კონკურენტებისაგან, ასტიმულირებს ეროვნული ავტორების წიგნების წარმოებასა და გავრცელებას, მონაწილეობას იღებს გამოცემლობასა და წიგნით მოვაჭრეებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის ჩამოყალიბებაში.

უკანასკნელ წლებში წიგნის სპეციალისტების მრავალი მოსაზრება არსებობს, რომლებიც ეხება ეროვნული წიგნის გავრცელების გაჯანსაღებას. მათი ავტორები იძლევიან წიგნით ვაჭრობის საქმიანობის სტიმულირების კონკრეტულ წინადადებებს, რომლებიც საბოლოო ჯამში დაიცვანება რამოდენიმე პრინციპულად

განსხვავებულ მიდგომამდე. პირველი და ყველაზე გავრცელებული მოსაზრება არის ის, რომ ეროვნული წიგნის წარმოებისა და რეალიზაციის ნაწილი მოექცეს სახელმწიფოებრივ დაფინანსებაში; მეორე მოსაზრება დაკავშირებულია წიგნით ვაჭრობის საწარმოების მოგების დაუბეგრავობასთან, აგრეთვე დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გაუქმებასთან; შემდგომი მოსაზრება დაკავშირებულია წინადადებასთან გაატარონ წიგნის პროდუქციის მომხმარებლების სუბსიდირების ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა. დაბოლოს, არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც წიგნის ბაზარი გარკვეული დროის განმავლობაში ავტომატურად მოიყვანს შესაბამისობაში წიგნის პროდუქციასზე მოთხოვნასა და მიწოდებას, ხოლო სახელმწიფო საერთოდ არ უნდა ჩაერიოს წიგნით ვაჭრობის საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებაში.

ჩვენი თვალსაზრისით, იმ სამეურნეო მექანიზმის მშენებლობის დასაბუთების მეთოდოლოგიის ძიება, რომელიც დაფუძნებული იქნება ცივილიზებულ მიდგომებზე, დაკავშირებული უნდა იყოს წიგნით ვაჭრობის საქმიანობის როგორც ეკონომიკის სფეროს შინაარსის განსაზღვრასთან.

წიგნით ვაჭრობის თავისებურება განისაზღვრება წიგნის, როგორც საქონლის თავისებურებებით. წიგნის ასორტიმენტი სხვადასხვაგვარი და რთულია წიგნის პროდუქცია ერთდროულად შეიძლება გამოვიდეს როგორც საქონელი და როგორც კულტურის ობიექტი. უკანასკნელ შემთხვევაში წიგნით ვაჭრობის საქმიანობა უნდა განვიხილოთ კულტურულ საქმიანობად, ხოლო საწარმო, რომელიც ახდენს მხოლოდ წიგნის რეალიზაციას, კულტურის სფეროს საწარმოდ. ყველა მცდელობა, რომ გაიგივდეს კომერციული საქმიანობა სოციალურად მნიშვნელოვანი საქონლის რეალიზაციასთან, წარუმატებელი იქნება. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი მარტივია: არ შეიძლება ერთ სიბრტყეზე მოთავსდეს ორი ურთიერთგამომრიცხავი კატეგორია: ბაზარი და კულტურა.

წიგნით ვაჭრობის საწარმო ახორციელებს წიგნის პროდუქციის დიდი ასორტიმენტის რეალიზაციას, რომელიც წარმოადგენს არაპერიოდულ გამოცემებს და რომლებიც სხვადასხვაგვარად განისაზღვრებიან საზოგადოებრივი სარგებლობის ხარისხის თვალსაზრისით. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირების შემდეგი მიდგომები:

მიზანშეწონილია განისაზღვროს საშინაო ბაზარზე არსებული ლიტერატურიდან კონკრეტულად რომელი წიგნი (ან წიგნები) წარმოადგენს საზოგადოებრივად აუცილებელს ანუ სოციალურად მნიშვნელოვანს. ეს ამოცანა შეიძლება გადაწყვიტოს მხოლოდ მაღალკომპეტენტურმა ორგანომ, რომელიც შექმნილი უნდა იყოს წიგნის სფეროში ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტების გაერთიანების საფუძველზე. მეცნიერული პოზიციიდან განისაზღვრება რა სოციალურად მნიშვნელოვანი ლიტერატურა, საჭიროა განხორციელდეს ლიფერენციული მიდგომა წიგნით ვაჭრობისადმი სარეალიზაციო არაპერიოდული გამოცემების სოციალური მნიშვნელობის თვალსაზრისით.

წიგნით ვაჭრობის სუბიექტები, რომლებიც ახდენენ სოციალურად მნიშვნელოვანი ლიტერატურის რეალიზაციას, განთავისუფლებულნი უნდა იქნენ მოგების გადასახადისა და დღე-გან. პრაქტიკაში წიგნით ვაჭრობის საწარმო ახდენს სხვადასხვაგვარ ლიტერატურის რეალიზაციას, ამიტომ გადასახადისაგან შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ სოციალურად მნიშვნელოვანი ლიტერატურის ნაწილი. ამის რეალურად განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხდება წიგნის პროდუქციის რეალიზაციის აღწერა განხილული ნიშნის მიხედვით. ამგვარად, ნებისმიერი სტრუქტურული ძვრები არაპერიოდული გამოცემების რეალიზაციაში სოციალურად მნიშვნელოვანი და სხვა ლიტერატურის სასარგებლოდ, პირდაპირ იმოქმედებენ წიგნით ვაჭრობის სამეურნეო სუბიექტის გადასახადით დასაბეგრი თანხის სიდიდეზე.

სოციალურად მნიშვნელოვან ლიტერატურაზე დაწესებული უნდა იყოს დაბალი ფასები. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ასეთი ლიტერატურის რეალიზაციიდან მიღებული მოგება ირაციონალური კატეგორიაა: წიგნის გამოცემის სახელმწიფოებრივი პროგრამის შინაარსი განხილულ უნდა იქნეს როგორც გარდაქმნილი ფორმა საბიუჯეტო ინექციებისა წიგნით ვაჭრობის ეკონომიკაში. ღრმა ეკონომიკური კრიზისის პირობებში სოციალურად მნიშვნელოვანი ლიტერატურა მინიმალურად შესაძლო რაოდენობით ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოსახლეობის შესაბამისი სოციალური ჯგუფებისათვის.

საკანონმდებლო წესით უნდა იყოს დადგენილი შეღავათიანი გადასახადები ყველა საწარმოსათვის, მიუხედავად საკუთრების ფორმისა და ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა, აგრეთვე საზოგადოებრივი

ორგანიზაციებისათვის, რომლებიც აფინანსებენ წიგნით ვაჭრობის საქმიანობას სოციალურად მნიშვნელოვანი ლიტერატურის რეალიზაციის ნაწილში.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უნდა გააჩნდეთ უფლება დააწესონ ფასის აუცილებელი მინიმუმი სოციალურად მნიშვნელოვანი ლიტერატურის რეალიზაციაში წიგნის ბაზარზე შექმნილი კონკრეტულ კონიუნქტურაზე დამოკიდებულებით. ეს მინიმუმი არ უნდა აღემატებოდეს კანონით დასაშვებ მაქსიმალურ ზღვარს და შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ მუნიციპალურ წიგნით ვაჭრობის ადგილობრივ (მუნიციპალურ) ობიექტებზე (საწარმოებზე).

იმ საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით, რომლებიც ვაჭრობენ სოციალურად მნიშვნელოვანი ლიტერატურით და იმყოფებიან მუნიციპალურ საკუთრებაში, სახელმწიფომ უნდა გაატაროს სუბვენციების გამოყენების პოლიტიკა. სუბვენციები უნდა მიეცეს ხელისუფლების ადგილობრივ (მუნიციპალურ) ორგანოებს სოციალურად მნიშვნელოვანი ლიტერატურის გავრცელების განვითარებისათვის. ჩვეულებრივი დოტაციებისაგან განსხვავებით, სუბვენცია გარანტიას აძლევს დაფინანსების მიმართულებას (მისამართობას) და მიზნობრივი გამოყენების დაუცველობის შემთხვევაში უბრუნდება სახელმწიფოს.

ნებისმიერი წიგნით ვაჭრობის კერძო სტრუქტურას თავისი სტატუსის შესაბამისად უფლება აქვს აირჩიოს სარეალიზაციო გამოცემების ასორტიმენტის სტრუქტურა. სოციალურად მნიშვნელოვანი ლიტერატურის რეალიზაციის შემთხვევაში ამ სტრუქტურაზე ვლინდება ყველა შეღავათი რეალიზაციის ამ ნაწილში

მაღალი ინფლაციის პირობაში ზარალი, რომელიც დაკავშირებულია სოციალურად მნიშვნელოვანი ლიტერატურის რეალიზაციასთან, უნდა ანაზღაურდეს პირდაპირი დოტაციებით. საკანონმდებლო წესით უნდა იქნეს დადგენილი ზარალის მაქსიმალურად დასაშვები თანხა, რომლის გადამეტებამ უნდა აიძულოს წიგნით ვაჭრობის სტრუქტურები შეამცირონ ამ ლიტერატურის რეალიზაცია.

საერთო ეროვნული მასშტაბით უნდა იქნეს შექმნილი ეროვნული წიგნის გავრცელების მხარდაჭერის სახელმწიფოებრივი ფონდი. ცალკეული სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მისი შექმნისათვის საჭიროა წიგნის საქმის დაფინანსების ნორმატიულ-საბიუჯეტო საფუძველი, რომელიც ჯერჯერობით ჩვენს

ქვეყანაში არ არსებობს. ჩვენი აზრით, ამ ფონდის საშუალებები უნდა შეიქმნას წიგნის ბაზრის ყველა სუბიექტის საქონელბრუნვიდან პროცენტობით ანარცხების ხარჯზე. ამ პროცენტის სიდიდე უნდა იყოს მინიმალური (არ აღემატებოდეს 0,5-1%-ს). მხარდაჭერის ფონდის დაფინანსების სხვა წყაროს უნდა შეადგენდეს თანხა, რომელიც შეიქმნება იმ წიგნის პროდუქციის რეალიზაციიდან შემოსავალზე გადასახადების გაზრდის შედეგად, რომელიც არ მიეკუთვნება სოციალურად მნიშვნელოვან ლიტერატურას ეროვნული წიგნის გავრცელების მხარდაჭერის სახელმწიფოებრივმა ფონდმა უნდა მოახდინოს სუბსიდირება საზოგადოებრივად აუცილებელი, მარგამ ეკონომიკურად წამგებიანი წიგნის გავრცელებაზე

პერსპექტიული გამოცემები, რომლებიც არ მიეკუთვნება სოციალურად მნიშვნელოვან კატეგორიას, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია გაიყოს ორ ჯგუფად — ლიტერატურა, რომელსაც აქვს საზოგადოებრივი ფასეულობა და ლიტერატურა, რომელსაც არ აქვს საზოგადოებრივი ფასეულობა. ასეთი დაყოფა საჭიროა გადასახადით პროგრესული დაბეგერის დანერგვისათვის, რომელიც დიფერენციული იქნება გამოცემის ფასეულობის ნიშნით.

საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე წიგნით ვაჭრობის რეგულირება შესაძლებელია წიგნის გავრცელების სტატისტიკური აღრიცხვის ერთიანი სისტემის პირობებში. დიფერენციული გადასახადების დანერგვა გამოცემის საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით მოითხოვს წიგნით ვაჭრობის სტატისტიკისგან წიგნის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების სისტემის შემუშავებას ასორტიმენტის მიხედვით გამოცემის საზოგადოებრივ ფასეულობაზე დამოკიდებულებით.

წიგნით ვაჭრობის სფეროში სახელმწიფოებრივი პროტექციონიზმის პოლიტიკის რეალიზაცია უნდა მოიცავდეს წიგნის არა მთლიან გავრცელებას, არამედ მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივად აუცილებელი ლიტერატურის რეალიზაციასთან. იგი საჭიროებს დიდი საბუშაოს ჩატარებას წიგნით ვაჭრობის თითოეულ საწარმოში არაპერიოდული გამოცემების რეალიზაციის ოპერატიული და ბუღალტრული აღრიცხვის საწარმოებლად.

ამგვარად, სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს საზოგადოებრივად ღირებული ლიტერატურის რეალიზაციის სტიმულირების ფუნქცია წიგნის პროდუქციის ბაზრის ფუნქციონირების პირობებში.

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, როგორც ცნობილია წარმოება მოთხოვნით განისაზღვრება, მაგრამ მასობრივი გამოცემები ყოველთვის როდი პასუხობს წიგნის შინაარსის მაღალ მოთხოვნებს ეს იმ ქვეყნებისათვისაც დამახასიათებელია, სადაც განვითარებული საბაზრო ეკონომიკაა. ამჟამად საქართველოში წიგნის პროდუქციის მოთხოვნაზე ზემოქმედებენ ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ, რომ მასობრივი წიგნის პროდუქცია მოწყდეს მოთხოვნებს, რომელიც წაყენებულია მისი შინაარსის ხარისხისადმი. ეს დაკავშირებულია წიგნით ვაჭრობისა და გამოცემლობების კომერციალიზაციასთან, წიგნის პროდუქტზე აკრძალვების მოხსნასთან, საზოგადოებაში სოციალურ-ფსიქოლოგიურ დაძაბულობასთან, რომლებიც აიძულებენ მკითხველს ეძებოს ემოციური განტვირთვის, გართობის საშუალებები მასობრივ წიგნის პროდუქციას, რა თქმა უნდა, აქვს არსებობისა და განვითარების უფლება, მაგრამ საჭიროა მას დაუპირისპიროთ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოცემა და რეალიზაცია ამიტომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ საბაზრო მექანიზმი თვითონ დაარეგულირებს ყველაფერს სახელმწიფოებრივი სტრუქტურების დაუხმარებლად საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. ხადისერტაციო ნაშრომში შემოთავაზებული რეკომენდაციები, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობენ სოციალურად ორიენტირებული წიგნის პროდუქციის გაერცვლების წინაპირობების შექმნასა და წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდას.

კულტუროლოგიის დარგის სპეციალისტები გამოყოფენ იმ ლიტერატურის ბირთვად ნიშნებს, რომელსაც არ გააჩნია სოციალური ორიენტაცია. ამ ნიშნებს შორის გამოყოფენ შემდეგს:

- გართობა და მომხიბვლელობა, სიუჟეტის უბრალოება გაფუფუნებული ცხოვრების იმიჯის დეკორატიულ ზედმეტობასთან შერწყმით, სენტიმენტალურობა;
- სიუჟეტის აგება ე.წ. „აპარტ“ და ე.წ. „ცუდ“ ხალხს შორის კონფლიქტზე, ვისი წარმატება და ბედნიერება ნებისმიერი საშუალებით მიიღწევა;
- ორიენტაცია ადამიანთა უბრალო სოციალურ, სასიცოცხლო და ბიოლოგიურ მოთხოვნილებებზე, რომლებიც შემდეგ კმაყოფილდება წიგნის სიუჟეტში.

ჩვენი აზრით, მასობრივი წიგნის პროდუქცია წიგნით ვაჭრობაში სახელმწიფოებრივი პროტექციონიზმის ფარგლებს გარეთ უნდა იყოს, ვინაიდან

მისი სახელმწიფოებრივი დოტაცია მიუხედავად სარეალიზაციო გამოცემების ასორტიმენტისა, ერთის მხრივ, შეუძლებელია იმ ეკონომიკური კრიზისის პირობებში, რომელშიც ჩვენი ქვეყანა იმყოფება და, მეორე მხრივ, ხელს არ შეუწყობს წიგნით ვაჭრობის სტრუქტურების მუშაობაში (საქმიანობაში) კომერციული ანგარიშის განვითარებას

წიგნით ვაჭრობაში მომხმარებლის პირდაპირი სუბსიდირების პოლიტიკა, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც ასტიმულირებს ინფლაციას, რადგან მომხმარებელი, მხოლოდ საზოგადოებრივად აუცილებელი წიგნის პროდუქციისაც კი, ძალიან მრავალრიცხოვანია. გარდა ამისა, ყველაზე მთავარი არგუმენტი ამ კონცეფციის წინააღმდეგ მდგომარეობს იმაში, რომ მომხმარებლის პირდაპირი სუბსიდირება არ იძლევა გამოყოფილი სუბსიდირების მკაცრად, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების გარანტიას.

წიგნით პროდუქციის რეალიზაციიდან შემოსავლების სოციალური ფასეულობების მიხედვით დიფერენციული გადასახადებით დაბეგვრის შემოთავაზებული წინადადება უზრუნველყოფს საფასო ღისპროპორციების გაწონასწორებას წიგნის ბაზარზე. წიგნის მასობრივი პროდუქციის რეალიზაციიდან შემოსავლების საგადასახადო-საპროცენტო განაკვეთების გაზრდა დასაშვებ ფარგლებში საბოლოო ჯამში ქმნის მათი საცალო ფასების უმნიშვნელო ზრდის ტენდენციას. საპირისპირო მიმართულებით სოციალურად მნიშვნელოვანი ლიტერატურის რეალიზაციის გადასახადებიდან განთავისუფლება განაპირობებს საცალო ფასების შემცირების ტენდენციას ამგვარად, ადგილი აქვს სოციალურად მნიშვნელოვანი ლიტერატურის მომხმარებლის არაპირდაპირ სუბსიდირებას.

წიგნის ცივილიზებულ ბაზრის შექმნასთან ერთად სახელმწიფოს შეეძლება რეგულირების ფუნქციების ნაწილი წიგნით ვაჭრობის სრულყოფის კვალობაზე გადასცეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ასოციაციებს, გაერთიანებებს და ა.შ.; მაგრამ წიგნის ბაზრის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე, ჩვენი აზრით, საჭიროა მისი პირდაპირი სახელმწიფოებრივი რეგულირება.

უნდა აღინიშნოს, რომ წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგია დაიყვანება წიგნით ვაჭრობის სფეროდან მისი იმ ნაწილის გამოყოფაზე, რომელიც მიეკუთვნება სოციალურ-კულტურულ სფეროს. წიგნით ვაჭრობის სწორედ ეს სფერო უნდა განვიხილოთ

„შესუსტებული საბაზრო სივრცის“ გარემო, რომელშიც ბაზარი ღებულობს დეფორმაციას სოციალურად ორიენტირებული ფაქტორების მხრივ.

საქართველოში საჭიროა წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირების მოდელის შემუშავება წარმართოს განვითარებული საბაზრო ურთიერთობების ქვეყნებში ასეთი რეგულირების შესწავლის გზით ასე მაგალითად, ინგლისში არსებობს წიგნზე ფიქსირებული საბაზრო ფასები, რომლებიც განსაზღვრულია თვით გამომცემლების მიერ წიგნით ვაჭრობის საწარმოების ინტერესების გათვალისწინებით ამ ქვეყანაში მოქმედებს შეღავათები წიგნის გამომცემლებსა და წიგნის გამაყრცელებელი საწარმოების გადასახადებით დაბეგვრაზე, არ არსებობს დამატებული ღირებულების გადასახადი. გერმანიაში ამ ხაზით ადგილი აქვს სახელმწიფოებრივ დოტაციებს რეგიონულ დონეზე წიგნის ბაზრის ყველა საწარმოსათვის. შვეციაში ასეთი დოტაციები მოქმედებს ყველა გამომცემლობისა და წიგნით მოვაჭრეთათვის, მხოლოდ მკაცრად ფიქსირებული თანხით. აშშ-ი გამომცემლები აწესებენ საცალო ფასებს წიგნის ძირითად კატეგორიებზე, სახელმწიფო კი გამოპოყვს სუბსიდიებს საბიბლიოთეკო ფონდებისათვის, რაც გულისხმობს – ავტორებისათვის თანხების მაშინვე გადახდას იმ წიგნებისათვის, რომლებზეც ბიბლიოთეკების მოთხოვნაა. საფრანგეთში აწესებენ ფიქსირებულ ფასებს წიგნზე, ხოლო სახელმწიფო გამომცემლებს გამოუყოფს სუბსიდიებს, დაწესებულია ასევე შეღავათიანი გადასახადი დამატებულ ღირებულებაზე.

წიგნით ვაჭრობის საწარმოში სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესისადმი სალარიცხვო დისციპლინაზე კონტროლი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე უნდა იყოს დაკისრებული.

პრინციპულად მნიშვნელოვანია იმ პრობლემების წრე, რომლებიც დაკავშირებულია არაან წიგნით ვაჭრობის წამგებანი საწარმოების სახელმწიფოებრივ დოტირებასთან. წიგნით ვაჭრობის პრაქტიკაში წამგებანი საქმიანობის დოტირების ორი ვარიანტია შესაძლებელი. პირველი ვარიანტი მდგომარეობს შემდეგში – მიმდინარე ხარჯები, აგრეთვე ძირითადი ფონდების ანაზღაურების ხარჯები, სამეურნეო საქმიანობის გაფართოებაზე გაწეული ხარჯები და ა.შ. მიღებული შემოსავლის გარდა დაიფარება ადგილობრივი ან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. ჩვენი თვალსაზრისით, დოტირების მოცემული ვარიანტი არაფექტიანია, რადგან

წიგნით ვაჭრობის საწარმო დოტაციის სიდიდის მიუხედავად, არ წარმოადგენს სამეურნეო საშუალებების რეალურ მესაკუთრეს და შეიძლება ამის გამო დანტერესებული იყოს დანახარჯების გაზრდაში და აქედან გამომდინარე ზარალისაც, რომელიც დაიფარება საბიუჯეტო დოტაციებით მეორე ვარიანტი მდგომარეობს წიგნით ვაჭრობის საწარმოსათვის ფიქსირებული დოტაციის მიცემაში, რომლის სიდიდე არ უნდა იყოს დამოკიდებული ფაქტიურ დანახარჯებსა და ზარალზე იგი შეიძლება ეფექტიანი იყოს იმ შემთხვევაში, თუ ეს ვარიანტი ითვალისწინებს სადოტაციო თანხის განსაზღვრის ნორმატიული მეთოდის გამოყენებას ნორმატიული მეთოდი გამოიყენებს მეცნიერულად დასახელებული ნორმატივების სისტემას, აგრეთვე საწარმოსა და იმ სუბიექტს შორის ხელშეკრულების პირობების გამოყენებას, რომელიც ახორციელებს დოტაციას. ამასთანავე, თუ წიგნით ვაჭრობის საწარმომ გააკეთა გამოყოფილი სახსრების ეკონომია, ამ სახსრებმა უნდა შეადგინონ მისი შემოსავალი, ხოლო თუ საწარმო ვერ ჩაეტა სადოტაციო თანხის ფარგლებში, გადახარჯვა უნდა დაიფაროს საკუთარი რესურსების ხარჯზე

ამასთან დაკავშირებით პრინციპულად ახალი და ჩვენი აზრით, ყველაზე ოპტიმალურია წამგებიანი საქმიანობის დოტირების მეთოდი ე.წ. საარენდო სუბვენციების სახით. საარენდო სუბვენციის ცნებაში იგულისხმება ეკონომიკური კატეგორია, რომელიც გამოსახავს წამგებიანი საქმიანობის დანახარჯების საზოგადოებრივად აუცილებელ, ან წამგებიანი საქმიანობის ნორმატიულ ღირსს. საარენდო სუბვენცია გამოხატავს ეკონომიკურ ურთიერთობებს არენდის გამცემს – სახელმწიფოებრივ სტრუქტურას ან ადგილობრივ ორგანოს და არენდატორს – სახელმწიფოებრივ ან წიგნით ვაჭრობის საწარმოს შორის. საარენდო სუბვენცია – ეს არის არენდის გამცემის გადასახადი არენდატორს, იგივე საარენდო ქირა ანუ საარენდო ქირის სახეშეცვლილი ფორმა მისი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ არენდის გამცემი ანაზღაურებს ხარჯების საზოგადოებრივად აუცილებელ სიდიდეებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება საწარმოს წიგნით ვაჭრობით საქმიანობას საარენდო სუბვენციების ხარჯზე. ამასთანავე, წიგნით ვაჭრობის სტრუქტურები არ უნდა იყვნენ მოკლებულნი უფლებას გააფართოვონ თავისი არა ძირითადი საქმიანობა, როგორც საწარმოს შემოსავლების დამატებითი წყარო მაგრამ ყოველივე ეს – არა ძირითადი საქმიანობის სიდიდე და მისი თანაფარდობა

ძირითად საქმიანობასთან გათვალისწინებული უნდა იყოს საარენდო ხელშეკრულებაში.

ამგვარად, საარენდო სუბვენციების შედეგად წიგნით ვაჭრობის სტრუქტურები ეკონომიკურად დანტერესებულნი არიან არასაკუთარი ანუ არენდის გამცემის სამეურნეო საშუალებების რაციონალურ და ეკონომიურ გამოყენებაში. საარენდო სუბვენციების სიდიდე ისევე უნდა იყოს განსაზღვრული, როგორც საარენდო ქირა განისაზღვრება. ჩვენ ვიზიარებთ რუსულ ეკონომიურ ლიტერატურაში შემოთავაზებული საარენდო სუბვენციის სიდიდის გაანგარიშების მეთოდებს¹:

$$A_c = I_H - (a_1 A_0 + a_2 \cdot 3P) + A_n P C_{AO}$$

სადაც,

A_c – საარენდო სუბვენცია;

I_H – დანაკლისი საარენდო ხელშეკრულების თანახმად, რომელიც გათვლილია ნორმატიული მეთოდით;

$a_1 a_2$ – კოეფიციენტები, რომლებიც ახასიათებენ არენდის გამცემისა და არენდატორის მონაწილეობას საარენდო ობიექტების აღწარმოებისა (კვლავწარმოებისა) და რემონტისათვის;

A_0 – საამორტიზაციო ანარიცხების თანხა;

$3P$ – ხარჯები საარენდო ობიექტების რემონტზე;

A_n – საარენდო პროცენტი;

P – საარენდო პროცენტის პროცენტული განაკვეთი;

C_{AO} – საარენდო ობიექტების ღირებულება.

გამოთვლები გვიჩვენებენ I_H დაგეგმვის შეუძლებლობას კორელაციური კავშირის მეთოდით უფრო მისაღებია მეთოდიკა, რომელიც გამოიყენება საერთოდ ვაჭრობაში

თუ არენდატორი თავის თავზე იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს საარენდო ობიექტების მარტივი ან გაფართოებული აღწარმოება, სრულდება ტოლობა: $a_1 = a_2 = 0$. მაშინ ჯამი A_c გაზრდილი იქნება საამორტიზაციო ანარიცხებისა და რემონტზე ხარჯების ოდენობით.

¹ М М Хайкин Книжная торговля в условиях перехода к рынку Проблемы коммерческой деятельности в торговле в условиях рынка. Под. ред. В П Бойкова. СПТЭИ, 1993, стр 41-42.

თუ $a_1=a_2=1$ ეს ნიშნავს, რომ საარენდო ობიექტების აღწარმოების უზრუნველყოფის ვალდებულებას თავის თავზე იღებს არენდის გამცემი. a_1, a_2 კოეფიციენტების მნიშვნელობები, რომლებიც იმყოფებიან 0-დან 1-მდე ფარგლებში, აჩვენებენ არენდის სუბიექტების მონაწილეობის წილს საარენდო ობიექტების კვლავწარმოებაში.

წიგნით ვაჭრობის საწარმოების შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან გაიანგარიშება ფორმულით:

$$D = A_n \cdot P \cdot C_{AD} (I_H - I_\Phi)$$

სადაც,

D – წიგნით ვაჭრობის საწარმოს შემოსავალია ძირითადი საქმიანობიდან, რომელზეც ვრცელდება საარენდო სუბვენცია;

I_Φ – ფაქტიური ზარალი ძირითადი საქმიანობიდან.

საარენდო სუბვენციების გამოყენება სახელმწიფოებრივ და მუნიციპალურ წიგნით ვაჭრობაში იძლევა შესაძლებლობას გადაიღაზოს გაუცხოება შესაბამისი წიგნით ვაჭრობის სტრუქტურებისა საკუთრებისაგან, ზოლო მუშაკებისა – საკუთარი საქმიანობი შედეგებისაგან. იგი მოწოდებულია დაარეგულიროს წიგნით ვაჭრობის საწარმოს სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციანობა მის ძირითად საქმიანობის სფეროში.

სახელმწიფო და მუნიციპალური წიგნით ვაჭრობის პრაქტიკაში საარენდო სუბვენციების გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ საარენდო ურთიერთობები არენდის გამცემსა და არენდატორს შორის იდება ნებაყოფლობით, არ არღვევენ მათი მონაწილეების თანასწორუფლებიანობას და აქვს ანაზღაურებითი ხასიათი.

დისერტაციაში შემოთავაზებული წინადადებები, ჩვენი აზრით, მისაღები უნდა იყოს საქართველოს შესაბამისი სახელმწიფოებრივი სტრუქტურებისათვის, თუ მათ სურთ ხელი შეუწყონ წიგნით ვაჭრობის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. აქედან გამომდინარე საჭიროა წიგნის გამავრცელებელ სუბიექტებს გადაეცეთ გრძელვადიანი შეღავათიანი არენდით მათ მიერ დაკავებული შენობები, დაეხმარონ შორეულ რაიონებში წიგნების გადაზიდვაში, სახელმწიფოებრივ (მუნიციპალური) საკუთრებაში დარჩეს მსხვილი სპეციალიზებული წიგნის მაღაზიები და საბითუმო ბაზები.

წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირების მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს წიგნის ბაზრის საექსპორტო-საიმპორტო გარიგებები საქართველოში წიგნის წარმოების მკვეთრმა შემცირებამ უარყოფითად იმოქმედა წიგნის პროდუქციის ექსპორტის მოცულობაზე ის დღეისათვისაც უფრო და უფრო მცირდება თითქმის იგივე შეიძლება ითქვას იმპორტის მოცულობაზეც

საერთაშორისო არენაზე პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები ხელს უწყობენ წიგნით საერთაშორისო ბაზარზე ინტეგრაციული პროცესების გაძლიერებას. მაგრამ ამას აფერხებს ის გარემოება, რომ საქართველო არ არის შეერთებული ფლორენციის შეთანხმებას სასწავლო, სამეცნიერო და კულტურული ხასიათის წიგნის პროდუქციის იმპორტზე, რომლის თანახმადაც მსგავსი წიგნები და ბროშურები თავისუფლად უნდა მიმოიქცეოდეს წიგნის საერთაშორისო ბაზარზე ყოველგვარი ბაჟის გარეშე

ყველაზე სადისკუსიო საკითხს წარმოადგენს მსხვილი და წვრილი წიგნით ვაჭრობის საწარმოების, საკუთრების ფორმების და ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ოპტიმალური შერწყმა 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან წიგნით ვაჭრობაში შეიმჩნევა მაღაზიების, საბითუმო გაერთიანებების გამსხვილების ტენდენცია. რიგი სპეციალისტების აზრით, მხოლოდ სპეციალიზებულ მსხვილ სახელმწიფო წიგნით მოვაჭრე გაერთიანებას შეუძლია მომხმარებელთა ყველაზე ეფექტიანად მომსახურება. ზოგიერთი ეკონომისტის აზრით გამომცემლობები, პოლიგრაფია და წიგნით ვაჭრობა უნდა ფუნქციონირებდნენ საკუთრების ერთი ფორმის სისტემაში. ჩვენი თვალსაზრისით, წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირება მიმართული უნდა იყოს არა ვაჭრობის საკმიანობის მასშტაბების რეგულირებაზე, არა წიგნით ვაჭრობის სპეციალიზაციის დონეა და წიგნით ვაჭრობის ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების რეგულირებაზე, არამედ წიგნის ბაზრის გამყიდველის მოტივაციაზე, რომელიც განსაზღვრავს წიგნის ასორტიმენტს. სახელმწიფომ უნდა შეინარჩუნოს ქვეყნის რეგიონების მიხედვით წიგნით მოვაჭრე სახელმწიფოებრივი სტრუქტურების რეგულირების უფლება.

პრობლემური და გადაუჭრელია პროვინციებში წიგნით ვაჭრობის საკითხი, განსაკუთრებით მაღალმთიან და ძნელად მისადგომ რაიონებში. მაღალი ფასები და

ტარიფები, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქციის გადაადგილებასთან კვნიან არა თანაბარ პირობებს მის მიწოდებაში.

წიგნით ვაჭრობის ფუნქციონირების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება მოწმობს სოციალურად მნიშვნელოვანი წიგნის პროდუქციის გადაზიდვისათვის ერთიანი სახელმწიფოებრივი შეღავათიანი ტარიფების მოქმედების აუცილებლობას. მათი შემუშავება დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ წიგნით ვაჭრობის სფეროში სახელმწიფოებრივი პროტექციონიზმის პოლიტიკასთან.

აქტუალურ საკითხს წარმოადგენს არაპერიოდული გამოცემების განმეორებითი საქონელბრუნვა. ამჟამად მას ქვეყნის წიგნით ვაჭრობის მთელ საქონელბრუნვაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მიუხედავად საზოგადოებრივი ინტერესების დაცემისა რიგ არაპერიოდულ გამოცემების მიმართ, რომლებიც საბჭოურ პერიოდში გამოდიოდნენ, ბუკინისტურ ვაჭრობას დიდი პერსპექტივები აქვს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირება უნდა გაერკვლდეს მის განმეორებით საქონელბრუნვის დროსაც. ბუკინისტური ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდოლოგია და მეთოდიკა ახალ წიგნით ვაჭრობასთან ერთიანობაში უნდა იყოს. წიგნით ვაჭრობის იმ საწარმოების გადასახადებით დაბეგვრა, რომლებიც ახორციელებენ ბუკინისტური და ახალი წიგნების რეალიზაციას, აგებული უნდა იყოს ასევე, ერთნაირ პრინციპებზე.

წიგნით ვაჭრობის აქტუალურს და, ჩვენი აზრით, ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს ამ სფეროში ერთობლივი მეწარმეობის (ბიზნესის) განვითარება. წიგნით ვაჭრობის სტრუქტურები, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, უცხოური კაპიტალის მონაწილეობით საქართველოში ამჟამად არ არსებობენ. ცნობილია ზოგიერთი სასწავლო და სხვა სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემების პროგრამები უცხოური ქვეყნების დანხარებით.

წიგნით ვაჭრობის სფეროში ერთობლივი საწარმოების შექმნამ უნდა უზრუნველყოს უცხოური ვალუტის (სახსრების) მყარი მოდინება, რომლითაც დაფინანსდება წიგნით ვაჭრობის განვითარება რეგიონულ დონეზე. ასეთი მოდინება იმავდროულად იქნება უცხოელი პარტნიორების ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის გარანტი.

წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირების მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, საკითხი წიგნით ვაჭრობის სტრუქტურების ანტიმონოპოლიურ

რეგულირებაზე წიგნით ვაჭრობაში, საქმიანობის სხვა სფეროებისაგან განსხვავებით, მონოპოლიზაციის დონე ნაკლებად მნიშვნელოვანია. ეს დაკავშირებულია წიგნის, როგორც საქონლის თავისებურებებთან, რომლებიც განსაზღვრავენ წიგნით ვაჭრობის პროცესის თავისებურებებს. წიგნით ვაჭრობის მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა წიგნით ვაჭრობის მსხვილი ფორმების აშკარა უპირატესობები წიგნით ვაჭრობის ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის ამაღლებაში. ამასთან დაკავშირებით ჩვენ მიგვაჩინა, რომ სახელმწიფოებრივ დონეზე ასეთი სტრუქტურების ხელოვნურ გამსხვილებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს საზოგადოებრივად აუცილებელ ლიტერატურაზე სოციალურად დაბალი ფასების კონტროლის ფუნქცია. ანტიმონოპოლიური რეგულირება სრულად უნდა გამოვლინდეს საგამოცემლო-პოლიგრაფიულ სფეროში, რომელიც არაპირდაპირ წიგნით ვაჭრობაზეც იმოქმედებს.

წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების დიდ რეზერვს წარმოადგენს წიგნით ვაჭრობის საქმიანობის სათანადო დონეზე დაყენება უშუალოდ, მცირე ბითუმად მომხმარებლის – საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ტერიტორიაზე. მომხმარებლებზე სოციალური ორიენტაცია ხელს უწყობს წიგნის შესაბამისი ასორტიმენტის ფორმირებას. სოციალურად მნიშვნელოვანი არაპერიოდული გამოცემების პროტექციონიზმის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა არსებით ზეგავლენას მოახდენს მოცემულ წიგნით ვაჭრობის ობიექტებზე, ვინაიდან მცირე ბითუმი მომხმარებელი უპირატესად ორიენტირებულია სოციალურად მნიშვნელოვან ლიტერატურაზე. წიგნით მოვაჭრე ასეთი სტრუქტურა მოხვდება „მაქსიმალური კეთილდღეობის ზონაში“; ხოლო ასეთი სტრუქტურის ნებისმიერი გადაორიენტირება კომერციული გამოცემებით ვაჭრობაზე შემოსავლების ზრდის მიზნით ავტომატურად ჰპოვებს ასახვას წიგნით ასორტიმენტის პრიორიტეტულობის სახელმწიფო პოლიტიკაში, რაც საბოლოო ჯამში ახდენს წიგნის პროდუქციის გამყიდველის ეკონომიკური ინტერესების კორექტირებას.

ამგვარად, წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების შემოთავაზებული მექანიზმი გვესახება ყველაზე მოქმედ ინსტრუმენტად, რომელიც ამცირებს წინააღმდეგობას წიგნით ვაჭრობის საქმიანობის სოციალურ და ეკონომიკურ

ეფექტიანობას შორის. ძლიერ ზემოქმედებას ახდენს წიგნის პროდუქციის ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ფორმირებაზე და საბოლოო ჯამში წიგნებისა და ბროშურების საცალო ფასების ფორმირებაში. საქართველოს ეკონომიკურმა თავისებურებანმა, მისმა ეკონომიკისა და კულტურის მდგომარეობამ „გვაიძულეს“ სადისერტაციო ნაშრომში გაგვეთვალისწინებინა ეს გარემოებანი წიგნის გავრცელების სახელმწიფო რეგულირების ვარიანტების შეხუშაგებაში, რომლებიც უნდა შეიცვალოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პირობების განვითარების პარალელურად.

თავი 3. წიგნით ვაჭრობის სრულყოფის გზები
საქართველოში

3.1. საკრედიტო ურთიერთობები წიგნით ვაჭრობაში საბაზრო ურთიერთობათა პირობებში

წიგნით ვაჭრობის კომერციალიზაცია საჭიროებს ახალ მიდგომებს ამ სფეროში საფინანსო კაპიტალის ფუნქციონირებისათვის. ცენტრალიზებული მართვისა და დაგეგმვის პირობებში კომერციულ კრედიტს არ შეეძლო განვითარება. თანამედროვე პირობებში წიგნის ბაზრის განვითარება წიგნით ვაჭრობის სუბიექტებს აიძულებს ეძიონ თავისი საქმიანობის დაკრედიტების ახალი ფორმები ისმის ლოგიკური კითხვა – რა უნდა გაკეთდეს საკრედიტო ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად წიგნით ვაჭრობაში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში?

ჩვენი აზრით, იმ პირობებში, როდესაც წიგნის ბაზრის საკრედიტო ინფრასტრუქტურა განუვითარებელი და არასრულყოფილია, წიგნით საცალო ვაჭრობის სუბიექტებს ესაჭიროებათ კრედიტის ისეთი ფორმა – როგორცაა საქონლით უზრუნველყოფილი სესხი. ერთის მხრივ, თამასუქებზე იგი უფრო გრძელვადიანია, ხოლო, მეორე მხრივ, საქონლით უზრუნველყოფილი სესხი იძლევა შესაძლებლობას, რომ სესხი გადახდილი იქნეს თანდათანობით, საქონლის რეალიზაციის მიხედვით, რაც შეესაბამება წიგნით ვაჭრობის საქმიანობის ხასიათს, რომელშიც ფინანსური დაბანდებები ბრუნდება ნელა და ნაწილ-ნაწილ. საქონლით უზრუნველყოფილი კრედიტი შეიძლება ორგანიზებული იქნეს წიგნით ვაჭრობის გაერთიანების შიგნით სოლო-თამასუქის დამატებითი უზრუნველყოფის სესხის ფორმით. ასეთი თამასუქების ხელახალი აღრიცხვის მეშვეობით სხვა დაწესებულებებში წიგნით ვაჭრობის გაერთიანებას შეუძლია მიიღოს საჭირო სახსრები, რომლებიც დააფინანსებენ მის საქმიანობას. საქონლით უზრუნველყოფილი კრედიტის სწორი გამოყენების შემთხვევაში საქონლით უზრუნველყოფილი სესხები ვახდება სარფიანი და იქცევა კაპიტალის უზრუნველყოფელ დაბანდებად საკრედიტო დაწესებულებების უმრავლესობისათვის. ამასთა-

განსაკუთრებულ ადგილს იკავებს წიგნის საქონლის გირაოს ქვეშ ბანკში სესხების მიღება ამ საკითხში საჭიროა განისაზღვროს ნაწილობრივი გამოსყიდვის ტენიკა, დადგინდეს პროცენტი, წიგნის შეფასების მეთოდი. დაგირავებული წიგნის პროდუქცია დამგირავებლის სურვილის მიხედვით შეიძლება გაიყდოს დაგირავებული გამოცემების რეალიზაციის გათვალისწინებით საჭიროა შესაბამისი მარკეტინგული საბუშაოს ჩატარება სარეალიზაციო წიგნების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად.

ღრმა ეკონომიკური კრიზისისა და წიგნით ვაჭრობის საქმიანობაში საბაზრო ინფრასტრუქტურის არასრულყოფილების პირობებში მნიშვნელოვნად გვესახება წიგნით ვაჭრობის სუბიექტების ურთიერთდაკრედიტების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც მოახდენს მათ ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის სტიმულირებას, მიუხედავად მათი მაკროეკონომიკური არასტაბილურობისა. ასეთი ურთიერთდაკრედიტება უფრო შედეგანი იქნება, თუ იგი მოხდება წიგნით ვაჭრობის გაერთიანების (ასოციაციის) და წიგნით ვაჭრობის დამოუკიდებელ სუბიექტთა თანამეგობრობის შიგნით.

წიგნით ვაჭრობის გაერთიანებამ უნდა გასცეს სესხები წიგნით ვაჭრობის ნაწარმოებზე, წიგნით დამოუკიდებელ მოვაჭრეებზე სრული საკუთრების უფლებებზე მათი კუთვნილი წიგნების, ნოტების, ილუსტრაციების და სხვა ნაბეჭდი ნაწარმოებების გირაოს ქვეშ განსაზღვრული პირობებით.

სესხის მიღების მსურველი წარუდგენს გაერთიანების მმართველობას (ხელმძღვანელობას) წერილობით განცხადებას თავისი განზრახვის შესახებ მიიღოს სესხი მისი სიდიდის, ვადის, გირაოს დასახელების ეგზემპლარების რაოდენობის მითითებით. განცხადებას თან უნდა დაერთოს იმ ნაბეჭდი ნაწარმოების ეგზემპლარი, რომლისთვისაც მოითხოვება სესხი, აგრეთვე დოკუმენტაცია, რომელიც მოწმობს გამოცემის ღირებულებას. თუ სესხი მოითხოვება გამოცემის არ მთელ რაოდენობაზე, არამედ მხოლოდ მის ნაწილზე, მაშინ უნდა იყოს ცნობები იმის შესახებ, თუ საით არის მიმართული გამოცემის სხვა ნაწილი.

სესხის მთხოვნელის განცხადება, რომელიც უზრუნველყოფილია ნაბეჭდი ნაწარმოებებით, განიხილება სასესხო კომიტეტის ან შემფასებელი კომისიის მიერ. იგი შეიძლება შექმნილი იყოს გაერთიანების მმართველობასთან გამოცემლების,

წიგნით ვაჭრობის საწარმოების და ლიტერატორების მიერ, რომლებიც შეირჩევა გაერთიანების მმართველობის საერთო კრების მიერ განსაზღვრული, წინასწარ შეთანხმებული ვადით. სასესიო კომიტეტი აწარმოებს წარმოდგენილი გირაოს შეფასებას და განსაზღვრავს იმ სესხის სიდიდეს, რომელიც შეიძლება გაიცეს.

შეფასება, რომელიც წარმოებს სასესიო კომიტეტის მიერ, უნდა გამოხატავდეს იმ ღირებულებას, რომლითაც შესაძლებელი იქნება ამოღებული იქნას კრედიტი, გირაოს გაყიდვის შემთხვევაში. სესხის სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს შეფასებით ღირებულების 80 პროცენტს. გარდა ამისა, სესხის განსაზღვრისას სასესიო კომიტეტმა უნდა შეაფასოს სესხის მიმღების პირადი კონკურენტუნარიანობა და მისი კავშირები წიგნის გამომცემლობით და წიგნის ვაჭრობით საქმიანობასთან.

სესხის მიმღები სესხის გაცემის შესახებ ინფორმირებული უნდა იქნეს წერილობით ფორმით. მიღებული გირაო დაზღვეული უნდა იყოს სესხის არა ნაკლებ 20 პროცენტისა და არა ნაკლებ დაკრედიტების ვადის ზემოთ ერთი თვისა. გადასახადი გირაოს შენახვაზე უნდა განხორციელდეს პერიოდით, რომელიც აღემატება სესხის გაცემის ვადას, მაგრამ არა ნაკლებ ერთი თვისა. მიღებული ქვითარი წიგნის საწყობიდან, სადაც ინახება დაგირავებული წიგნის პროდუქცია და სადაზღვევო პოლისი, სესხის მიმღებმა უნდა წარუდგინოს გაერთიანების გამგეობას განსაკუთრებულ ვალდებულებასთან ერთად, რომელშიც გადმოცემულია სესხის საერთო საფუძვლები

სესხით სარგებლობა უნდა წარმოებდეს სოლო-თამასუქის საფუძველზე და შეიძლება იყოს ვადიანი სესხის სახით, ანუ სესხის მიმღები დაუყოვნებლივ იღებს ნებადართულ სესხს და თავის თავზე ღებულობს ვალდებულებას დაფაროს იგი დაუყოვნებლივ ან სპეციალური მიზდინარე ანგარიშის საფუძველზე ღებულობს თანხას ნაწილ-ნაწილ და აწარმოებს ნაწილობრივ დაფარვებს.

ვადიანი სესხის დროს სესხის მიმღები გამოუწერს სოლო-თამასუქს გაერთიანების მმართველობას (გამგეობას) სესხის თანხასა და ვადაზე. ასეთი თამასუქი აღსარიცხავად მიიღება სააღრიცხვო კომიტეტის განხილვის გარეშე. ამასთანავე, პროცენტის სიდიდე უნდა განისაზღვროს გამგეობის ფულადი ბაზრის საერთო მდგომარეობაზე დამოკიდებულებით 1,5-2%-ის ჩვეულებრივ სააღრიცხვოს ზემოთ.

სესხის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. შეიძლება დაშვებული იქნას ვალდებულებები არა უმეტეს 3 თვის ვადით, მაგრამ სავალდებულო ნაწილობრივი დაფარვით.

სესხის მიმღების მიერ სესხის დროული დაბრუნების გააღვივების და თავისი გირაოს გამოყენების მიზნით სესხის მთელი თანხა შეიძლება განაწილდეს რამდენიმე ვადაზე, მაგრამ არა უმეტეს 6 თვისა. ამასთანავე ყოველ ვადაზე უნდა გამოიწეროს შესაბამისი სოლო-თამასუქი. გაერთიანების მმართველობის გათვალისწინების მიხედვით ყოველი ასეთი თამასუქის ვადაში გადახდის შემთხვევაში შეიძლება განთავისუფლდეს გირაოს ნაწილი.

სესხის ვადის გაგრძელების შემთხვევაში სასესხო კომიტეტის მიერ უნდა განხორციელდეს გირაოს გადაფასება და სესხის სიდიდე უნდა შემცირდეს. ამ შემთხვევაში სესხის მიმღები ვალდებულებას იღებს შეიტანოს წარმოქმნილი სხვაობა, ხოლო დანარჩენ თანხაზე გასცემს ახალ თამასუქს 3 თვით. ვადაგაგრძელებული სესხის თამასუქის აღრიცხვისას პროცენტები უნდა გაანგარიშდეს ამ დროს არსებული სააღრიცხვო პროცენტის მიხედვით.

გირაოს მიღებისას წიგნით ვაჭრობის გაერთიანების მმართველობამ (გამგეობამ) სესხის მიმღებზე უნდა გასცეს საგირავნო ქვითარი, შემდეგი აუცილებელი რეკვიზიტებით: გირაოს სახელწოდება, ეკზემპლარების რაოდენობა, შეკვრათა რაოდენობა, დაგირავებული საქონლის შეფასება, ანგარიშსწორება გაცემული სესხის მიხედვით და სესხის ვადა. ასეთ ქვითარში წარმოებული გადახდის შესახებ უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერები. ბოლო თამასუქის გადახდისას და გირაოს სრული გაცემის დროს ქვითარი უნდა დაუბრუნდეს გამგეობას (მმართველობას) სესხის მიმღების შესაბამისი ხელწერილით.

თუ სესხი დაიფარება ვადაზე, პროცენტები უნდა დაბრუნდეს მხოლოდ ვადაზე დარჩენილ მთელ თვეებზე. პროცენტების სიდიდე უნდა შეესაბამებოდეს იმ პროცენტების სიდიდეს, რომელიც გადაიხდება გაერთიანების მიერ მიმდინარე ანგარიშის მიხედვით.

თუ სოლო-თამასუქი არ დაიფარა ვადით განსაზღვრულ დროს, იგი ექვემდებარება პროტესტს დადგენილი წესით და გაერთიანების მმართველობა ყადაღას ადებს დაგირავებულ საქონელზე ან სესხის მიმღების სხვა ქონებაზე, დაგირავებული ქონების და სათამასუქო ბრუნვის საერთო წესების შესაბამისად

სესხის მიმღების სიკვდილის შემთხვევაში მემკვიდრეებს შეიძლება მიეცეთ მიმდინარე გადასახადების გადაკლება მათ მფლობელობაში შეყვანამდე.

გაერთიანების მმართველობამ უნდა დაიტოვოს სესხის ვადაზე დაფარვის უფლება, (თუ სესხის მიმღები გამოცხადდა გაკოტრებულ მოვალედ) თუ იგი უშვებს პროტესტამდე თავის სოლო-თამასუქს, აგრეთვე სესხის მიმღების მიერ ასოციაციის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

სპეციალური მიმდინარე ანგარიშის საფუძველზე სესხის გამოყენების შემთხვევაში სესხის მიმღები გაერთიანების გამგეობას გამოუწერს სოლო-თამასუქს წარდგენაზე სესხის მთელ თანხაზე ამასთანავე, სესხის მიღებაზე გაცემული უნდა იქნას საანგარიშსწორებო წიგნაკი, ჩეკის წიგნაკი და გაერთიანების მმართველობის ბრძანებების და განკარგულებების წიგნაკი. საანგარიშსწორებო წიგნაკში შეიტანება სესხის მიმღებისაგან მიღებული გირაო რაოდენობის, შეფასების და საგირაო ღირებულების აღნიშვნით; აგრეთვე სესხის დაფარვის მიხედვით სესხის მიღებაზე ამ კრედიტის მიხედვით შეტანილი უნდა იქნეს ყველა მიღებული სესხი და დაბრუნებული გირაო. სესხის მიღება და გირაოს დაბრუნება უნდა ჩაიწეროს უშუალოდ სესხის მიმღების მიერ, ხოლო შენატანები და გირაოს მიღება – გამგეობის აგენტების მიერ. სესხების მიღება უნდა განხორციელდეს ჩეკების მეშვეობით, ხოლო გირაოს უკან გამოთხოვნა გამგეობის ბრძანებებისა და განკარგულებების მეშვეობით. გირაოს გამოთხოვის წესი და სიდიდეები უნდა განისაზღვროს გამგეობის მიერ წინასწარ.

სესხების მიხედვით პროცენტები უნდა დაირიცხოს იმ ვადებში, რომლებიც შეესაბამებინ სესხის გამოყენების განმავლობაში მიმდინარე წლის ყოველი კვარტალის გადასახადს, მაგრამ არა ნაკლებ, ვიდრე თვის ერთი დეკადა. განსაზღვრულ პერიოდზე გაანგარიშებული პროცენტული თანხა უნდა შეჯამდეს ვალის თანხასთან. სესხების მიხედვით პროცენტების სიდიდე უნდა განისაზღვროს ფულადი ბაზრის საერთო მდგომარეობაზე დამოკიდებულებით: პროცენტის სიდიდის ნებისმიერი ცვლილების შესახებ გაერთიანების გამგეობამ (მმართველობამ) წერილობით უნდა აცნობოს სესხის მიმღებს.

თუ სასესხო დოკუმენტის დადებისას სესხის ჯამი პროცენტებთან ერთად გადაჭარბებს ნებადართული სესხის სიდიდეს, მაშინ სესხის მიმღებს უნდა მოეთხოვოს ნებადართული სესხის ჯამის გადაჭარბებული სიდიდის ნაწილობრივი

დაფარვა ერთკვირიან ვადაში. ამის შედეგად სესხის მიმღებს უნდა გადაეცეს ლოკუმენტის დაწვრილებითი ამონაწერი, რომლის სისწორეც დადასტურებული უნდა იქნას სესხის მიმღების მიერ ერთი თვის ვადაში.

სპეციალური მიმდინარე ანგარიშები გადახდილი უნდა იქნას სავალდებულო წესით, სულ მცირე წელიწადში ორჯერ. ასეთი საერთო გადახდების მოუხდევად საჭიროა ჩატარდეს გაერთიანების გამგეობის გადაწყვეტილების ნაწილობრივი შემოწმებები. მიმდინარე ანგარიშების გადახედვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნებადართული სესხის გამოყენების ხასიათს. კრედიტების მიხედვით ფულადი თანხების მცირედი მოძრაობა, თუ ამასთანავე ელინდება მათი სრული ან მნიშვნელოვანი დანახარჯი, შეიძლება სესხის სავალდებულო შემცირების მიზეზი გახდეს. მიმდინარე ანგარიშების გადახედვისას ტარდება გირაოს გადაფასება და საჭიროების შემთხვევაში სესხის სიდიდე მცირდება. სესხის მიმღები ვალდებულია ასეთი შემცირებისას წარმოქმნილი სხვაობა აწარმოოს გაერთიანების გამგეობის მიერ მიღებულ ვადაში.

სპეციალური მიმდინარე ანგარიში იხურება, როგორც კი სესხის მიმღები წვევტს წინით ვაჭრობით საქმიანობას. იგი უნდა დაიხუროს იმ შემთხვევაშიც, როცა სესხის მიმღები გაკოტრებულ მოვალედ ცხადდება, არ ასრულებს გაერთიანების გამგეობის მოთხოვნებს, ასევე მისი გარდაცვალების შემთხვევაში. ანგარიშის დახურვისას გაერთიანების გამგეობა განსაზღვრავს დარჩენილი ვალის დაფარვის თანდათანობას, რომლის ვადაც არ უნდა აღემატებოდეს ნახევარ წელს.

სესხის გამოყენების მოუხდევად გირაო შეიძლება მიეციდოს სესხის მიმღების მიერ სხვა პირს მასზე ვალის გადაცემით, მაგრამ სასესხო კომიტეტის მმართველობის თანხმობის პირობით. ამასთანავე, გირაოს მყიდველი აკეთებს ჩანაწერს თავისი ხელმოწერით საგირავნო ვალდებულებაში და გასცემს ახალ სოლო-თამასუქს, ხოლო გამგეობა აკეთებს აღნიშვნას გაცემულ საგირავნო ქვითარზე ან საანგარიშსწორებო წიგნაკზე. საჭიროების შემთხვევაში გამგეობას უნდა მიეცეს სესხის თავდაპირველი პირობების შეცვლის უფლება.

გირაოს თავდაპირველი ღირებულების 20 პროცენტით შემცირების შემთხვევაში სესხის მიმღებმა უნდა აცნობოს გამგეობას ერთი კვირის ვადაში და შეიტანოს შესაბამისი დანამატი ან დამატებითი გირაო. მოცემული პირობის დაუცველობისას გირაო უნდა დაექვემდებაროს გაყიდვას საჯარო ვაჭრობიდან.

ასეთ შემთხვევაში გირაოს გაყიდვა გაფორმებული უნდა იქნას გამგეობის განკარგულებით. ვაჭრობის ადგილის, დროის, წარმოების წესის, ვაჭრობის შესახებ შეტყობინების ხერხის დანიშვნა განისაზღვრება გამგეობის მიერ პროცენტებიდან გაცემული სესხის ფულადი თანხების ნაშთი, გაყიდვის დღის მიხედვით საურავი, შენახვასა და გაყიდვაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ეგზავნება სესხის მიმღებს.

დაგირავებული საქონლის დაცვა გაფუჭებისაგან უნდა განხორციელდეს კრედიტორის ან გაერთიანების ძალებით, თუ სესხის მიმღებმა დროულად მიიღო ყველა ზომა დაგირავებული საშუალებების ფიზიკური მდგომარეობისა და ხარისხის მიმართ.

დებიტორებს, რომლებმაც რაიმე მიზეზით დაარღვიეს კომერციული დაკრედიტების პირობები და პრინციპები, უნდა ჩამოერთვათ წიგნით უზრუნველყოფილი სესხების მიღების უფლება ორი წლის განმავლობაში.

შემდგომში წიგნით ვაჭრობის გაერთიანებამ უნდა დაიტოვოს საკრედიტო ფუნქციები, რადგან მისი ძირითადი ამოცანაა – წიგნის გაერყელება და ყველა წიგნით ვაჭრობის სუბიექტების ძალისხმევების გაერთიანება მათ მიერ წიგნით ვაჭრობის პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით. მაგრამ ამჟამად, როდესაც საბაზრო ურთიერთობებმა წიგნით ვაჭრობაში ჯერ კიდევ ვერ კპოვეს სათანადო განვითარება, წიგნით ვაჭრობის საწარმოების და წიგნით ვაჭრობის დამოუკიდებელი სუბიექტთა კავშირის წარმოდგენა საკრედიტო დაწესებულებად, რომელიც მუშაობს კომერციული დაკრედიტების არასრულყოფილი მეთოდებით, არა მარტო მიზანშეწონილია, არამედ ჩვენი აზრით, აუცილებელიცაა. მაღალი ინფლაციის, წიგნის პროდუქციის რეალიზაციისა და შესყიდვის გამწვავებული პრობლემების პირობებში წიგნით ვაჭრობის საწარმოები იძულებულნი არიან შეიძინონ წიგნის პროდუქცია გამომცემლობებისა და საბითუმო რგოლისაგან წინასწარი გადახდის პირობებით ნაღდი სახსრების არ ქონა ართულებს სასაქონლო მიმოქცევას, ანელებს კაპიტალის ბრუნვადობის სიჩქარეს და საბოლოო ჯამში ხელს უწყობს წიგნით ვაჭრობის საწარმოს ფინანსური მაჩვენებლებისა და მდგომარეობის გაუარესებას.

მაღალგანვითარებული საბაზრო ინფრასტრუქტურის პირობებში, სპეციალური ფულად-საკრედიტო დაწესებულებების, საბანკო სტრუქტურების გაჩენა გამოწვეულია წიგნის ცივილიზებული ბაზრის ობიექტური მოთხოვნებით

წიგნით უზრუნველყოფილი კომერციული კრედიტის განვითარება იძლევა იმის საშუალებას, რომ უფრო ეფექტიანად იქნეს შერწყმული წიგნებისა და ბროშურების გაყიდვის ფორმები განვადების სახით კრედიტით საქონლის რეალიზაცია გარკვეულწილად ასტიმულებს წიგნით ვაჭრობის საქმიანობას, მაგრამ კრედიტით გაყიდვა საჭიროებს ინფლაციის ტემპების პროგნოზირებას საიმედოობის უდიდესი ხარისხით. ყველა ფულადი საშუალება და ფასები უნდა დაექვემდებაროს ინდექსაციას. წიგნით ვაჭრობის საქმის პრაქტიკა კი ამჟამად არ გამოიყენებს არც კომერციულ და არც სამომხმარებლო კრედიტს, რომლებიც წარმოადგენენ წიგნით ვაჭრობის ეფექტიანობის ამაღლების დიდ რეზერვს

პრაქტიკაში ნაბეჭდი ნაწარმობებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემის გამოყენება ფასიანი ქაღალდის დამატებითი უზრუნველყოფით, რომელსაც ბრუნვის უნარი გააჩნია მეორად ფინანსურ ბაზარზე, ფინანსურმიმართულებაში წარმოადგენს არა მხოლოდ წარმატების მქონე, არამედ ნაკლებად წარმატებული წიგნით ვაჭრობის სტრუქტურების დაკრედიტების მნიშვნელოვან პირობას. ამ უკანასკნელთა შეუძლიათ მიმართონ წიგნით ვაჭრობის გაერთიანებას, თუ იგი აწარმოებს საკრედიტო საქმიანობას.

წიგნით უზრუნველყოფილი სესხების გაცემის ზემოთ ნაჩვენები მექანიზმი არ წარმოადგენს უდავოს და საბოლოოს. კომერციული კრედიტის გამოყენების ზოგიერთი ასპექტი სადისკუსიოა ასე მაგალითად, არსებობს მოსაზრება, რომლის შესაბამისად ექვსთვიანი კრედიტი წიგნით ვაჭრობის საწარმოებისათვის არ არის საკმარისი და იგი უნდა გაიზარდოს ცხრა თვიან ან ერთ წლამდე ვადით¹ ასეთი მსჯელობა დაკავშირებულია იმასთან, რომ წიგნის ბაზრის დღევანდელ პირობებში დახარჯული კაპიტალი ძალიან ნელა ბრუნდება, თუ იგი დაბანდებულია სპეციალურ, ვიწროპროფესიულ გამოცემებში, ან მყიდველთა ვიწრო კონტიგენტზე გათვალისწინებულ სხვა გამოცემებში.

სხვა პრობლემას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ წიგნით უზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებულია დიდ რისკთან. ასეთი რისკი იმით

¹ წიგნით ვაჭრობის საწარმოების (მაღაზიების) დირექტორების გამოკითხვების შედეგად

აიხსნება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ძალიან ძნელია გირაოს სახით წარმოდგენილი გამოცემების შეფასება და შესაბამისად, გასაცემი სესხის სიდიდის განსაზღვრა. წიგნის პროლუქციის სახმარი ღირებულების რაიმე რაოდენობრივი მანასიათებლების უქონლობა ქმნის განსაზღვრულ სიძნელეებს დაგირავებული გამოცემების გასავლიანობის ხარისხის პროგნოზირებაში. ამასთან დაკავშირებით, გასავლიანობის ხარისხის შესაფასებლად მოწვეულ უნდა იქნეს წიგნის მარკეტინგის გამოცდილი სპეციალისტები, რომლებიც კარგად არიან ორიენტირებულნი ასორტიმენტის მიხედვით ლიტერატურის გასავლიანობის საკითხებში

შეიძლება დაისვას საკითხი იმის თაობაზე, რომ წიგნით უზრუნველყოფილი სესხების გაცემა ხელს ზომ არ შეუწყობს საზოგადოების ისედაც შეზღუდული საშუალებების შემცირებას. უპირველეს ყოვლისა, გაცემულ სესხებს აქვთ მიზნობრივი მიმართულება, ისინი ხელს უწყობენ წიგნით ვაჭრობის საქმიანობის განვითარებას მეორეც, ყველა სესხი გაიცემა განსაზღვრული პროცენტით და უზრუნველყოფილია ფასიანი ქაღალდებით, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნენ ხელახლა აღრიცხული სახელმწიფოებრივი ბანკის მიერ.

წიგნით ვაჭრობაში საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, უნდა თანაარსებობდნენ პრინციპულად სხვადასხვა საკრედიტო ოპერაციები, რომელთაგანაც ნებისმიერი შეიძლება იყოს ყველაზე მიზანშეწონილი მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში (სიტუაციაში). ასე მაგალითად, საკომისიოდ წიგნების მიღება უნდა იყოს როგორც სესხის გაცემის გარეშე, ისე სესხის გაცემით. უკანასკნელ შემთხვევაში ოპერაციას ორნაირი შინაარსი აქვს. ერთის მხრივ, ზორცივლდება წიგნების მიღება საკომისიო საწყისებზე, ხოლო მეორე მხრივ წიგნების ჩამბარებელ პირზე გაიცემა კრედიტი, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს პროცენტების გარეშე ან პროცენტების გამოყენებით – თამასუქი მის აღრიცხვაზე გაწეული დანახარჯების გამოკლებით. ბოლო შემთხვევაში წიგნის ნამდვილი ფასი უნდა განისაზღვროს გაერთიანების შემფასებელ კომისიაში შემავალ მონაწილეთა კრების მიერ.

წიგნით ვაჭრობის სტრუქტურების შიგნით კომერციული კრედიტის განვითარების იდეა, ჩვენი აზრით, განხორციელებადი, სიცოცხლისუნარიანი და საჭიროა ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პირობებში.

3.2. ხელმოწერით გამოცემათა რეალიზაციის ძირითადი ასპექტები

ხელმოწერითი გამოცემების გაყიდვამ ფართო გავრცელება ჰპოვა წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივ სისტემაში იგი ხელმოწერს უზრუნველყოფდა გარანტიით იმ ერთტომეულ თუ მრავალტომეულ გამოცემებზე, რომელზეც ფორმდებოდა ხელმოწერა.

წიგნით ვაჭრობის საცალ საწარმოების ხელმოწერითი გამოცემების განყოფილებების (სექციების) სტაბილური და მოწესრიგებული ორგანიზაცია შესაძლებელი იყო წიგნის პროდუქციის ხელმოწერითი სასაქონლო ფონდებისა და ფასების ღირებუთი დაგვემის პირობებში.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში ხელმოწერითი გამოცემების გაყიდვა ადვილს უთმობს წიგნის გავრცელების სხვა ფორმებს. ეს რამდენიმე მიზეზით აიხსნება.

უპირველეს ყოვლისა, ინფლაციის შემთხვევა ხელს უწყობს მრავალტომეული გამოცემის ყოველ შემდგომ სარეალიზაციო ტომზე ფასების მნიშვნელოვან ზრდას. იმ შემთხვევაში, თუ ხელმოწერითი გამოცემა ერთტომეულია, არსებითი განსხვავება ამ გამოცემის ხელმოწერის ჩატარებისა და რეალიზაციის ვადებში ასევე ხელს უწყობს წიგნის გაძვირებას.

მეორეც, რთულდება ხელმოწერითი გამოცემების გაყიდვა სხვა ქალაქებში მყოფ მყიდველებზე. საფოსტო-საამანათო გაზავნილები ფასდადებით არსებითად ზრდიან ხელმოწერის ღირებულებას წიგნების გადაგზავნაზე საჭირო ხარჯებისათვის.

მესამეც, განიცდიან რა ფინანსურ სირთულეებს, გამოცემლობები არც თუ ისე იშვიათად უარს ამბობენ სრული მრავალტომეული გამოცემის გამოშვებაზე ან ამცირებენ მის ტირაჟს ისეთ სიდიდეებამდე, რომლებიც ხელმოწერებს არ აძლევენ იმის შესაძლებლობას, რომ გამოისყიდონ ხელმოწერითი გამოცემების მორიგი ტომები

მეოთხეც, წიგნით მოვაჭრე საცალო საწარმოებმა დაკარგეს ეკონომიკური დაინტერესება ხელმოწერითი გამოცემების მიხედვით ხელმოწერებთან ანგარიშსწორების ნაწილში მყარი პასივების თანხის გაზრდაში. ხელმოწერის გაფორმებას უმეტეს შემთხვევაში თან სდევდა ხელმოწერაზე აბონემენტის გაცემა

მის მიერ ხელმოწერითი გამოცემის ბოლო ტომის ღირებულების ან გამოცემის ღირებულების ნაწილის გადახდის პირობით. ეს ავანსები თავისი ეკონომიკური ბუნებით წარმოადგენენ საწარმოს ნასესხი საშუალებების წყაროს, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი გაბუღებით გადადიან ერთი ფინანსური პერიოდიდან მეორეში ასეთი ფინანსური შენატანები ჩაირთვება საკუთარი საშალებების ჯგუფში. ინფლაცია აიძულებს მალაზიებს უარი თქვან ხელმოწერებთან ანგარიშსწორების დიდი თანხების დაგროვებაზე

წიგნით მოვაჭრე საცალო საწარმოების ხელმოწერითი გამოცემების განყოფილებების საქონელბრუნვის ზრდის ხელშემწყობი პირობების შექმნა წარმოადგენს წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან რეზერვს

ჩვენ ვთვლით, რომ ხელმოწერითი გამოცემების რეალიზაციის ძველი, ტრადიციული ტექნიკა და ორგანიზაცია არ შეესაბამებინან ქვეყანაში და ღარგში მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას, ამუხრუჭებენ წიგნის გავრცელების მოცემული ფორმის განვითარებას.

წიგნით ვაჭრობაში საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობების განვითარების პირობებში იმ წიგნის მალაზიებს, რომლებიც ახდენენ ხელმოწერითი გამოცემების რეალიზაციას, მიზანშეწონილია მიეცეს მოცემულ კონკრეტულ ხელმოწერით გამოცემაზე შემნახველი სერტიფიკატების (მოწმობების) გამოცემისა და გაყიდვის უფლება. მათ უნდა შეასრულონ მალაზიის მიერ ხელმოწერითი შემნახველი სერტიფიკატის რეალიზაციის მომენტში ხელმოწერითი გამოცემის სრული ან ნაწილობრივი ღირებულების ოდენობით ხელმოწერის ფულადი საშუალებების მიღების შესახებ წიგნით ვაჭრობის საწარმოს წერილობითი მოწმობის როლი.

ხელმოწერითი შემნახველმა სერტიფიკატმა უნდა უზრუნველყოს შემნახველის ხელმოწერითი გამოცემების მიღება გამოცემების მორიგ ტომებზე დამატებითი გადახდის გარეშე, მიუხედავად ინფლაციის პროცენტის და გამოცემის თვითღირებულებაში ცვლილებების, წიგნის ბაზრის შესაბამისი სემენტის ტევადობის და წიგნის რეალიზაციის მიუხედავად

ხელმოწერითი შემნახველი სერტიფიკატი უნდა ფლობდეს პირველად საფინანსო ბაზარზე ბრუნვადი ფასიანი ქაღალდის ყველა უფლებას. იმის გამო, რომ წიგნით ვაჭრობაში საფონდო ოპერაციებმა ვერ ჰპოვეს სათანადო

განვითარება და გაერცვლება, მნიშვნელოვნად გვესახება ამ სფეროში ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნის პირველ ეტაპზე სახელობითი ხელმოწერითი შემნახველი სერტიფიკატების გამოშვება.

მიზანშეწონილია სერტიფიკატების გამოშვება ბრუნვის განისაზღვრული ვადით, მაგალითად, ერთი წლით. თხზულებათა მრავალტომეული კრებულის ან თემატიკური ბიბლიოთეკის შემთხვევაში მოცემული ფასიანი ქაღალდის ბრუნვის ვადა შეიძლება გაიზარდოს 3-5 წლამდე ამასთანავე, ხელმოწერითი შემნახველი სერტიფიკატები განიხილებიან როგორც გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები.

ხელმოწერის მიერ მოცემულ ხელმოწერით გამოცემაში ჩადებული თანხა განიხილება როგორც შენატანი, ანუ დეპოზიტი, ხოლო ხელმოწერი ამ შემთხვევაში განიხილება, როგორც ინვესტორი.

ხელმოწერითმა შემნახველმა სერტიფიკატმა უნდა უზრუნველყოს მფლობელის ნაღდი ფასიანი ქაღალდის ღირებულების ტოლი დეპოზიტის და მის მიხედვით პროცენტების მიღების უფლება. დეპოზიტის მიღება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ხელმოწერითი შემნახველი სერტიფიკატის მფლობელი უარს ამბობს მოცემულ ფასიან ქაღალდებში მითითებული ხელმოწერითი გამოცემის შეძენაზე

სერტიფიკატი შეიძლება იყოს ვადიანი, ვადა უნდა განისაზღვროს ფასიანი ქაღალდის გამოშვება-გაყიდვის მომენტში გარდა ამისა, განისაზღვრება პროცენტი დეპოზიტის მიხედვით, რომელიც შემდგომში აღარ უნდა შეიცვალოს. თუ ხელმოწერითი შემნახველი სერტიფიკატის მფლობელი ითხოვს დაბანდებული საშუალებების დაბრუნებას დეპოზიტის დადგენილ ვადაზე და ამგვარად, უარს ამბობს ხელმოწერით გამოცემაზე, საწარმო-ემიტენტი ვალდებულია მიიღოს სერტიფიკატი აღრცხვაზე და გადაიხადოს მის მიხედვით შენატანებთან ერთად შემცირებული პროცენტი ჯარიმის სახით.

ხელმოწერის უარი გამოცემაზე არ უნდა განიხილებოდეს როგორც ეკონომიკური ზარალი საწარმო-ემიტენტისათვის. წიგნით ვაჭრობის საწარმოს შეუძლია გამოუშვას ახალი ხელმოწერითი შემნახველი სერტიფიკატი გადახედული ღირებულების გათვალისწინებით ან მოახდინოს ხელმოწერითი გამოცემის რეალიზაცია თავისუფალ გაყიდვაში საბაზრო ფასით. როგორც პირველ,

ისე მეორე შემთხვევაში ამ ფასიანი ქაღალდების გამოშვება და ყიდვა-გაყიდვა წიგნით ვაჭრობის საწარმოთათვის ეკონომიკურად გამართლებულია.

საწარმო-უმიტენტის მიერ ხელმოწერითი შემნახველი სერტიფიკატების გაყიდვით მიღებული საშუალებები წარმოადგენენ იმ ნასესხი საშუალებების წყაროს, რომლებითაც ხდება საკუთარი სამეურნეო საქმიანობის დაფინანსება და რომლებიც ასტიმულირებენ საწარმოს მთლიანი შემოსავლების ზრდას

ხელმოწერითი შემნახველი სერტიფიკატი შეიძლება გამოშვებული იქნას წიგნით ვაჭრობის საწარმოს მიერ მოთხოვნამდე ამასთანავე მის მფლობელს უფლება აქვს გამოითხოვოს დეპოზიტი ნებისმიერ პერიოდში – როგორც ფასიანი ქაღალდის ბრუნვის დროს, ისე ამ ვადის გასვლის შემდეგ.

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში წიგნით ვაჭრობის საბითუმო და საცალო საწარმოები სულ უფრო ხშირად დებენ პირდაპირ სამეურნეო ხელშეკრულებებს უშუალოდ წიგნის პროდუქციის მწარმოებლებთან. შესაბამისი სასაქონლო ასორტიმენტის მიხედვით ხელმოწერითი გამოცემების მიწოდების ხელშეკრულების პირობების დაცულობა ერთდროულად იწვევს ხელმოწერ-მყიდველებთან წიგნით ვაჭრობის საწარმოს საფინანსო ურთიერთობების გაართულებას. მოცემული პრობლემა მარტივდება, თუ ხელმოწერითი გამოცემის გამყიდველად გამოდის საგამომცემლო-პოლიგრაფიული კომპლექსის წიგნის მალაზია. ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი კომპლექსი განიხილება როგორც წიგნის ბაზრის ერთი სამეურნეო რგოლი.

ხელმოწერითი შემნახველი სერტიფიკატების ემისიის იდეა ეკონომიკურად გამართლებული და განხორციელებადია იმ შემთხვევაში, თუ საწარმო-უმიტენტსა და ხელმოწერითი გამოცემების მიმწოდებელს შორის არსებობენ საჭირო საფინანსო ურთიერთობები, რომლებიც იცავენ წიგნით ვაჭრობის საწარმოებს ხელმოწერითი გამოცემების სფეროში მიწოდებულების მიერ წიგნის პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო პირობების დაუცველობისაგან.

ჩვენი აზრით, საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობის განვითარება წიგნით ვაჭრობაში აყენებს ისეთი ფასიანი ქაღალდების ემისიის ამოცანას, რომლებსაც ექნებათ უნარი მეორად საფინანსო ბაზარზე ბრუნვისა. ასეთი ფასიანი ქაღალდები შეძლება იყოს სადეპოზიტო ხელმოწერითი სერტიფიკატები. ფასიანი ქაღალდები ყველაზე გამოსაყენებელია მფლობელთათვის მცირე მებითუმე მყიდველების სახით-

საწარმოებისათვის, ორგანიზაციებისათვის, დაწესებულებებისათვის, აგრეთვე ბეჭდვითი პროდუქციის მებიტუჲე-შუამავლებიშათვის.

ინფლაციისაგან დაცული ხელმოწერითი გამოცემების რეალიზაციის მიხედვით სადეპოზიტო ხელმოწერითი სერტიფიკატი ასრულებს ემიტენტის სავალე ხელწერილის როლს იგი ზასიათდება დეპოზიტის მსხვილი ნომინალით და სიდიდით დეპოზიტური ხელმოწერითი სერტიფიკატი უნდა იყოს ყოველთვის ვადიანი. გაღაზდის ვადის დადგომამდე იგი შეიძლება მფლობელის მიერ გაიყიდოს მეორად საფინანსო ბაზარზე. ამ შემთხვევაში საწარმო-ემიტენტი საფინანსო ურთიერთობებში შედის დეპოზიტური ხელმოწერითი სერტიფიკატის ახალ მფლობელთან.

ბანკის დეპოზიტური სერტიფიკატიშაგან განსხვავებით, ხელმოწერითი დეპოზიტური სერტიფიკატი წარმოდგენზე თავისუფლად უნდა ბრუნავდეს მეორად ბაზარზე ერთ წელზე მეტი ვადით. ეს დაკავშირებულია ხელმოწერითი გამოცემების დაბეჭდვიდან გამოსვლის და წიგნით ვაჭრობის საბითუმო და საცალი ქსელში მისი მოხვედრის ზანგრძლივ პერიოდთან.

ხელმოწერითი გამოცემების მწარმოებელი პოლიგრაფიისა და გამომცემლობის ხელმძღვანელობა დასაფინანსებელი საშუალებების მოზიდვის მიზნით, უნდა ფლობდეს შემნახველი ხელმოწერითი სერტიფიკატების და დეპოზიტური ხელმოწერითი სერტიფიკატების ემისიის უფლებას. მოცემული ფასიანი ქაღალდების მფლობელები შეიძლება იყვნენ ხელმოწერითი გამოცემების ყველა პოტენციური მყიდველი.

ბეჭდვითი პროდუქციის წარმოების და საბოლოო მოზმარების ვადები არსებითად განსხვავებულია. საგამომცემლო-პოლიგრაფიული კომპლექსების მიერ ხელმოწერითი შემნახველი სერტიფიკატებისა და ხელმოწერითი დეპოზიტური სერტიფიკატების გამოშვება მიზანშეწონილია შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ფასიანი ქაღალდების ემისია და მათი გაყიდვა ხელს შეუწყობს ხელმოწერითი გამოცემების საწარმოებლად დამატებითი ფულადი საშუალებების მოზიდვას;
- იგი იძლევა მოცემული წარმოების შედარებით სწრაფ და მსხვილ დაფინანსების საშუალებას;

- მფლობელის უარს ხელმოწერით გამოცემაზე მოჰყვება ხელმოწერითი დეკლარაციის სერტიფიკატის გაყიდვა სხვა მფლობელზე, რაც აგრეთვე დაკავშირებულია ბექდევითი პროდუქციის საწარმოებლად ფინანსური რესურსების შენახვასა და გამოყენებასთან.

ყველაზე პრობლემურსა და რთულს, ჩვენი თვალსაზრისით, წარმოადგენს საკითხი მეორად საფინანსო ბაზარზე ბრუნვადი ხელმოწერითი დეკლარაციის სერტიფიკატის ფასის შესახებ.

ხელმოწერითი დეკლარაციის სერტიფიკატის გადაცემისას მისი ფასი უნდა განისაზღვროს:

- მეორადი ბაზრის ტვეადობის გათვალისწინებით, ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ისეთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ხელმოწერით შენახველ სერტიფიკატს ბრუნვა შეუძლია მხოლოდ წიგნით საფინანსო ბაზარზე, რომლის სუბიექტები შემოიფარგლება დარგობრივი ჩარჩოებით;
- საჭიროა ხელმოწერითი სერტიფიკატის დაფარვის გათვალისწინება, ამასთანავე დაფარვის პირობები საერთოა, იმ ფასიანი ქაღალდებისათვის ნიშნდობლივი, რომლებიც ბრუნავენ ნებისმიერ სხვა მეორად საფინანსო ბაზარზე;
- წიგნით ვაჭრობაში ფასიანი ქაღალდების განვითარების იდეა გნხორციელებადია მიმდინარე პროცენტული განაკვეთის გათვალისწინებით მხოლოდ წიგნის ბაზრის სუბიექტების ბანკთან თანამშრომლობის შემთხვევაში. ბანკი წარმოადგენს სტაბილურობის გარანტს წიგნის ბაზრის სამურნეო სუბიექტებსა და ცალკეულ ფიზიკურ პირებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში

წიგნით ვაჭრობის სფეროში საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნა ზრდის ბანკის როლს დარგში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებასა და განვითარებაში. წიგნის ბაზრის სუბიექტების თამასუქებითა და სერტიფიკატებით ოპერაციებს განვიხილავთ, როგორც ბანკის საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახეს, რომელიც ხელს უწყობს კაპიტალის ეფექტიან მოძრაობას, საშუალებების განაწილებასა და გადანაწილებას წიგნის ბაზრის შიგნით, წიგნით ვაჭრობის საქმიანობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას

3.3. წიგნით ვაჭრობის საწარმოს ფინანსური დაგეგმვის თავისებურებანი

წიგნით ვაჭრობის საწარმოს ფინანსური დაგეგმვის, ანუ შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსის შედგენა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ეტაპს საწარმოს ეკონომიკურ მუშაობაში ფინანსური გეგმა განსაზღვრავს შემოსავლების სახეებს და საშუალებების შემოსავლის წყაროებს, აგრეთვე მათი ხარჯვის მიმართულებებს

თანამედროვე პირობებში წიგნით ვაჭრობის საწარმოს ფინანსური დაგეგმვის პროცესი ზოგიერთ ცვლილებას განიცდის. ეს ცვლილებები გამომდინარეობენ იმ საერთო ფაქტორებიდან, რომლებიც ახდენენ წიგნით ვაჭრობის ტრანსფორმირებას.

წიგნით ვაჭრობის საწარმოს ფინანსური გეგმის შედგენის მეთოდოლოგია საბაზრო ურთიერთობათა პირობებში უნდა აიგოს რიგი ფუძემდებლური თეორიული დებულებებიდან გამომდინარე:

- საწარმოს საკუთარი საშუალებების წყარო შეიძლება იყოს მხოლოდ საკუთარი სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგი, აგრეთვე სხვა თურიდიული და ფიზიკური პირის-სპონსორის ან დამფუძნებლის შემონატანი;
- წიგნით ვაჭრობის საწარმო, როგორც დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტი, დამოუკიდებლად მოიძიებს როგორც სარეალიზაციო, ასევე არასარეალიზაციო საქმიანობიდან მთლიანი შემოსავლების ზრდის დამატებით წყაროებს;
- სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლების ცალკეული ნორმატივები, რომლებიც წარსულში „დაიშვებოდა“ ზემდგომი ორგანიზაციების (ორგანოების) მიერ, შეიძლება გაანგარიშებულ იქნენ უშუალოდ საწარმოში შიგამსაქმურნეო დაგეგმვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით;
- წიგნით ვაჭრობაში საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების პირობებში წიგნით ვაჭრობის საწარმოს აქვს ისეთი მნიშვნელოვანი საფინანსო მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა თავის სამეურნეო საქმიანობაში, როგორცაა თვითდაკრედიტება ფასიანი ქაღალდების ემისიის გზით

ჩვენი აზრით, ფინანსური დაგეგმვის პროცესი შეიძლება განხილული იქნეს როგორც ვიწრო, ისე ფართო ასპექტში. ტრადიციულად იგი გაიგივებულა ფინანსური გეგმის შედგენის პროცესთან, რადგან ამ უკანასკნელს წინ უძღვის დიდი ეკონომიკური საშუალო, რომელიც დაკავშირებულია სამეურნეო სუბიექტის ცალკეული ფინანსური მაჩვენებლების დაგეგმვასთან. ფართო ასპექტში ფინანსური

დაგეგმვის პროცესი უნდა მოიცავდეს საწარმოს მთელ საქმიანობას ამ მაჩვენებლების დაგეგმვის მიხედვით. ფართო ასპექტში წიგნით გაჭრობის საწარმოს ფინანსური დაგეგმვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- წიგნის და სხვადასხვა საქონლის რეალიზაციის დაგეგმვა;
- წიგნის და სხვადასხვა საქონლიდან შემოსული თანხის დაგეგმვა თვითღირებულების მიხედვით;
- მოლიანი შემოსავლების დაგეგმვა;
- მიმოქცევის ხარჯების დაგეგმვა;
- მოგების დაგეგმვა;
- სხვა აქტივების შექმნისთვის საშუალებებზე მოთხოვნილების განსაზღვრა;
- საგეგმო წელს მყარი პასივების თანხის ცვლილების გაანგარიშება;
- სპეციალური დანიშნულების ფონდებში მოგებიდან ანარიცხების გაანგარიშება;
- შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსის შედგენა;
- მოგების გამოყენებისა და მყარი პასივების ზრდის გაანგარიშება.

წიგნით გაჭრობის საწარმოს შიგა სამეურნეო დაგეგმვაში მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს საფინანსო მაჩვენებლების ეკონომიკური ანალიზი როგორც უშუალო დაგეგმვის საწყისი ინფორმაცია.

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგების დაგეგმვა ზორციელდება საქონლის შემოსვლისა და რეალიზებული სასაქონლო ფასნაღებების საგეგმო მაჩვენებლების გამოყენებით. საქონლის რეალიზაციიდან ამონაგების დაგეგმვა უნდა მოიცავდეს:

- სასაქონლო ჯგუფებისა და გაყიდვის სახეობების მიხედვით რეალიზაციის ანალიზს;
- რეალიზაციის ანალიზს საწარმოს ქვედანაყოფის მიხედვით;
- სასაქონლო მარაგის ანალიზს;
- საქონლის შემოსვლის ანალიზს;
- გაყიდვის, შემოსავლის მიქლების და სასაქონლო მარაგს შორის ურთიერთდამოკიდებულების ანალიზს;
- საქონლის ჯგუფებისა და გაყიდვის სახეობის მიხედვით რეალიზაციის გეგმის შედგენას;
- პერიოდების მიხედვით რეალიზაციის გეგმის შედგენას;

- საქონლის მოძრაობის გეგმის შედგენას.

წიგნით ვაჭრობაში ფასდაკლებების ლიკვიდაციამდე წიგნით ვაჭრობის ეკონომიკის სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში წიგნით ვაჭრობის საწარმოს მთლიანი შემოსავალი ზშირად გაიფიქრებული იყო რეალიზებულ სავაჭრო ფასნამატთან. ეს აიხსნება იმით, რომ 1990 წლამდე ქვეყნის (მაშინდელი სსრ კავშირის, რომლის შემადგენელი ნაწილი იყო საქართველო) წიგნით ვაჭრობის მთლიანი შემოსავლების 95 პროცენტზე მეტს შეადგენდა რეალიზებული სავაჭრო ფასდაკლება. წიგნით ვაჭრობის საწარმოებში არასარეალიზაციო ოპერაციებიდან შემოსავლები ან საერთოდ არ არსებობდნენ ან მთლიანად შემოსავლების უმცირეს ნაწილს შეადგენდნენ.

წიგნით ვაჭრობის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამდე წიგნით ვაჭრობის საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობაზე დამოკიდებულ შემოსავლების ზრდის ერთადერთ წყაროს წარმომადგენდა საქონლებრუნვის ზრდა ფასდაკლებების სიდიდე ასორტიმენტის საქონლის ჯგუფების, საქონლის შემოსავლების წყაროების მიხედვით კონტროლდებოდა წიგნით ვაჭრობის ზემდგომი სტრუქტურების მიერ და არანაირად არ იყო დამოკიდებული წიგნით ვაჭრობის საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობაზე. საქონლის მიმწოდებელთა მიმდგრებაც წიგნით ვაჭრობის საწარმოზე ზორციელდებოდა ზემდგომი ორგანოების მიერ.

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში წიგნის ბაზრის ეკონომიკურად დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტი თვითონ განსაზღვრავს მიმწოდებლების რაოდენობასა და სტრუქტურას, საქონლის ასორტიმენტს და შესაბამისად, დამოუკიდებლად შეუძლია დაარეგულიროს სავაჭრო ფასნამატის საშუალო პროცენტი ამა თუ იმ ობიექტის მიხედვით განსაზღვრული მოცემული პერიოდისათვის.

გაფართოებულია არასარეალიზაციო ოპერაციებიდან შემოსავლების მიღების შესაძლებლობებიც, რადგან ეს ოპერაციები რეგულირდებიან უშუალოდ საწარმოს მიერ. არასარეალიზაციო ოპერაციებიდან შემოსავლები შეიძლება მიღებული იქნენ აგრეთვე, სხვა სამეურნეო სუბიექტებისათვის სავაჭრო ფართობის არენდით გაცემის, მცირე მებითუმე და საცალო მყიდველებისათვის ფასიანი მომსახურების გაწევის შედეგად. ასეთ მომსახურებას შეიძლება მივაკუთვნოთ საწარმოების,

ორგანიზაციების, დაწესებულებებისათვის ლიტერატურის დაკომპლექტება, წიგნის მიღება შესანახად, საქონელმცოდნის გამოახება კერძო ან საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის შესაფასებლად. საანტიკვარო-ბუკინისტური აუქციონების ჩატარება, ბიბლიოგრაფიული მომსახურება, მყიდველთა შეკვეთების შესრულების მიხედვით მომსახურება და სხვა. არასარეალიზაციო ოპერაციებიდან შემოსავლების შემადგენლობაში შედიან შემოსავლები, რომლებიც ნიშნდობლივია მთელი ვაჭრობისათვის:

- ერთობლივ საწარმოში წილობრივი მონაწილეობისაგან მიღებული შემოსავლები, ქონების არნდით გაცემისაგან მიღებული შემოსავლები, დივიდენდები საწარმოს კუთვნილი ფასიანი ქაღალდების მიხედვით;
- ჯარიმები, რომლებიც მიღებულია მიწოდებლებისაგან არასრული მიწოდების და საქონლის ხარისხის დარღვევისათვის, სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევისათვის, ანგარიშის არადროული გადახდის გამო მყიდველებისაგან მიღებული საურავები;
- საწარმოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების თანხები;
- თანხები, რომლებიც მიღებულია ადრე ჩამოწერილი ვალებიდან დანაკლისების, კრედიტით გაყიდულ საქონელზე. ჩამოწერილი დებოტორული დავალიანებების მიხედვით.

დღეისათვის არასარეალიზაციო ოპერაციებიდან შემოსავლის წყაროს წარმოადგენს საეაჭრო ფართობის გაცემა. თბილისის წიგნით ვაჭრობის საცალო საწარმოების მუშაობის ჩვენს მიერ ჩატარებულმა შერჩევითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ შემოსავლები არასარეალიზაციო ოპერაციებიდან შეადგენენ საწარმოს მთლიანი შემოსავლის სიდიდის 10-დან 30 პროცენტამდე და ზოგ შემთხვევაში უფრო მეტსაც. ეს ანალიზი არ მოიცავს ბუკინისტური წიგნის მაღაზიებს, რომლებშიც იმ ფასიანი მომსახურების წილი, რომელიც გაეწევა მყიდველს, გაცილებით მაღალია, ვიდრე წიგნის ასალ მაღაზიებში.

წიგნით ვაჭრობის ბევრ საწარმოს გააჩნია არასარეალიზაციო შემოსავლების ზრდის დიდი რეზერვები. ყველაზე დიდი შესაძლებლობები ამ მხრივ გააჩნიათ წიგნით ვაჭრობის გაერთიანებებს (იხ.: წიგნით ვაჭრობის გაერთიანების სტრუქტურა – დანართი 11) და საბითუმო ბაზებს, რომლებსაც თავის განკარგულებაში აქვთ ძირითადი საშუალებები, მათ შორის სასაწყობო მეურნეობა,

სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ., რომელთა ეფექტიანი გამოყენება წარმოადგენს არასარეალიზაციო საქმიანობიდან დამატებითი შემოსავლების წყაროს

ჩვენი აზრით, წიგნით ვაჭრობის საწარმოს ფინანსური დაგეგმვა უნდა მოიცავდეს სარეალიზაციო საქმიანობიდან შემოსავლების, ანუ რეალიზებული სავაჭრო ფასნამატის განცალკევებულ დაგეგმვას და არასარეალიზაციო ოპერაციებისაგან შემოსავლების დაგეგმვას. პრაქტიკაში, როგორც წესი, ასეთი შევასამუშურნო დაგეგმვა არ წარმოებს. წიგნით ვაჭრობის ტრანსფორმაციის შემდეგ მოიშალა შიგასამუშურნო დაგეგმვის კარგად აწყობილი მექანიზმი.

მთლიანი შემოსავლის დაგეგმვა საბოლოო ვაშში იძლევა საწარმოს ეკონომიკის რეალურ სურათს, წარმოადგენს ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების აუცილებელ პირობას. საქონლის წიგნტევალობა, რომლის ქვეშაც ჩვენ გვესმის წიგნებისა და ბროშურების წილი საწარმოს მთლიან სასაქონლო მასაში, აგრეთვე სარეალიზაციო და არასარეალიზაციო საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლების თანაფარდობა, თვალსაჩინოდ ასახავენ საწარმოს კაპიტალის გამოყენების სფეროს. საქონლის წიგნტევალობის შემცირება მოწმობს (იწვევს) საწარმოს გადასვლას სხვა სამომხმარებლო საქონლით ვაჭრობაზე. არასარეალიზაციო საქმიანობიდან შემოსავლების ზრდა ნიშნავს საწარმოს პროფილის შეცვლას, კაპიტალის გადადინებას ვაჭრობის სფეროდან საქმიანობის სხვა სფეროებში. ამჟამად არსებული სიტუაცია საკმაოდ დამახასიათებელია წიგნით ვაჭრობისათვის

„მოკური თერაპიის“ პირობებში წიგნით ვაჭრობის სფერო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ფასებისა და ტარიფების ზრდამ უარყოფითად იმოქმედა სამუშურნო საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე. მაღაზიები არა მხოლოდ ამცირებენ მოსახლეობაზე მომსახურების მოცულობას, არამედ ხშირად უარს ამბობენ წიგნის პროდუქციის რეალიზაციაზე და ახდენენ მაღაზიების პროფილის შეცვლას. სავაჭრო დარბაზებში ხშირად ჩნდება ისეთი სამრეწველო საქონელი, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს წიგნით ვაჭრობასთან. ამ დროს იზრდება წიგნით ვაჭრობის საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობა, მაგრამ მცირდება წიგნით ვაჭრობის საქმიანობის სოციალური ეფექტიანობა.

წიგნით ვაჭრობის საწარმოს ფინანსური დაგეგმვის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს შეადგენს მიმოქცევის ხარჯების დაგეგმვა მიმოქცევის ხარჯების მიხედვით საწარმოს დირექტიული ანგარიშგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ამ ხარჯების დაგეგმვისას არ გამოიყენება მიმოქცევის ხარჯების ერთიანი კლასიფიკაცია, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გამოიყენებოდა წიგნით ვაჭრობაში.

მიმოქცევის ხარჯების მუხლები წიგნით ვაჭრობაში მაქსიმალურად არიან მიხლოებული სამომხმარებლო საჭონლით (ე.წ. ფართო მოხმარების საჭონლით) ვაჭრობის მიმოქცევის ხარჯებთან ზოგიერთი განსხვავება მიმოქცევის ხარჯების მუხლებში ასახვენ წიგნით ვაჭრობის საქმიანობის სპეციფიკურ თავისებურებებს

თბილისის წიგნით ვაჭრობის საცალო საწარმოების 2003-2004 წლებში ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევებით გამოვლინდა, რომ მათი უმრავლესობა არ ატარებს საფუძვლიან, ღრმა ეკონომიკურ ანალიზს და არ ხდება მიმოქცევის ხარჯების დაგეგმვა დანახარჯების ელემენტებისა და მუხლების მიხედვით. წიგნით ვაჭრობის ეკონომიკაში დამუშავებულია სურთო თანხში და დანახარჯების თითოეული მუხლის მიხედვით მიმოქცევის ხარჯების დაგეგმვის მეთოდიკა მისი მნიშვნელობა საყოველთაოდაა ცნობილი და არ საჭიროებს განმარტებებს.

ინფლაციის პირობებში გართულებულია დანახარჯების ყველა მუხლის მიხედვით დაგეგმვა და მათი აბსოლუტურად შეზღუდვა მიმოქცევის ხარჯებს საბაზრო ურთიერთობათა პირობებში გააჩნია ზრდის ტენდენცია. აუცილებელია წარმოებდეს მუშაობა მიმოქცევის ხარჯების აბსოლუტური ზრდის შეჩერებისათვის ცალკეული მუხლების მიხედვით, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ასეთი სამუშაოს ჩატარება ძალიან რთულია.

არც თუ ისე იშვიათად მიმოქცევის ხარჯების აბსოლუტური შემცირება დანახარჯების ცალკეული მუხლების მიხედვით დაკავშირებულია არა წიგნით ვაჭრობის საწარმოს მუშაობის გაუმჯობესებასთან, არამედ სავაჭრო მომსახურების ხარისხის გაუარესებასთან.

წიგნით ვაჭრობის საცალო საწარმოების მიმოქცევის ხარჯების გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ მიმოქცევის ხარჯების ყველაზე ხარვეზით მუხლებია – შრომის ანაზღაურება, არენდა და სათავსოების შენახვა, ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია და სამმართველო (მართვის) აპარატის შენახვა. ეს უკანასკნელი

მუხლი დამახასიათებელია მხოლოდ იმ საწარმოებისათვის, რომლებიც შედიან წიგნით ვაჭრობის გაერთიანების სტრუქტურაში (იხ. ცხრილი 7)

წიგნის მალაზიაში „წიგნი-ფოსტით“ სამსახურის არსებობა და მისი საქონლებრუნვის ზრდა ყოველთვის მიანიშნებდა სავაჭრო მომსახურების მაღალ ხარისხზე ამჟამად წიგნის მალაზიებმა დაკარგეს დანტერესება ასეთი სამსახურის არსებობაზე. ბეჭდვით პროდუქციაზე ფასებისა და საფოსტო-სამამნათო გზავნილებზე ტარიფების ზრდამ ზარალიანი გახადა ლიტერატურის გაგზავნა ასეთი მეთოდით.

ცხრილი 7

შპს „საქწიგნის“ საცალო სავაჭრო ქსელის მიმოქცევის ხარჯების სტრუქტურა დანახარჯების მუხლების მიხედვით (2003 წ.)¹

ხარჯების მუხლები	პროცენტი რეალიზაციის მოცულობებიდან	წილი ვველა ხარჯიდან, %-ით
1. საავტომობილო ტრანსპორტის ხარჯები	0,17	1,06
2 შრომის ანაზღაურების ხარჯები	5,86	36,76
3. ხარჯები არენდასა და შენობის შენახვაზე	2,44	15,33
4. ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია	2,18	13,65
5. სამეურნეო ხარჯები	0,08	0,51
6. დაცვის ხარჯები	0,95	5,99
7 მმართველობითი აპარატის შენახვის დანახარჯები	2,80	17,55
8 სხვა ხარჯები	1,46	9,15
სულ	15,94	100,0

წიგნით ვაჭრობის მრავალმა საცალო საწარმომ, რომლებიც ბოლო დროს მუდმივად განიცდიან ზარალს მიმოქცევის ხარჯების ზრდის გამო, დანახარჯების ნუსხიდან (ჩამონათელიდან) გამოორიცხეს სარემონტო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფიდა ძირითადი საშუალებებისა და ინვენტარის ნორმალურ ფუნქციონირებას, აგრეთვე ხარჯები შეფუთვასა და ტარზე გამოკვლეული წიგნის 20 მალაზიიდან, მხოლოდ 6-ში იყო შესაფუთი ქაღალდი და სხვა მასალა. ამ

¹ ცხრილი შედგენილია შპს „საქწიგნის“ მონაცემების საფუძველზე.

საწარმოებში მიმოქცევის ხარჯების ნუსხაში გათვალისწინებული იყო ხარჯები ტარაზე. ყოველივე ეს ზიანს აყენებს სავაჭრო მომსახურების ხარისხსა და კულტურას და, შესაბამისად, წიგნით ვაჭრობის სოციალურ ეფექტიანობას

წიგნის პროდუქციის ასორტიმენტის კონიუნქტურიზაცია, მასობრივ მყიდველებზე ორიენტაცია იწვევს იმას, რომ წიგნით ვაჭრობის მუშაკები სულ უფრო ნაკლებად მუშაობენ ასორტიმენტის სრულყოფის საკითხებზე განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ეს სპეციალისტებისათვის განკუთვნილ ლიტერატურაზე. წიგნით ვაჭრობაში სულ უფრო მეტად განიხილება წიგნი როგორც ჩვეულებრივი საქონელი და სულ უფრო ნაკლებად – როგორც განსაკუთრებული სახის საქონელი – საზოგადოების სულიერი ცხოვრებისა და კულტურის ობიექტი. ასეთ პირობებში არ გაითვალისწინება ხარჯები წიგნის რეკლამასა და პროპაგანდაზე. და თუ ასეთი ხარჯები არსებობს, რეკლამის ეფექტიანობა განიხილება და ანალიზდება მხოლოდ წიგნით ვაჭრობის საწარმოს შემოსავლების ზრდის უზრუნველყოფელი ფაქტორის თვალსაზრისით.

კრედიტზე პროცენტს იხდიან წიგნის ის მალაზიები, რომლებიც იღებენ კრედიტს. კრედიტზე ხარჯების სიდიდე დამოკიდებულია კრედიტის სიდიდეზე და პროცენტულ განაკვეთებზე, რომლებიც კრედიტორის მიერ დგინდება მოუხედავად იმისა, რომ დღეისათვის წიგნით მოვაჭრე ქსელის კომერციალიზაციის პროცესი დასრულებულია, წიგნის ბაზრის საკრედიტო მექანიზმი არასრულყოფილია. ხარჯების მოცემული მუხლი ხშირად გამოირიცხება წიგნით ვაჭრობის საწარმოს მიმოქცევის ხარჯების ნუსხაში, რადგან დანახარჯების მუხლების მიხედვით მიმოქცევის ხარჯების დაჯგუფება ამჟამად არ არის მკაცრად განსაზღვრული და არ წარმოადგენს სავალდებულო წიგნით მოვაჭრე ყველა სუბიექტისათვის. ამ უკანასკნელთ შუაგულთ არსებითი კორექტივები მუხლების საყოველთაოდ აღიარებულ კლასიფიკაციაში. ასე მაგალითად, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისები და დანაკარგები პრაქტიკაში შეიძლება მივაკუთვნოთ სამეურნეო ხარჯებს. ხარჯები წიგნის დაცვაზე, რომლებიც, როგორც წესი, შედიან, სათავსობის შენახვაზე გათვალისწინებულ ხარჯებში ან სხვა ხარჯები, შეიძლება გამოიყოს ცალკე მუხლად. გარდა ამისა, სამეურნეო ხარჯები შეიძლება აისახოს სხვა ხარჯებში, აგრეთვე შეიძლება გამოიყოს მიმოქცევის ხარჯების ცალკე მუხლად.

წიგნით ვაჭრობის საწარმოს ფინანსურ დაგეგმვას დიდ ზიანს აყენებს დანახარჯების ელემენტებისა და მუხლების მიხედვით მიმოქცევის ხარჯების შიგა სამალაზიო დაგეგმვის სირთულე ხარჯების ცალკეული სახეების მიხედვით ინფლაციის ტემპების განუსაზღვრელობასთან დაკავშირებით. ჯერ მართო არენდის ხარჯებს შეუძლიათ „შეჭამონ“ სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი. ასეთი ხარჯები ბოლო წლებში მრავალჯერ გაიზარდა და დამოკიდებულნი არიან საწარმოს ადგილმდებარეობასა და არენდის პირობებზე

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წიგნით ვაჭრობის პრივატიზებული საწარმოები უფრო მეტ ხარჯებს ეწევიან საქონლის რეალიზაციის პროცესში. ეს განსაკუთრებით ახლად შექმნილ საწარმოებს ეხება, რომლებიც ადრე არ მუშაობდნენ წიგნით ვაჭრობის სისტემაში და არ გააჩნდათ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღალკვალიფიციური კადრები და წიგნის პროდუქციასთან მუშაობის გამოცდილება.

წიგნით მოვაჭრე საწარმოს ყველა დანახარჯის სიდიდე გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$მ.ხ = მ.ხ.რ. + მ.ხ.არ.,$$

სადაც:

მ.ხ.რ. — მიმოქცევის ხარჯებია რეალიზაციის საქმიანობაზე;

მ.ხ.არ. — კი მიმოქცევის ხარჯები არასარეალიზაციო ოპერაციებზე

არასარეალიზაციო ოპერაციებიდან ხარჯებში შედის:

- ჯარიმები, რომლებიც გადახდილია სატრანსპორტო საშუალებების მოცდენისა და სახელშეკრულებო პირობების დარღვევის გამო;
- საურავები, რომლებსაც იხდიან ანგარიშების დროულად არგადახდისთვის;
- კრედიტის პროცენტი და სხვა ეკონომიკური სანქციები;
- ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების მიხედვით ჩამოწერილი დანაკარგების თანხები სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა და დანაკლისების საგან ხარალის ნორმების ზემოთ და ფასეულობების გაფუჭების საგან მიღებული დანაკარგების საგან, როცა კონკრეტული დამნაშავენი არ არიან დადგენილი;
- დანაკარგები დებიტორული დავალიანების ჩამოწერის საგან;
- ზარალი სტიქიური უბედურების საგან.

ჩვენმა გამოკვლევამ მოიცვა თბილისის წიგნის 20 მაღაზია. აქედან მხოლოდ ორ მაღაზიაში არ იყო დაფიქსირებული მიმოქცევის ხარჯები არასარეალიზაციო ოპერაციებიდან. მიმოქცევის ხარჯები არასარეალიზაციო ოპერაციებიდან უფრო მაღალია ბუკინისტური წიგნის მაღაზიებში, ვიდრე წიგნის ახალ მაღაზიებში, რაც დაკავშირებულია ძველი წიგნის მყიდველებზე გაწეული ფასიანი მომსახურების დიდ მოცულობასთან. გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ წიგნით ვაჭრობის საწარმოს მიმოქცევის ხარჯების სტრუქტურა, სიდიდე და ღონე უშუალო კავშირშია კომერციალიზაციასთან, საკუთრების ფორმასთან, აგრეთვე იმ საერთო ფაქტორებთან რომლებიც გავლენას ახდენენ წიგნის ბაზრის კონიუნქტურაზე.

არასარეალიზაციო ოპერაციებიდან შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვა წარმოადგენს არასარეალიზაციო შემოსავლებისა და ხარჯების საღდოს დაგეგმვის პირობას, რომელიც შესაბამისად ზრდის ან ამცირებს სავაჭრო და არასავაჭრო საქმიანობიდან მიღებულ მოგებას

წიგნით ვაჭრობის საცალო ქსელის კომერციალიზაციისა და პრევატიზაციის შემდეგ სამეცნიერო-კვლევით საშუალებზე ანარიცხები ჯერჯერობით მიმოქცევის ხარჯებში ფაქტობრივად არ არსებობს ისევე, როგორც საკუთრივ სამეცნიერო გამოკვლევები წიგნით ვაჭრობაში. წიგნით ვაჭრობის გაერთიანებების შემცირებამ, წიგნით ვაჭრობის ქსელის დეცენტრალიზაციამ ხელი შეუწვევს წიგნით ვაჭრობის სისტემაში სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრების და საზოგადოებების ლიკვიდაციას. გარდა ამისა, წიგნით ვაჭრობაში სამეცნიერო-კვლევით საშუალოთა დაფინანსების წყაროების არ არსებობამ დაამუხრუჭა ამ სფეროში მეცნიერების განვითარება. ჩვენი აზრით, თანამედროვე პირობებში წიგნით ვაჭრობის საბითუმო და საცალო საწარმოების, გაერთიანებების მიმოქცევის ხარჯების ნუსხა წიგნით ვაჭრობის სისტემებში გასული საუკუნის 80-იან წლებში მოქმედი მუხლის „ანარიცხები სამეცნიერო-კვლევით საშუალებებზე“ – ნაცვლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მუხლი – „ხარჯები წიგნის ბაზრის მარკეტინგულ კვლევებზე“. მიმოქცევის ხარჯების მოცემული მუხლი უნდა იქნეს გათვალისწინებული დანახარჯების ნუსხაში მხოლოდ წიგნით ვაჭრობის სამეურნეო სუბიექტის გადაწყვეტილების მიხედვით იმ პირობით, რომ იგი ფლობს იურიდიული პირის უფლებას და ხარჯები ჩაითთოს იმ გამოკვლევათა წრეში, რომლებიც დაკავშირებულნი არიან წიგნით ვაჭრობის მარკეტინგის კომპლექსთან. ხარჯების სიდიდე მიმოქცევის

ხარჯების მოცემული მუხლის მიხედვით არ უნდა იყოს კანონმდებლობით ნორმირებული რაიმე შეზღუდვებით. უშუალოდ წიგნით ვაჭრობის სტრუქტურის შიგნით ჩატარებულმა მარკეტინგულმა კვლევებმა უნდა გადაჭრან ორი მნიშვნელოვანი ამოცანა. პირველი – ისინი უნდა ჩატარდნენ დანახარჯების ელემენტებისა და ხარჯების ყოველი მუხლის მიხედვით ინფლაციის ინდექსების პროგნოზირების მიმართულებით. ასეთი პროგნოზირება შეამსუბუქებს და აამაღლებს მიმოქცევის ხარჯების შიგასამეურნეო დაგეგმვის ხარისხს. მეორე, – მარკეტინგული კვლევები მიმართული უნდა იქნან წიგნით ვაჭრობის საბაზრო გარემოს ცვლილებების განმსაზღვრელი საერთო გარე ფაქტორების შესწავლასა და მოქმედების პროგნოზირებაზე.

ხარჯების სიდიდე მუხლის – „ხარჯები წიგნის ბაზრის მარკეტინგულ კვლევებზე“ მიხედვით უნდა განისაზღვროს უშუალოდ წიგნით ვაჭრობის სამეურნეო სუბიექტის მიერ მისი საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებით.

წიგნით ვაჭრობის საწარმოს მოგება, ანუ წმინდა შემოსავალი, წიგნით ვაჭრობის პრაქტიკაში განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$მ_{აგ} - ღ_{ღგ} - ს_{სგ} - ფ_{ფგ} - ღ_{ღრ} + შ_{შგ} - მ_{შგ},$$

სადაც:

ა_გ – არის ამონაგები წიგნისა და სხვა პროდუქციის რეალიზაციიდან;

ღ_{ღგ} – დამატებული ღირებულების გადასახადი;

ს_გ – გადასახადი საერთო მოგებიდან;

ფ_გ – ფასდაკლება ბითუმის მიხედვით;

ღ_{ღრ} – დანახარჯები პროდუქციის შექმნასა და რეალიზაციაზე;

შ_გ – შემოსავლები არასარეალიზაციო ოპერაციებიდან;

მ_{შგ} – მიმოქცევის ხარჯები არასარეალიზაციო ოპერაციებიდან.

მოგების დაგეგმვა დაკავშირებულია საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვასთან, მისი ზრდა – შემოსავლების ზრდის ტემპების გადაჭარბებასთან ხარჯების ზრდის ტემპებზე. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირველ ეტაპზე მრავალმა წიგნით ვაჭრობის საწარმომ განიცადა ხარჯების შემოსავლებთან შედარებით წინგამსწრები ზრდა. მაგრამ ბოლო წლებში ზარალიანი საწარმოების რიცხვი მინიმუმამდე დავიდა, რაც დაკავშირებულია საქონლის წიგნტექნოლოგიის მაჩვენებლის შემცირებასთან როგორც უნივერსალურ,

ისე წიგნის სპეციალიზებულ მაღაზიებში ამასთანავე გაიზარდა სხვა სამომხმარებლო საქონლის რეალიზაციის ხვედრითი წილი. 2002-2004 წლების განმავლობაში წიგნის მაღაზიების ფინანსური შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათი უმრავლესობა მოგებას ღებულობს სამეურნეო საქმიანობიდან

ჩვენ მიგვაჩნია, რომ წიგნის ბაზრის სამეურნეო სუბიექტის მოგების გაანგარიშებისა და დაგეგმვის არსებული მეთოდი ზუსტად ვერ ავლენს წიგნით ვაჭრობის საქმიანობის შედეგებს. მოგება, ანუ სამეურნეო საქმიანობის შედეგი უნდა განისაზღვროს და დაიგეგმოს საწარმოს მთელი საქმიანობიდან. უშუალოდ წიგნით ვაჭრობის საქმიანობის შედეგის ობიექტური განსაზღვრისათვის საჭიროა ცალ-ცალკე აღირიცხოვოს, გაანალიზდეს და დაიგეგმოს მთლიანი შემოსავლები და მთლიანი ხარჯები, ერთის მხრივ, წიგნის პროდუქციის რეალიზაციისა და მოსახლეობის ფასიანი მომსახურებისაგან და, მეორეს მხრივ, სხვა საქმიანობიდან. ამჟამად საჭიროა სათანადო კანონმდებლობა, რომელიც მიმართული იქნება ასეთი სამუშაოს შესრულებაზე წიგნის ბაზრის წიგნით ვაჭრობის ყველა სტრუქტურის მიერ. წიგნით ვაჭრობის საწარმოს მოგების ზრდის უზნიშვნელოვანეს ფაქტორებს კი წარმოადგენენ წიგნის პროდუქციის ასორტიმენტისა და მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გაფართოება.

თანამედროვე პირობებში მოგების დაგეგმვა წიგნით ვაჭრობის საწარმოს ფინანსური დაგეგმვის საკვანძო საკითხს წარმოადგენს. საწარმოს მომგებიანობა უშუალოდ წიგნით ვაჭრობის საქმიანობიდან წარმოადგენს წიგნით ვაჭრობის შემდგომი განვითარების აუცილებელ პირობას. ფინანსური გეგმა დგება წიგნით ვაჭრობის სამეურნეო სუბიექტის მიერ. მასში, ერთი მხრივ, აისახება შემოსავლები, ხოლო, მეორე მხრივ, ხარჯები.

თანამედროვე პირობებში ჩნდება საწარმოს საშუალებების წარმოქმნის ახალი წყაროები, რომლებსაც საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამდე არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა. მაგალითად, ბალანსის შემოსავლების ნაწილში შეიძლება გათვალისწინებული იქნას მუხლები – „შემოსავლები გარეშე იურიდიული ან ფიზიკური პირისაგან“, „შემოსავლები ფასიანი ქაღალდებისაგან“.

სახელმწიფოებრივი წიგნით ვაჭრობის საწარმოებმა ფინანსურ გეგმაში შემოსავლებსა და შემონატანებში უნდა ასახონ ასიგნებები ბიუჯეტიდან საკუთარი და საბრუნავი საშუალებების მატებაზე. ხარჯებსა და ანარიცხებში ასეთი

საწარმოებისათვის უნდა აისახოს ზემდგომი ორგანიზაციის გადარიცხვები, მათ შორის ამორტიზაციის ძირითადი ფონდების სრულ აღდგენაზე, წლის დასაწყისისათვის საბრუნავი საშუალებების მოსალოდნელი სიჭარბე, წელიწადის განმავლობაში დაგეგმილი მოგების ნაწილში.

მიზანშეუწონლადაა მიზნული ფინანსურ გეგმაში წიგნით ვაჭრობის კერძო საწარმოს წლის დასაწყისისათვის საბრუნავი საშუალებების მოსალოდნელი სიჭარბის და საკუთარი საბრუნავი საშუალებების მატების ასახვა. ეს მოსაზრება დაკავშირებულია იმასთან, რომ ასეთი საწარმო ზემდგომი ორგანიზაციის წინაშე პასუხს არ აგებს საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნამატის გამოყენების თაობაზე და არ ურიცხავს ზემდგომ ორგანიზაციას ამ ნამატს. ჩვენი აზრით, საბრუნავი საშუალებების ნამატის აღრიცხვა და შიგამპურნეო დაგეგმვა ამაღლებს საწარმოს ფინანსური დაგეგმვის ხარისხს და მიზანშეწონილია წიგნით ვაჭრობის ყველა საწარმოსათვის, მოუხედავად საკუთრების ფორმისა.

წიგნით ვაჭრობის საწარმოს ფინანსური გეგმის შედგენას წინ უნდა უსწრებდეს მოსამზადებელი სამუშაო, რომელიც დაკავშირებულია მოთხოვნების გაანგარიშებასთან საკუთარ და მათთან გათანაწორებულ საბრუნავ საშუალებებზე საგეგმო წელს, ანარიცხები მოგებისაგან სპეციალური დანიშნულების ფონდებში. ფინანსური გეგმის შედგენის შემდეგ მიზანშეწონილია შემოწმების ჩატარება — ფინანსური გეგმით გათვალისწინებული მოგების გამოყენებისა და საგეგმო წელს მყარი პასივების ზრდის გაანგარიშება.

წიგნით ვაჭრობის საწარმოს საკუთარ და მათთან გათანაბრებულ საბრუნავ საშუალებებზე მოთხოვნის გასაანგარიშებლად უნდა განისაზღვროს მოთხოვნის საშუალებებისა სხვა აქტივების წარმოქმნაზე და გაანგარიშდეს საგეგმო მყარი პასივები.

წიგნით ვაჭრობის პრაქტიკაში სხვა აქტივების წარმოქმნაზე საშუალებებში მოთხოვნის გაანგარიშებისას მიზანშეწონილია ეს აქტივები შემდგენიარად დაჯგუფდნენ:

- ფულადი საშუალებები;
- მომავალი პერიოდების ხარჯები;
- შესაფუთი და სხვა სამეურნეო მასალები;

- იაფფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები (მომავალ წელს დაგეგმილი შენაძენების ცვეთის გამოკლების გათვალისწინებით).

მყარი პასივების გაანგარიშებას წიგნით ვაჭრობაში არსებითი განსხვავებები აქვს, რაც ნიშანდობლივია წიგნით ვაჭრობის საქმიანობისათვის. წიგნით ვაჭრობაში მყარ პასივებს მიეკუთვნება ისეთი სპეციფიკური საშუალებები, როგორიცაა დავალიანებები ხელმოწერებზე ხელმოწერითი გამოცემების მიხედვით. საწარმოს მიერ მიღებული თანხები დაიფარება მხოლოდ 2-5 წლის შემდეგ ხელმოწერებზე ხელმოწერითი გამოცემების ბოლო ტომის გაცემისას. მყარ პასივებს მიეკუთვნება აგრეთვე მყიდველებზე დავალიანებები ავანსების მიხედვით მათი ძირითადი სიდიდე მოდის სხვადასხვა სახის ბიბლიოთეკების ავანსებზე, რომლებიც დაიფარება მათთვის ლიტერატურის გაგზავნისას.

მყარ პასივებზე, რომლებიც ნიშანდობლივია მხოლოდ წიგნით ვაჭრობის საქმიანობისათვის, მოდის მცირე ხვედრითი წილი ამავე დროს წიგნით ვაჭრობისათვის მყარი პასივების სპეციფიკური ელემენტები შეადგენენ 90 და მეტ პროცენტს ამასთანავე ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ „ხელმოწერები ხელმოწერითი გამოცემების მიხედვით“ არსებობენ მხოლოდ იმ მაღაზიებში, სადაც წარმოებს არაპერიოდული ხელმოწერითი გამოცემების რეალიზაცია, ხოლო „მყიდველები ავანსების მიხედვით“ დომინირებენ იმ მაღაზიებში, რომლებიც ახორციელებენ საწარმოებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე მცირე საბითუმო გაყიდვებს.

წიგნით ვაჭრობის საწარმოების მყარი პასივების გაანგარიშებას ართულებს ის, რომ არსებობს მყარი პასივების გაანგარიშების მეთოდოლოგია მათი მხოლოდ იმ ელემენტების მიხედვით, რომლებსაც ადგილი აქვთ ნებისმიერ საწარმოში.

ავანსების მიხედვით მყიდველებზე დავალიანებების დაგეგმვისას უნდა გამოვიყენოთ წიგნით ვაჭრობის საწარმოს რამოდენიმე წლის მონაცემები მყარი პასივების შესაბამისი ელემენტების მიხედვით საწარმოს მუშაობაში შესაძლო და პროგნოზირებადი ცვლილებების გათვალისწინებით.

ამგვარად, შემდეგი წლისათვის მყარი პასივების შიგა სამეურნეო დაგეგმვა საერთო კვანძში გათვალისწინებული მთელი რიგი გარემოებებით, მაგრამ მოუხედავად ამისა ასეთი დაგეგმვა აუცილებელია, რადგან იგი ხელს უწყობს არა მხოლოდ საწარმოს ეკონომიკური მუშაობის გაუმჯობესებას, არამედ სამეურნეო

საშუალებების უფრო ეფექტური გამოყენებასაც ეს აუცილებლობა ჩანს სწორედ წიგნით ვაჭრობის საწარმოში, რადგან წიგნით ვაჭრობაში, როგორც ცნობილია, მყარი პასივები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებით უზრუნველყოფილი საბანკო კრედიტის სიდიდის საკითხი. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამდე სახელმწიფო ბიუჯეტი წიგნით ვაჭრობისათვის გამოყოფდა მყარი პასივების მიხედვით საგვემო დავალიანებების თანხის გამოკლებით სასაქონლო მარაგის ღირებულების 50 პროცენტს. მიმდინარე შენახვის სასაქონლო მარაგის ღირებულების დანარჩენი 50 პროცენტი იფარებოდა სახელმწიფოებრივი ბანკის სესხით. თანამედროვე პირობებში წიგნით ვაჭრობის საცალო საწარმოებზე ვრცელდება მთელი ვაჭრობისათვის დამახასიათებელი დაკრედიტების პირობები საქონელბრუნვის მიხედვით. მისი ოდენობა სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს, იგი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვანაირად გაიცემა.

2003-2004 წწ. თბილისში გამოკვლეული წიგნით ვაჭრობის მალაზიებიდან არც ერთი არ სარგებლობდა დაკრედიტებით მიმდინარე საქონელბრუნვის მიხედვით. სასაქონლო მარაგზე მოთხოვნილება იფარებოდა საკუთარი საშუალებების ხარჯზე თანამედროვე პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ წიგნის საქონლით უზრუნველყოფილი საკრედიტო საშუალებების გამოყენება ხელს უწყობს წიგნის ბაზრის სამეურნეო სუბიექტების გაკოტრებას. ეს დაკავშირებულია საბრუნავი საშუალებების დაბალ ბრუნვალობასთან საკრედიტო თანხებზე მაღალი პროცენტული განაკვეთების გამო. ჩვენი აზრით, საკრედიტო ურთიერთობების განვითარება წიგნით ვაჭრობაში საჭიროებს განსაკუთრებულ საკრედიტო მექანიზმს მისი არსი განხილულია მოცემული თავის პირველ პარაგრაფში.

როგორც საბითუმო, ისე საცალო წიგნით ვაჭრობის საწარმოს ფინანსური დაგეგმვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს წიგნის პროდუქციის ჩამოფასებისა და ჩამოწერის ფონდის შექმნის საკითხი ეს პრობლემა ახალი არ არის იგი წარმოიშვა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან, როცა ნათელი გახდა, რომ წიგნის პროდუქციის არალიკვიდრების ზრდა წიგნით ვაჭრობის სისტემაში დაკავშირებულია მისი რეალიზაციის შეუძლებლობასთან საცალო ფასის მიხედვით ანუ ნომინალით. არალიკვიდრობის

ზრდა აიხსნება სასაქონლო მარაგის ზრდის ტემპების გადაჭარბებით საქონელბრუნვის ზრდის ტემპებზე, ასეთი სიტუაცია წლების განმავლობაში ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო შენარჩუნებული იყო დღეისათვის, საბაზრო ურთიერთობები არბილებენ ან აღკვეთენ წიგნების გამოცემების ნორმებსა და განაწილების საბჭოური სისტემის არასრულყოფილებას. იმ წიგნის პროდუქციის წარმოება, რომელსაც არ გააჩნია საზოგადოებრივი მნიშვნელობა მკვეთრად შემცირდა თბილისის ჩვენს მიერ გამოკვლეული წიგნის საწარმოებიდან მხოლოდ ორს გააჩნდა წიგნის პროდუქციის დიდი ზენორმატიული ძნელად სარეალიზაციო მარაგი.

ჩვენი აზრით, რაიმე ღირეპტული მეთოდების გამოყენება, რომელთა შესაბამისადაც წიგნით ვაჭრობის საწარმოები იღებდნენ ბეჭდვითი პროდუქციის ჩამოფასებასა და ჩამოწერის ფონდის შექმნის ნორმატივებს, თანამედროვე პირობებში მიუღებელია, ამიტომ ეკონომიკურად დამოუკიდებელი წიგნით ვაჭრობის საწარმო უნდა ფლობდეს თავის საკმარისობაში თავისუფალი არჩევის უფლებამოსილებას, რაც მდგომარეობს შემდეგში:

- სასაქონლო მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც შედის წიგნის პროდუქციის მიღებისა და რეალიზაციის პერსპექტიული გეგმების შემუშავება ასორტიმენტის დანაყოფების მიხედვით;
- ძნელადსარეალიზაციო გამოცემების უზრუნველყოფისთვის კომერციული დაკრედიტების გამოყენება;
- ბარტერული და კომპენსაციური გარიგებების დადება;
- წიგნის პროდუქციის ჩამოფასებისა და ჩამოწერის ფონდის შექმნა.

მიგვაჩნია, რომ წიგნის პროდუქციის ჩამოფასებისა და ჩამოწერის ფონდის შექმნა წარმოადგენს ბოლო ზომას, როდესაც არალიკვიდურ პროდუქციას წიგნის ბაზარზე უკვე პოტენციურად არ შეუძლიათ გახდნენ ლიკვიდურები ისეთი წიგნებისა და ბროშურების მიღება საცალო ქსელში, რომლებსაც არ გააჩნიათ სახმარი ღირებულება – მიუთითებს წიგნით ვაჭრობის საწარმოს ასორტიმენტთან ცუდ მუშაობაზე. სახმარი ღირებულების დაკარგვა უკვე რეალიზაციის პროცესში კი წარმოადგენს საწარმოში ვაჭრობის პროცესის ზარისხის ადეკვატურ ასახვას. წიგნის ბაზარი თვითონ აქცევს არალიკვიდებს ლიკვიდებად, თუ მისი სამეურნეო სუბიექტები სწორად წარმართავენ ასორტიმენტულ პოლიტიკას, მაგრამ თუ უნდა

შეიქმნას ჩამოფასებისა და ჩამოწერის ფონდი, მაშინ დგება იმის განსაზღვრის პრობლემა, თუ რომელი წყაროდან იქნება იგი დაფინანსებული. ამჟამად არ არსებობს ერთიანი აზრი წიგნით ვაჭრობაში ჩამოფასებისა და ჩამოწერის ფონდის შექმნის წყაროების საკითხთან დაკავშირებით. არსებობს მოსაზრება, რომ მოცემული ფონდი შეიქმნას საქონელბრუნვისაგან ნორმატივის დადგენის საბჭოური სისტემის ანალოგიურად გარდა ამისა, თვლიან, რომ უნდა მიეუბრუნდეთ ადრე არსებულ მეთოდს, რომლის მიხედვითაც გაუყიდავი წიგნებისა და ბროშურების ღირებულების 50 პროცენტი ჩამოიწერებოდა წიგნით ვაჭრობის საწარმოს საშუალებების ხარჯზე, ხოლო დანარჩენი 50 პროცენტი – შესაბამისი გამოცემლობების ხარჯზე. არსებობს მესამე თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც, ბეჭდვითი პროდუქციის ჩამოფასებისა და ჩამოწერის ფონდი უნდა ფინანსდებოდეს შესაბამისი გამოცემების წიგნებისა და ბროშურების ღირებულებიდან დადგენილი ნორმატივების ხარჯზე. ეს ბოლო მოსაზრება მიგვაჩინა ყველაზე უფრო მართებულად განსახილველი ფონდის დაფინანსების წყაროების ფორმირების თვალთახედვით უპირველეს ყოვლისა, ასეთი ნორმატივი უნდა დადგინდეს წიგნით ვაჭრობის საწარმოში მისი სურვილით, მეორეც, გამოცემათა ღირებულებიდან და არა გასაყიდი ღირებულებიდან, ნორმატივის დადგენა ყველაზე ეფექტიანად ასახავს საწარმოს პასუხისმგებლობას თავის ლიკვიდებზე სავაჭრო ფასნამატების გაუთვალისწინებლად. არარეალიზებული ნაშთების ღირებულების ნაწილის ჩამოწერა შესაბამისი გამოცემლობების ხარჯზე შეუძლებელია შეესაბამებოდეს ბაზრის ბუნებასა და არსს: ყოველი სამეურნეო სუბიექტი დამოუკიდებლად აგებს პასუხს თავის ზარალზე რაიმე საბაზრო გარიგებების შესრულების შედეგად. წიგნით ვაჭრობის საწარმოს მიერ არალიკვიდების ყიდვა პირდაპირ არის დაკავშირებული მოცემული წიგნით ვაჭრობის საწარმოს ზარალთან.

თუ წიგნით ვაჭრობის საწარმო ახორციელებს სხვა საქონლის რეალიზაციასაც, ამიტომ შეიძლება მისი ჩამოწერის საჭიროებაც წარმოიქმნას. სხვადასხვა საქონლის ჩამოფასებისა და ჩამოწერის ფონდი შეიძლება შეიქმნას ნორმატივის მიხედვით წიგნის პროდუქციის ანალოგიურად სხვადასხვა საქონლის ღირებულებიდან. ასეთი ნორმატივი 3-5-ჯერ დაბალი უნდა იყოს წიგნის პროდუქციის ჩამოფასებისა და ჩამოწერის ფონდის შექმნის ნორმატივზე. ეს იმით აისხნება, რომ სხვადასხვა საქონელი ნაკლებად ექვემდებარება საზოგადოებრივი

ღირებულების დაკარგვას და მათი ბრუნვალობის სიჩქარე მაღალია წიგნის პროდუქციის ბრუნვალობის სიჩქარეზე.

პრინციპულად მნიშვნელოვანია აგრეთვე საკითხი, იმის შესახებ თუ წიგნით ვაჭრობის საწარმომ რომელი საშუალებების ხარჯზე უნდა ჩამოწეროს ან ჩამოაფასოს წიგნის პროდუქცია, რომელმაც დაკარგა სასაქონლო სახე ვიტრინებში ან დახლებზე ღია გამოლაგებით გაყიდვისას. ცალკეული წიგნით ვაჭრობის საწარმოები ამ ზარალს აღრიცხავენ მიმოქცევის ხარჯების მუხლში „საქონლის დანაკარგები და ტექნოლოგიური ნარჩენები“. სხვა საწარმოები ამ დანაკარგს არ გეგმავენ, ხოლო მათი არსებობის შემთხვევაში მას ანაზღაურებენ სამეურნეო საქმიანობის შედეგების მიხედვით საწარმოს წმინდა მოგების საშუალებების ხარჯზე. ჩვენი წარმოდგენით, აღნიშნული დანაკარგების ანაზღაურების ყველაზე მიზანშეწონილ მეთოდს წარმოადგენს მათი ანაზღაურება წიგნის პროდუქციის ჩამოფასებისა და ჩამოწერის ფონდის ხარჯზე, რადგან იხინი ყველაზე მეტად ასახავენ მოცემული ფონდის არსსა და დანიშნულებას.

წიგნით პროდუქციის ჩამოფასებისა და ჩამოწერის ფონდი უნდა განვიხილოთ, როგორც სპეციალური დანიშნულების ფონდი, მაგრამ შექმნილი არა წიგნით ვაჭრობის საწარმოს ხარჯზე

ფინანსური დაგეგმვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სამეურნეო სუბიექტის მოგების განაწილება. აქ ჩვენ პრინციპულ თავისებურებებს ვერ ვხედავთ წიგნით ვაჭრობის პრაქტიკის გათვალისწინებით. ისევე, როგორც საერთოდ ვაჭრობის საწარმოებისათვის, ეკონომიკური ფონდების შექმნა მოგების ხარჯზე რჩება წიგნით ვაჭრობის საწარმოს კომპეტენციამო.

ფინანსური დაგეგმვის ბოლო სტადიაზე ზემოთ განხილული გაანგარიშების შედეგების მიხედვით ხდება წიგნით ვაჭრობის საწარმოს ფინანსური გეგმის შედგენა (იხ. ფინანსური დაგეგმვის სტრუქტურა – დანართი 12). შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსი უნდა განვიხილოთ, როგორც მთელი ფინანსური დაგეგმვის დამაგვირგვინებელი სტადია. წიგნით ვაჭრობის საწარმოში ასეთი დაგეგმვის ხარისხის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილია განხორციელდეს გაანგარიშება-შემოწმება ფინანსური გეგმით გათვალისწინებული მოგების გამოყენებისა და, თუ გეგმაში მოცემულია შესაბამისი მაჩვენებელი მყარი პასივების ზრდის მიხედვით საგეგმო წელს (იხ. დანართი 13). ეს გაანგარიშება დაყვანილი უნდა იქნეს

მოგების გამოყენების ყველა მიმართულებისა და მყარი პასივების მატების ყოველკვარტალურ (საჭიროების შემთხვევაში – ყოველთვიურ) დანაწევრებაზე შესაბამისი ფულადი თანხების მინიშნებით. წიგნით ვაჭრობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთი მუშაობა საწარმოებში არ წარმოებს, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს სამეურნეო საქმიანობის ღრმა ეკონომიკური ანალიზის ჩატარებას და მისი ეფექტიანობის ზრდის გამოყენებელი რეზერვების მოძიებას (შპს „საქწიგნის“ ძირითად საშუალებათა პასიური ნაწილის შესახებ კონკრეტულ წარმოდგენას იძლევა – დანართი 14).

ფინანსური დაგეგმვის საწყის ინფორმაციას წარმოადგენს სამეურნეო სუბიექტის ეკონომიკური ანალიზის შედეგები რიგი დროებითი პერიოდების მიხედვით მის საქმიანობაში ყველა სავარაუდო ცვლილებების გათვალისწინებით.

წიგნით ვაჭრობის ეკონომიკას გააჩნია წიგნით ვაჭრობის საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ანალიზის დიდი ეკონომიკური ბაზა. იგი მოიცავს:

- საქონლის რეალიზაციის ანალიზს;
- სასაქონლო რესურსების გამოყენების ეფექტიანობისა და უზრუნველყოფის ანალიზს;
- სასაქონლო მარაგებისა და საქონლებზრუნვადობის ანალიზს;
- საქონლის რეალიზაციაზე წიგნით ვაჭრობის საწარმოს შრომითი რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზრის გავლენის ანალიზს;
- მიმოქცევის ხარჯების ანალიზს;
- მთლიანი შემოსავლების ანალიზს;
- მოგებისა და რენტაბელობის ანალიზს;
- ფინანსური შედეგების ანალიზს;
- ფინანსური მდგომარეობის კომპლექსურ ანალიზს.

წიგნით ვაჭრობის საწარმოს მთელი ეკონომიკური ანალიზის საერთო შედეგსა და მიზნობრივ ამოცანას წარმოადგენს მისი ფინანსური მდგომარეობის ანალიზი საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამდე წიგნით ვაჭრობის პრაქტიკაში სამეურნეო სუბიექტების ფინანსური მდგომარეობის კომპლექსური ანალიზი წარმოდგენილი იყო:

- ა) სამეურნეო საშუალებებისა და მათი წყაროების საერთო ანალიზით;
- ბ) საბრუნავი საშუალებებისა და მათი ბრუნვადობის ანალიზით;

- გ) საკუთარი საბრუნავი და მათთან გათანაბრებული საშუალებების წყაროების ანალიზით;
- დ) საბანკო კრედიტების და სხვა ნასესხები საშუალებების ანალიზით;
- ე) სპეციალური ფონდებისა და სპეციალური დანიშნულების საშუალებების ანალიზით.

წიგნით ვაჭრობის ორგანიზაციებისა და საწარმოების სავაჭრო-საფინანსო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგია კომპლექსურად იყო დამუშავებული წიგნით საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკის სპეციალისტების მიერ მათ სცადეს, რომ ჩაეტარებინათ წიგნით ვაჭრობის იმ ჭეშმარიტად სამეურნეო ანგარიშსწორებრივი სტრუქტურის საქმიანობის კომპლექსური ანალიზი, რომელშიც შემოსავლების დონე პირდაპირდამოკიდებულებაშია მისი მუშაობის ეფექტიანობასთან. მაგრამ წიგნით ვაჭრობის საბაზრო სტრუქტურის სავაჭრო-საფინანსო საქმიანობის კომპლექსური ანალიზისადმი არ არის მიძღვნილი არც ერთი სამეცნიერო გამოკვლევა სასწავლო ლიტერატურაც მოკლებულია ასეთ პუბლიკაციებს.

სავაჭრო-საფინანსო საქმიანობის ანალიზის მასალებს წარმოადგენენ წიგნით ვაჭრობის სამეურნეო სუბიექტების ოპერატიული, ბუღალტრული და სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემები.

წიგნით ვაჭრობის სამეურნეო სუბიექტის ფინანსური დაგეგმვა წარმოადგენს აუცილებელ პირობას მისი შემდგომი სიცოცხლისუნარიანობისათვის და ამავე დროს ეკონომიკურ ინფორმაციასაც ქვეყნის წიგნით ვაჭრობაში შექმნილ მაკროეკონომიკურ პროპორციების პროგნოზირებისა და რეგულირებისათვის.

დასკვნები და წინადადებები

მოცემული პრობლემის გამოკვლევის საერთო შედეგები იძლევა შესაძლებლობას გაკეთდეს ადეკვატური დასკვნები.

წიგნის მნიშვნელობა უაღრესად დიდია სოციალური თვალთახედვით და საზოგადოების სულიერი გამდიდრებისათვის. ამ მხრივ სათანადო როლი განეკუთვნება წიგნით ვაჭრობას, რომლისთვისაც დამახასიათებელია არსებითი თავისებურებები, რომლებიც განპირობებულია წიგნის როგორც საქონლის ნიშანთვისებებით. ეს თავისებურებებია: წიგნის პროდუქციის ასორტიმენტის სირთულე და მრავალფეროვნება, წიგნის რესურსების დამატებითი დანახარჯები, წიგნის პროდუქციის მკაცრი მიზნობრივი დანიშნულება, ახალი წიგნის შინაარსის ხარისხის განსაზღვრის სირთულე, წიგნით საბირეო ვაჭობის სუსტი განვითარება, წიგნის საქონლის მონაცვლეობის მცირე უნარიანობა, წიგნის ფიზიკური გაცვეთის სიმცირე, ბუკინისტური წიგნით ვაჭრობის განვითარების პერსპექტიულობა, წიგნის მორალური დაძველების სპეციფიკა, წიგნის პროდუქციის არასასაქონლო რესურსების არსებობა, საერთაშორისო წიგნით ვაჭრობის განვითარების ჩამორჩენა სხვა სამომხმარებლო საქონლით საერთაშორისო ვაჭრობისაგან, წიგნით საფოსტო-საამანათო ვაჭრობის განვითარების დიდი შესაძლებლობები, წიგნის პროდუქციაზე ფასწარმოქმნის სირთულე, ამა თუ იმ გამოცემის კულტურის ობიექტებად განხილვის შესაძლებლობა, წიგნის ზემოქმედების უნარი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, წიგნის ფიზიკური და ქიმიური თვისებები, გასული საუკუნის 90-იან წლებამდე წიგნით ვაჭრობის გასახელმწიფოებრიობის მაღალი ხარისხი

საქართველოში წიგნის გამოცემისა და წიგნით ვაჭრობის განვითარებას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი ქართული წიგნი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ი. ცურტაველის „შუშანიკის წამება“ (V ს.). წიგნის ბეჭდვის განვითარების კვალობაზე XVIII საუკუნის დასაწყისიდანვე ნაბეჭდი წიგნი ძალიან გაიფუდა და ხელნაწერზე 8-10-ჯერ ნაკლებ ფასად იყიდებოდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ საქართველოში დაბეჭდილი წიგნების ტირაჟი იმ დროისთვის საოცრად დიდი იყო. როგორც წესი, საეკლესიო წიგნები 1000 ეგზემპლარის ოდენობით იბეჭდებოდა. რამდენადაც წიგნის გამოცემის საქმე ვითარდებოდა,

იმდენადვე ყალიბდებოდა წიგნით ვაჭრობა – ჩნდებოდა წიგნის დამტარებელ-გამავრცელებელი. საქართველოში, კერძოდ, თბილისში წიგნით ვაჭრობის ცენტრებიც იქმნება. ასეთი ცენტრი (XVII-XVIII ს.ს.) სიონის ტაძრის გასწვრივ ყოფილა. თბილისში პირველი წიგნის დიდი სპეციალიზებული მაღაზია გაიხსნა 1840 წ.

წიგნით ვაჭრობაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი პერიოდები: XVII-XVIII სს, XVIII-XIX ს. დასაწყისი, XIX ს დასაწყისი – XX ს. დასაწყისი, XX ს დასაწყისი – 1991 წ., 90-იანი წლების შემდგომი პერიოდი. თითოეული პერიოდისთვის დამახასიათებელია გარკვეული თავისებურებები

წიგნით ვაჭრობის სოციალისტურ სისტემას გააჩნდა რიგი არსებითი უპირატესობანი და რიგი არსებითი ნაკლოვანებანი. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან წიგნით ვაჭრობა გადადის საბაზრო ურთიერთობებზე. წიგნით ვაჭრობის სამეურნეო სუბიექტები იძენენ ეკონომიკურ და სამართლებრივ დამოუკიდებლობას. წიგნით ვაჭრობის სტრუქტურებს (საწარმოებს) შორის წარმოიშვა და ვითარდება საფინანსო-სამეურნეო კავშირები. ტრანსფორმაცია წიგნით ვაჭრობაში განიცადა საბითუმო და საცალო საწარმოებმა (ქსელმა), მომსახურების ფორმებმა და მეთოდებმა, წიგნით ვაჭრობის სტრუქტურების მუშაობის ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა. წიგნით ვაჭრობაში პრივატიზაციამ და კომერციალიზაციამ არ უნდა გამოიწვიოს წიგნით სახელმწიფოებრივი ვაჭრობის მთლიანად უარის თქმა. გარდამავალი პერიოდის წიგნით ვაჭრობისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს საკუთრების მრავალფეროვნება და ფასწარმოქმნის სისტემის ფორმირება საბაზრო მექანიზმის საფუძველზე.

წიგნით ვაჭრობის ეფექტიანობა განხილულ უნდა იქნეს ორ – ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტში.

უნდა განვასხვავოთ წიგნით ვაჭრობის საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობა და საწარმოს წიგნით ვაჭრობის საქმიანობის სოციალური ეფექტიანობა. წიგნით ვაჭრობის საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება მოითხოვს საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების ცალ-ცალკე აღრიცხვას, რომლებიც ყალიბდება უშუალოდ წიგნის საქონლის რეალიზაციის შედეგად და მყიდველთა მომსახურების გაწევისას (რომელიც გავლენას ახდენს ამ რეალიზაციის (გაყიდვის) ზრდაზე).

თანამედროვე პირობებში ყველაზე რთული და პრობლემურია საკითხი წიგნით ვაჭრობის მაკროეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის შესახებ. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია წიგნის პროდუქციის გავრცელების (საქონელმოძრაობის) სახელმწიფოებრივი სტატისტიკის მოწესრიგება.

წიგნით ვაჭრობის სოციალური ეფექტიანობის ოპტიმალური კრიტერიუმია წიგნის პროდუქტაზე სამომხმარებლო მოთხოვნის მაქსიმალური დაკმაყოფილება მის შექმნაზე მომხმარებლის დროის მინიმალური დანახარჯების პირობებში. წიგნით ვაჭრობაში საქონლის შექმნაზე დროის დანახარჯების მინიმიზაცია აღიარებულ უნდა იქნეს სოციალური ეფექტიანობის მთავარ მაჩვენებლად, აგრეთვე როგორც სხვა სამომხმარებლო საქონლით ვაჭრობაშიც

წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის საერთო კრიტერიუმია წიგნით ვაჭრობის საწარმოების მოგების და მომხმარებლის რეალიზებული (დაკმაყოფილებული) მოთხოვნის გაზრდა საწარმოს ცოცხალი და განითვლებული შრომის, აგრეთვე წიგნის საქონლის შექმნაზე დროის შემცირების პირობებში.

წიგნით ვაჭრობის ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობა დიალექტიკურ ერთიანობაშია. წიგნით ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტიანობა არის გარკვეულ წინააღმდეგობაში მის სოციალურ ეფექტიანობასთან. წიგნით ვაჭრობის მიკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკის ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანაა მისი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის შიგა წინააღმდეგობის შერბილება. მიკროდონეზე წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემების გადაწყვეტა ხორციელდება წიგნის მარკეტინგის, ხოლო მაკროდონეზე – წიგნის ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმის საშუალებით

წიგნით ვაჭრობის მარკეტინგი არის წიგნის საქონელზე მოთხოვნის შესწავლა-პროგნოზირება და დაკმაყოფილება მისი ყიდვა-გაყიდვის (გაცვლის) საშუალებით. წიგნის ბაზრის მარკეტინგულმა კვლევებმა უნდა მოიცვას მომხმარებლის მოტივაცია, მისი მოთხოვნა და მოთხოვნილებები, მომხმარებლის ვადა წიგნის ასორტიმენტის მიხედვით, წიგნის სასაქონლო სახე, წიგნით ვაჭრობის საწარმოს საქონელბრუნვის მოცულობა. გაყიდვიდან მოგება, კონკრეტუნარიანობა, რეალიზაციის სისწრაფე, მოთხოვნის მერყეობა დროში, მისი კანონზომიერებების

გამოვლენა, მიმწოდებელთა საქმიანობა, კონკურენტების საქმიანობა, წიგნის რეკლამისა და პროპაგანდის ეფექტიანობა.

წიგნით ვაჭრობის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში წიგნით ვაჭრობის სტრუქტურებს შორის საქონელმომწოდების მეთოდები გასაუმჯობესებელია. ბარტერული გარიგებებსა და საკომპენსაციო ვაჭრობას წიგნით ვაჭრობის სტრუქტურებს შორის აქვს დიდი მომავალი, პრაქტიკულად განხორციელებადია და შესწევთ უნარი ხელი შეუწყონ სამეურნეო კავშირების განმტკიცებას წიგნის ბაზარზე. ანალოგიური კავშირურთიერთობანი აუცილებელია საგამომცემლო-პოლიგრაფიულ და წიგნით ვაჭრობის სტრუქტურებს შორის. ბარტერული გარიგებები და საკომპენსაციო ვაჭრობა წიგნის ბაზარზე მკვეთრად აამაღლებენ მათი მონაწილეობის სამეურნეო საქმიანობის შედეგიანობას (ეფექტიანობას). მიზანშეწონილია ბარტერული გარიგებების დადება წიგნით ვაჭრობის საბითუმო და საცალო სტრუქტურებს შორის. საცალო საწარმოს (მაღაზიის) მიერ წიგნის საქონლის დაბრუნება წიგნის საბითუმო ბაზაში ბარტერული გარიგებების მეშვეობით წარმოადგენს საფუძველს სასაწყობო მეურნეობის (კომპლექსის) ერთობლივი საქონლის მარაგის მართვის სამეურნეო გადაწყვეტილებათა მისაღებად

წიგნით ვაჭრობის პრაქტიკაში კანონზომიერია კონსიგნაციის ფართო გამოყენება, რომელშიც დაინტერესებულია როგორც გამყიდველი, ასევე შუამავალი მყიდველიც. წიგნის საქონლის კონსიგნაციური მიწოდება წიგნით საცალო ვაჭრობის განვითარების ძლიერი სტიმულია წიგნებისა და ბროშურების რეალიზაციისათვის, რომელთა სახმარი ღირებულება ჯერ კიდევ არ არის ცნობილი

წიგნით ვაჭრობის სტრუქტურის სასაქონლო პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს წიგნის პროდუქციის სასაქონლო ასორტიმენტის პერსპექტიულობის დამუშავებას (განსაზღვრას) პრიორიტეტულობის ნიშნის მიხედვით. წიგნის საქონლის პერსპექტიულობის ძირითადი კრიტერიუმებია: გაყიდვების (რეალიზაციის) რენტაბელობა, საქონლის კონკრეტუნარიანობა, მისი სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობა. სადისერტაციო ნაშრომში შემოთავაზებული თითოეული კონკრეტული გამოცემის პერსპექტიულობის რაოდენობითი შეფასება რეალურად შესაძლებელია წიგნით ვაჭრობის საწარმოში კომპიუტერების დანერგვის პირობებში.

წიგნის საქონლის სარგებლიანობის რაოდენობითი გაანგარიშების (გამოთვლის) მეთოდის დამუშავება ხორციელდება მყიდველთა (მომხმარებელთა) ცალკეული კატეგორიებისადმი და ცალკეული სასაქონლო ასორტიმენტისადმი დიფერენციული მიდგომის მეშვეობით. წიგნით ვაჭრობის კომერციალიზებული სტრუქტურები ფლობენ მომსახურების მარკეტინგის დიდ შესაძლებლობებს წიგნის ბიზნესში.

წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირება გულისხმობს ინდიკატური დაგეგმვისა და წიგნის ბაზრის თვითრეგულირების შესაძლებას. წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდოლოგია უნდა ემყარებოდეს დიფერენციულ მიდგომას წიგნის ასორტიმენტისადმი ლიტერატურის სოციალური მნიშვნელობის ნიშნის მიხედვით ასეთი მიდგომა მოითხოვს მაღალკომპეტენტური ორგანოს შექმნას, რომელსაც ეყოლება მაღალკვალიფიციური სპეციალისტები წიგნის სფეროში. ზუსტად უნდა გაიმიჯნოს წიგნით ვაჭრობის სფერო მისი შინაარსის ნიშნის მიხედვით წიგნით ვაჭრობის საქმიანობა შეიძლება განეკუთვნოს სოციალურ-კულტურულ სფეროს და შეიძლება არც განეკუთვნოს მას. წიგნით ვაჭრობის საქმიანობის შინაარსის განსაზღვრა აყალიბებს მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების ხასიათს. საგადასახადო პოლიტიკა წიგნით ვაჭრობაში უნდა იყოს დიფერენციული წიგნით სოციალური მნიშვნელობის მიხედვით. სახელმწიფოებრივი პროტექციონიზმის პოლიტიკა უნდა გავრცელდეს წიგნით ვაჭრობის მხოლოდ იმ სამეურნეო სუბიექტებზე, რომლებიც ახორციელებენ საზოგადოებრივად აუცილებელ ლიტერატურის რეალიზაციას. ეს პროტექციონიზმი უნდა წარმართოს საწარმოს არა მთელ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე, არამედ მხოლოდ მის ნაწილზე, რომელიც დაკავშირებულია სოციალურად მნიშვნელოვანი ლიტერატურის რეალიზაციასთან.

სოციალურად მნიშვნელოვანი ლიტერატურის რეალიზაციის წიგნით ვაჭრობის გეგმიურ-ზარალიანი საქმიანობის დოტაციის (დოტირების) წყარო უნდა იყოს წიგნის გავრცელების ხელშეწყობის ეროვნული ფონდი და თანხების ნაწილი, რომლებიც მიიღება წიგნით ვაჭრობის სტრუქტურების პროგრესული საგადასახადო სისტემის შედეგად კომერციული ლიტერატურის რეალიზაციის ხაზით. წიგნის საზოგადოებრივი გავრცელების სახელმწიფოებრივი ფონდის წარმოქმნის წყარო უნდა იყოს წიგნით ვაჭრობის ყველა სტრუქტურის საქონლებზრუნვიდან ანარიცხები წიგნის პროდუქციის რეალიზაციის ხაზით.

წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივი სტრუქტურები შეიძლება დოტაციას ღებულობდნენ საარენდო სუბვენციის სახით. ამ უკანასკნელის გამოყენება წიგნით ვაჭრობის პრაქტიკაში შექმნის შესაძლებლობას წიგნით ვაჭრობაში სახელმწიფოებრივი საკუთრების უპირატესობათა ყველაზე ეფექტიანი გამოყენებისათვის. ამავე დროს აქტუალური და პერსპექტიულია ერთობლივი საწარმოების შექმნა-განვითარება წიგნით ვაჭრობის ბიზნესში. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია უცხოურ ინვესტიციებს წიგნის ბაზრის განვითარების დაფინანსების თვალსაზრისით ჩვენს ქვეყანაში. სადისერტაციო ნაშრომში შემოთავაზებული წიგნით ვაჭრობის რეგულირების სახელმწიფოებრივი მექანიზმი უნდა იცვლებოდეს წიგნის ცივილიზებული ბაზრის შექმნის პარალელურად. ამასთან სახელმწიფოს როლი თანდათან უნდა შემცირდეს წიგნით ვაჭრობაში მისი უშუალო ჩარევის თვალსაზრისით.

წიგნით ვაჭრობის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში მისი ეფექტიანობის ამაღლების დიდი რეზერვა კომერციული კრედიტი კომერციული კრედიტის განვითარება შექმნის წიგნის პროდუქციის გაყიდვის ფორმების უფრო ეფექტიანად შესაბამის შესაძლებლობას. ამჟამად საქართველოში წიგნით ვაჭრობის პრაქტიკაში კომერციული კრედიტი არ გამოიყენება. ურთიერთ დაკრედიტების სისტემა გამოყენებულ უნდა იქნეს წიგნით ვაჭრობის გაერთიანებისა და ასოციაციების შიგნით. ბუნებრივია, რომ წიგნით ვაჭრობის სტრუქტურების კომერციული დაკრედიტების მექანიზმის გამოყენება წიგნით ვაჭრობის საქმიანობის განვითარების ძლიერი მასტიმულატელი ფაქტორია.

საბაზრო ეკონომიკაზე წიგნით ვაჭრობის გადასვლისას ხელმოწერითი არაპერიოდული გამოცემების გაყიდვა ადვილს უთმობს წიგნის გავრცელების სხვა ფორმებს. ხელმოწერითი გამოცემების რეალიზაციის ტრადიციული მეთოდები არ შეესაბამება ქვეყანაში და დარგში ჩამოყალიბებულ მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას. ხელმოწერითი გამოცემების რეალიზაციის არსებული ტექნოლოგია და ორგანიზაცია ამუხრუჭებს წიგნის გავრცელების მოცემული ფორმის განვითარებას ხელმოწერითი გამოცემების წიგნით ვაჭრობის პროცესის განხორციელება ფასიანი ქაღალდების გამოყენებით არაპერიოდული გამოცემების ვაჭრობის გაჯანსაღებისა და შემდგომი განვითარების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება წიგნით ვაჭრობაში

მოითხოვს ბანკის თანამშრომლობას წიგნით ვაჭრობის სტრუქტურებთან წიგნით ვაჭრობის სფეროში საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნა აამაღლებს ბანკის როლს დარგის (მოცემული სფეროს) ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში

წიგნით ვაჭრობის საწარმოთა ფინანსური დაგეგმვის მეთოდოლოგია განპირობებულია საკუთრების ფორმით, რომელიც განსაზღვრავს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის ხასიათს წიგნით ვაჭრობის საწარმოს ფინანსური დაგეგმვა მოითხოვს შემოსავლების ცალ-ცალკე აღრიცხვა-გათვალისწინებას ძირითადი და არაძირითადი საქმიანობის მიხედვით, აგრეთვე წიგნის საქონლისა და სხვა საქონლის რეალიზაციის მიხედვით ფინანსური დაგეგმვის დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელია სასაქონლო ასორტიმენტის წიგნტეკადობის მაჩვენებელი.

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში წიგნით ვაჭრობის საწარმოები ნაკლებად იყენებენ მიმოქცევის ხარჯების საერთოდ მიღებულ კლასიფიკაციას. ხარჯების დაჯგუფება ხდება მიმოქცევის ხარჯების საკლასიფიკაციო მუხლების დარღვევით. მიმოქცევის შიგასამეურნეო დაგეგმვა გართულებულია ხარჯების ცალკეული მუხლების მიხედვით აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობის გამო. „საქწიგნის“ მაღაზიების მაგალითზე მიმოქცევის ხარჯებში ყველაზე ხარვეზითი მუხლებია შრომის ანაზღაურება, სათავსოების შენახვა, ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია. წიგნით ვაჭრობის ახლად შექმნილი საწარმოები მეტ ხარჯებს ეწევიან საქონლის რეალიზაციის პროცესში. აგრეთვე ანალოგიური მდგომარეობაა წიგნით ვაჭრობის პრივატიზებულ საწარმოებში წიგნით ვაჭრობის სახელმწიფოებრივ სტრუქტურებთან შედარებით. ამასთან მხედველობაში მიიღება მიმოქცევის ხარჯების აბსოლუტური სიდიდე. წიგნით ვაჭრობის საწარმოებისთვის დამახასიათებელია მიმოქცევის ხარჯები არარეალიზებული ოპერაციებისაგან. ბუკინისტური წიგნის მაღაზიებში ეს ხარჯები არსებითად მაღალია, ვიდრე ახალი წიგნის მაღაზიებში.

წიგნით ვაჭრობის საწარმოს მიმოქცევის ხარჯების სტრუქტურა და სიდიდე დამოკიდებულია მისი დამოუკიდებლობის, კომერციალიზაციის ხარისხზე, აგრეთვე საერთო ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ წიგნის ბაზრის კონიუნქტურაზე. მიმოქცევის ხარჯების არსებული კლასიფიკაცია სრულად არ შეესაბამება საბაზრო ურთიერთობათა პირობებს. მიმოქცევის ხარჯების ახალი

კლასიფიკაცია წიგნით ვაჭრობაში უნდა ითვალისწინებდეს დამატებით შემდეგ მუხლებს: „წიგნის ბაზრის მარკეტინგული კვლევების დანახარჯები“ და „სამამულო წიგნის გავრცელების მხარდაჭერის ფონდი“.

წიგნით ვაჭრობაში მყარი პასივების გაანგარიშებას გააჩნია არსებითი თავისებურებანი, რომლებიც დამახასიათებელია წიგნით ვაჭრობის საქმიანობისთვის. ეს თავისებურებები დაკავშირებულია წიგნით ვაჭრობაში მყარი პასივების სტრუქტურასთან გასათვალისწინებელია აგრეთვე რიგი გარემოებები, რომლებიც დაკავშირებულია წიგნით ვაჭრობის საწარმოს საკუთარი და მასთან გათანაბრებული საბრუნავ საშუალებებზე მოთხოვნილებების გაანგარიშებასთან.

წიგნით ვაჭრობის საწარმომ, რომელიც შექმნილია კომერციული ბუნების შედეგად, დამოუკიდებლად უნდა გამოძებნოს წიგნის საქონლის ჩამოფასებისა და ჩამოწერის საშუალებები. წიგნის საქონლის ჩამოფასებისა და ჩამოწერის ფონდის შექმნა საწარმოში წარმოადგენს უკანასკნელ, ყველაზე არასასურველ ღონისძიებას ასეთი ფონდი უნდა დაფინანსდეს შესაძენი წიგნის პროდუქციის შესასყიდი ღირებულების ნორმატივიდან დადგენილი ნორმატივის ხარჯზე. წიგნის საქონლის ჩამოფასებისა და ჩამოწერის ფონდის შექმნის ნორმატივი უნდა იყოს 3-5-ჯერ მაღალი სხვა საქონლის ჩამოფასებისა და ჩამოწერის ფონდის შექმნის ნორმატივთან შედარებით. წიგნის საქონლის ჩამოწერა, რომელმაც დაკარგა სასაქონლო სახე უშუალოდ წიგნით ვაჭრობის საწარმოში, მიზანშეწონილია განხიზცივდეს წიგნის საქონლის ჩამოფასებისა და ჩამოწერის ფონდის ხარჯზე

წიგნით ვაჭრობის საწარმოს ფინანსური დაგეგმვის პრაქტიკაში უნდა ჩატარდეს მისი მოგების გამოყენების გაანგარიშება-შემოწმება. ეს გაანგარიშება იძლევა შესაძლებლობას არსებითად ამაღლდეს ეკონომიკური ანალიზის ხარისხი საწარმოში

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში არ მოგვეპოვება წიგნით ვაჭრობის საბაზრო სტრუქტურის სამეურნეო საქმიანობის ანალიზისადმი მიძღვნილი მეცნიერული გამოკვლევები. ამიტომ წიგნის თანამედროვე ბაზარი მწვავედ განიცდის წიგნით ვაჭრობის პრობლემის ამა თუ იმ ასპექტით გამოკვლევის აუცილებლობას ამ სადისერტაციო ნაშრომის შესრულება, კერძოდ მასში მოცემული დასკვნები და წინადადებები ხელს შეუწყობს საქართველოში წიგნით ვაჭრობის განვითარებასა და სრულყოფას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაბუნაშვილი გ., მღებრიშვილი ბ., შუბლაძე გ. მენეჯმენტი, თსუ, 1998.
2. ბოლოკაძე ე. მარკეტინგი თბ., 1995.
3. ვაგნიძე ა. კომერციული საქმიანობის საფუძვლები. თსუ, 2002
4. გოგოხია რ. საბაზრო ეკონომიკა, თბ., 1996.
5. გუგუშვილი პ. ქართული წიგნი თბ., 1929.
6. გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტომი მეშვიდე, მეცნიერება, თბ., 1984.
7. კეკელიძე კ. ს. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია ტ. I. თბილისი 1951 (გვ. 1-670)
8. მარკეტინგი. პროფ. გ. შუბლაძის რედ., თბ., 1999.
9. მესხია ი., მურჯიკნელი მ. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში, თსუ, 1996
10. ნანიტაშვილი მ. კონკურენტუნარიანობა და კონკურენტული სტრატეგიები საცალო ვაჭრობაში, თსუ, 2000
11. ნანიტაშვილი მ. სამომხმარებლო ბაზრის კონცეფციის შესახებ გარდამავალ პერიოდში, თსუ, 1999.
12. პაპავა გ. საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები, თბ., 1991.
13. სავაჭრო საწარმოს ეკონომიკა. რედაქტორი პროფ. ე. ბოლოკაძე, დოც. ფ. წოწკოლაური, თბ., 1996.
14. სანთელაძე ნ. საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პრობლემები საქართველოში, თბ., 1992.
15. საქართველოს კანონი „მწარმეთა შესახებ“, 28.10.94.
16. საქართველოს კანონი „საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ“, 09.08.91.
17. ქიქოშვილი გ. წიგნით ვაჭრობის განვითარება საქართველოში. უ. „მკრო მიკრო ეკონომიკა“, 2003, № 11.

18. ქოქოშვილი გ. წიგნით ვაჭრობის მარკეტინგი, ჟ. „ეკონომიკა“, 2003, № 9-10
- 19 ქოქოშვილი გ წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემები, ჟ. „ეკონომიკა“, 2003, № 11.
- 20 ყორღანაშვილი ლ. საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, თსუ, 1997.
21. შუბლაძე გ. ვაჭრობის მართვა, თსუ, 1981.
22. შუბლაძე გ მენეჯმენტისა და მარკეტინგის ცნობარი, თსუ, 1994.
23. ჭიჭინაძე ზ ქართული ტიპოგრაფიის ისტორია. თბ, 1900.
24. ხმალაძე ნ. წიგნის როლი ურ. „საქართველოს კომუნისტი“, 1974, № 9.
25. ჯავახიშვილი ივ საქართველოს ეკონომიკური ისტორია. ნაწ I, თბ, 1907
26. ჯულაყიძე გ. ვაჭრობის ეკონომიკა, ორგანიზაცია და დაგეგმვა, თსუ, 1986
27. Абрамов А. М Как цивилизовать книжный рынок. Что делать? Книжное обозрение. 1994. № 33.
28. Арбузов М. Ф. Книжная торговля в СССР. М., Книга, 1976.
29. Балабанова Л. В. Оптовая торговля: маркетинг и коммерция. М., Экономика, 1990.
30. Баренбаум И. Е., Шомракова И. А., Книга и книжное дело в капиталистических странах. Л., ЛГИК, 1990.
31. Баскин А. И Эффективность торговой инфраструктуры. Ж. "Маркетинг" 1992 № 4.
32. Бордачева Л Н. Экономический анализ и планирование экономической деятельности книготорговых организаций и предприятий в новых условиях хозяйствования. М., Кн. палата. 1989.
33. Бухгалтерский учет и контроль в книжной торговле. / Под ред. Г А. Ковалева. М., Книга, 1974.
34. Быков В. А. Наболело // Книжный бизнес. 1995. № 8-9.
35. Васина И. С. Организация перевозок печатной продукции. М., 1985.
36. Власова В. Г. Издержки обращения книжной торговли. М., 1980.
37. Власова В. Г., Сидельникова Е. Б. Экономика и планирование книжной торговли. 1 часть. М., 1989.
38. Волькенштейн Б. Экономика книги. М., 1929.

39. Всеобщая история: Каталог – преискурант букинист. кн. Ценник в 2-х частях М., Книга, 1981.
40. Всесоюзное совещание актива работников книжной торговли. М., 1974.
41. Всесоюзный семинар – совещание книготорговых работников по совершенствованию изучения спроса и формирования фондов в книготорговой сети. М., Книга, 1975.
42. Гелбрейт Дж. К. Экономическая теория и цели общества. Пер. с англ. М., 1979.
43. Говоров А. А. История книжной торговли в СССР. М., Книга, 1976.
44. Говоров А. А. Основы формирования товарных запасов в книжной торговле. М., 1985.
45. Гольдин А. И. Прием, хранение и порядок перемещения литературы в книжном магазине. М., Книга, 1972.
46. Горшков Ю. Необходим национальный научный фонд развития книжного дела // Книжный бизнес. 1995. № 20-21.
47. Гребнев А. И. и др. Совершенствование управление торговлей. М., 1989
48. Грузинов В. П. Экономика предприятия и предпринимательство. М., 1994.
49. Гунич Т. С., Сидельникова Л. Б. Экономика книжной торговли. 2-е изд., перераб. и доп. М., Книга, 1982.
50. Гунич Т. С. Экономическое стимулирование в книжной торговле. М., Книга, 1974.
51. Даньшина И., Дымов А. Панорама книжного рынка в России // Книжное дело. 1993. № 4.
52. Джоунс Г. Торговый бизнес: как организовать и управлять. Пер. с англ. М., 1996.
53. Динамика цен // Книжный бизнес. 1995. № 1-2. 1995. № 6.
54. Динамова Н. В. Исследование путей повышения эффективности книжной продукции и рентабельности издательств и книжной торговли. М., 1970.
55. Дружинский Н. А., Яцков С. Г. Ленинградское книготорговое объединение "Ленкнига". М., Книга, 1981.
56. Друкер П. Рынок: как выйти в лидеры. Практика и принципы. Пер. с англ. М., 1992.
57. Загадина С. М. США: обращение товаров и услуг в экономике. М., 1987.

58. Иванова Е. Н. Доходы, расходы и прибыль книжной торговли в условиях перехода к рыночной экономике: Учебное пособие. М., "Мир книги", 1993.
59. Иванова Е. Н. Статистика книжной торговли. М., Книга, 1990.
60. Иванова Е. Н. Статистика товарооборота в книжной торговле. М., 1979.
61. Издательско-Финансовая книготорговая группа // Книжное обозрение. 1995 № 8.
62. Иоффе М. Я. Торговый бизнес. Как стать миллиардером? М., 1996.
63. История книжной торговли 2-е изд. М., Книга, 1982.
64. Книга в России, В 3 т., М., 1988-1991. 3 т.
65. Книга и культура. Самара. 1994.
66. Книгоиздательский баланс. Пер. с англ. М., 1993.
67. Книжный рынок и книгоиздательские организации основных капиталистических и развивающихся стран. М., ВААП, 1978.
68. Ковалев В. В., Евстигнеев Е. Н. Методика анализа и прогнозирование финансового состояния торгового предприятия. Практическое пособие. Санкт-Петербург. 1994.
69. Кожевников Г. В. Теория и методика ассортиментной работы. М., Мир книги, 1993
70. Комлев С. А. Внутренняя торговля США: организационные сдвиги. М., 1987.
71. Коммерческо-посредническая деятельность на товарном рынке. Под ред. А. В. Зырянова. Екатеринбург. 1995.
72. Копченев С. В. Книжный склад. 2-е изд. М., Искусство, 1962.
73. Костылев Ю. Книжный бизнес: опыт США // Книжное дело. 1994.
74. Костылев Ю. Книжный опт сегодня // Книжное обозрение. 1993. № 29.
75. Котлер Ф. Основы маркетинга. Пер. с англ. М., Прогресс. 1992.
76. Котлер Ф. Маркетинг Менеджмент. М., 1997.
77. Кравченко Л. И., Букатый Н. К., Кравченко Т. Л. Экономический анализ в книжной торговле. Минск. Беларусь. 1987.
78. Кузнецов А. П. Экономика книжной торговли. М., Книга, 1985.
79. Кузнецова Е. Н. Оборотные средства книжной торговли. 1970.
80. Кузнецова Е. Н. Товарные анализы и оборотные средства книготорговых организаций. М., Книга. 1975.

81. Кузнецова Е. Н. Финансы книжной торговли М., Книга, 1976.
82. Лавров Н. П. Книжный мир Ленинграда. Л., Лениздат, 1985.
83. Ланда Р. ЭВМ. Общие и частные аспекты управления книжной торговлей. Зарубежный опыт. М., Книга, 1977.
84. Лезунова Н. Б. Структура книжной торговли и принципы формирования ассортимента. Проблемы истории, теории и методики на примере г. Ленинграда. Л., 1989.
85. Леонов И. В., Семенова М. И. Эффективность пропаганды и рекламы книги. Киев. 1985.
86. Лобко А., Генов Р. Маркетинг в книжном деле // Книжное дело. 1994. № 4.
87. Лобко А. Г., Генов Р., Ющик И. И. Основы маркетинга книги. В Зч. М., Мир книги, 1993.
88. Люблинский В. С. На заре книгопечатания. Л., 1959.
89. Майорова В. А. Совершенствование работы книготорговых организаций с подписными изданиями. М., Книга, 1984.
90. Майсурадзе Ю. Итоги и прогнозы // Книжное обозрение. 1995. № 5.
91. Майсурадзе Ю. Книгоиздание и книгораспространение в России // Книжный бизнес. 1995. № 12-13.
92. Майсурадзе Ю. Разрушен ли монстр? // Книжное обозрение. 1993. № 41
93. Майсурадзе Ю. Цифры. Комментарии // Книжное дело. 1995. № 1.
94. Макаров Н. Д. Финансовое планирование в книжной торговле. М., Финансы и статистика. 1990.
95. Маркин Р. Управление розничной торговлей. Пер. с англ. М., 1980.
96. Манишкин Т. Е., Егорова О. К. Аренда в книжной торговле: существенность и практика. Учеб. метод. пособие. М., Книжная палата, 1989.
97. Марголин Е. Книжная торговля в ФРГ М., Кн палата. 1990.
98. Марголин Е. Цены книжного рынка. Книжный бизнес. 1995. № 20-21.
99. Мартынов П. Н. Полека в мире книг. Л.: Наука, 1969.
100. Масевич В. В. Об основных тенденциях развития личных библиотек // Книжное дело. 1994. № 5.
101. Мокин В. Н. Социально-экономические проблемы развития торговли. М., 1990.

102. Морозевич А. П. Повышение культуры обслуживания покупателей в книжных магазинах Метод пособие. М., Книга, 1980.
103. Найденов В. О принципах взаимоотношений зарубежных издателей и книготорговцев М., 1991.
104. Натальин Ю. Оптовый книжный рынок в Москве // Книжное дело. 1992. № 2.
105. Немировский Е. Сколько книг издается в мире? // Книжное обозрение. 1993. № 40
106. Новое в изучении спроса на книги: Сборник. М., Книга, 1976.
107. Обзор книготорговли. Зарубежный опыт. Книжная торговля // Книжное обозрение 1994. № 23.
- 108 О государственном политике зарубежных стран в области книгоиздания / Российская книжная палата. М., 1993.
109. О книжных ярмарках 1994-95 гг. Постановление международного комитета книжных ярмарок (Ярмарочного комитета) // Книжное обозрение. 1993. № 28.
110. Организация и технология книжной торговли / Под ред. И. С. Васиной и А. А. Говорова. М., Книга. 1987.
111. Папава В., Беридзе Т. Проблемы стабилизации и реформирования экономики Грузии. Российский экономический журнал, 1994, № 3.
- 112 Поливановский С. Е., Арбузов М. Ф. Организация обслуживания покупателей в книготорговом объединении: опыт Москниги. М.: Книга, 1978.
113. Поливановский С. Е. Формирование книжного ассортимента в книготоргах и книжных магазинах. М.: Книга, 1977.
114. Поляков Л. В. Платежеспособный спрос на книги и методы его прогнозирования. М., 1984.
115. Применение новых методов планирования и экономического стимулирования в книжной торговле. М., Книга, 1987.
116. Проблемы книгоиздания и книгораспределения: Семинар советских и индийских специалистов. М., 1990.
117. Проблемы книжной торговли: Сборник обзоров отечественной литературы. М., Книга, 1970.

118. Проблемы повышения социально-экономической эффективности книжной торговли / Межведомство. сб. научных трудов М., 1988
119. Рабин Л. Я., Черный Д. А. Экономика и планирование в книжной торговле 2-е изд. М., Книга, 1980
120. Рабин Л. Я., Любимов А. Н. Экономика и планирование торговли книгами. М., Книга, 1968.
121. Санников Ю. Общая схема функционирования системы книжной торговли за рубежом. 1995.
122. Сапожников Ю. Н., Тимофеева Н. Ф. Проблемы стабилизации книжного рынка / Книжное дело. 1994. № 5.
123. Саранцев Р. Б., Валабанов И. т. Аренда и арендные отношения в торговле / Методические рекомендации. Л., 1990.
124. Сидельникова Л. Б. Бухгалтерский учет в книжной торговле. М., Книга, 1980.
125. Сидельникова Л. Б. Бухгалтерский учет товарных операций в книжной торговле. М., 1977.
126. Сидельникова Л. Б. Финансы книжной торговли. М., 1981.
127. Система показателей стимулирования качества труда работников предприятий облкниготорга. М., 1984.
128. Сократова Т. С. Проблемы управления рынком и розничным товарооборотом книжной продукции // Книжная торговля: опыт, проблемы, исследования. 1987. Вып. 19.
129. Соломатин А. Н., Хайкин М. М. Рыночные отношения и эффективность торговли (на примере книжной торговли) // Проблемы коммерческой деятельности в торговле в условиях рынка / Под ред. В. П. Бойкова. Санкт-Петербург. 1993
130. Солоненко В. К цене равновесия // Книжное дело. 1992. № 2.
131. Спешите стать профессионалом. Высшее книготорговое и редакционно-издательское образование в России // Книжное обозрение, 1994.
132. Стрижкова Л. А., Николаева И. Г. Товаробмен с государствами "ближнего зарубежья" // Российский экономический журнал. 1993. № 2.
133. Суматохина А. А. Использование маркетинга фирмами капиталистических стран. М., Книжная палата. 1988.


134. Суматохина А. А. Основные тенденции развития издательского дела и книжной торговли стран Западной Европы. М., Книга, 1985
135. Сухоруков К. Коммивояжеры или оптовики? // Книжный бизнес. 1995.
136. Сухоруков К. Основные каналы сбыта в зарубежной книжной торговле // Книжный бизнес. 1995 № 5.
137. Темпов В. Книгоиздание и книгораспространение в Индии. М., Книга, 1978.
- 138 Тимофеева Т. Н. Анализ доходов, рентабельности и платежеспособности книготорговых предприятий и организаций. М., 1990.
139. Тимофеева Т. Н. Книжный рынок: состояние, оценки, прогноз // Книжное дело. 1992. № 2.
- 140 Торговля – двигатель прогресса, но двигатель бараклит // Книжное обозрение. 1995. № 9.
141. Трофимов О. И. Научное книгоиздание: День сегодняшний // Книжное дело. 1994. № 5.
142. Утков В. Т. Что нужно знать каждому о книжной торговле. 2-е изд. М., Книга, 1980.
143. Фролов Б. Издательское дело и книжная торговля капиталистических стран в эпоху НТР. М., Книга, 1986.
144. Хайкин М. М. Книжная торговля в условиях перехода к рынку // Проблемы коммерческой деятельности в торговле в условиях рынках. Под ред. В. П. Бойкова. Санкт-Петербург. 1993.
145. Хмаладзе Н. Хозяйственные связи оптовой торговли с издательскими организациями и организация товародвижения. Сборник научных трудов. Рига. 1988.
146. Цыбульский Р. Книжная торговля в современном обществе. Пер. с польск. М., Книга, 1982.
- 147 Черный Д. А. Анализ хозяйственной деятельности книжного магазина. Практик. пособие. М., Книга, 1966.
148. Шкабельникова О. Б. Книжная торговля в системе потребительской кооперации СССР. М., 1983.
149. Шомракова И. А. Книжное дело в развивающихся странах Африки. Л., 1991.

150. Шипкалов М. Ф., Лаврушин Б. Г. Управление товарными запасами книжной продукции. М., Книга, 1978.
151. Штернгац М. З. Книжная торговля за рубежом. М., Центросоюз, 1958.
152. Штернгац М. З. Очерк книжной торговли за рубежом. М., 1962.
153. Шубладзе Г. Проблемы управления торговлей в новых условиях хозяйствования (вопросы теории и практики), ТГУ, 1990.


დანართები

დანართი 1


წიგნით ვაჭრობის ტრანსფორმაცია საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში




წიგნის მაღაზიების სახეობანი ეკონომიკური დამოუკიდებლობის ნიშნის მიხედვით




წიგნით ვაჭრობის სამეურნეო კავშირების სქემა




წიგნით ვაჭრობის სამეურნეო კავშირების სქემის მოდიფიკაცია
საბაზრო ურთიერთობათა პირობებში






წიგნით ვაჭრობის ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის ცალკეულ მარკეტებელთა ერთიანობა და წინააღმდეგობა




1

წინით პროდუქციის შიგა გადაგზავნების სქემა
წინით ვაჭრობის საწარმოებს შორის
წინით ვაჭრობის სისტემების ფარგლებში




დანართი 8


ბარტერული ვარიანტი მრავალმხრივ საფუძველზე




წიგნისა და სხვა საკონლის შემსვედრი ვაჭრობა
კომპენსაციურ საფუძველზე




ბარტერული გარიგებები საცალო და ბითუმად
წიგნის ვაჭრობის საწარმოებს შორის



წიგნით ვაჭრობის გაერთიანების სტრუქტურა



ფინანსური დაგეგმვის სტრუქტურა წიგნით ვაჭრობის საწარმოში



წიგნით ვაჭრობის საწარმოს წლიური ფინანსური გეგმის სტრუქტურა

შემოსავლები და შემონატანები		ხარჯები და ანარიცხები	
მარჯვენა	თანხა	მარჯვენა	თანხა
1 მოგება		1 გადასახადი მოგებიდან	
2 შვარი პასივების ზრდა		2 მიზნობრივი მოსაკრებელი	
3 სამორტიზაციო გადარიცხვები		სამართალდამცავი ორგანოების	
4 გადარიცხვები სარემონტო ფონდში		შენახვაზე	
5 შემონატანები გარეშე ფიზიკური ან		3 გადასახადი საბინაო ფონდისშენახვასა	
იურიდიული პირებისგან		და სოციალურ-საბინაო სფეროების	
6 საბრუნავი საშუალებების		ობიექტებზე	
მოსალოდნელი ნამეტყი წლის		4 ქონების გადასახადი	
დასაწყისში		5 სარემონტო ფონდი	
7 შემოსავლები ფასიანი		6 ხარეზერეო ფონდი	
ქალაქებიდან		7 მოხმარების ფონდი	
		8. დაგროვების ფონდი, მათ შორის	
		– მოგებიდან	
		– ამორტიზირებული გადარიცხვების	
		ხარჯზე	
		– შვარი პასივების ხარჯზე	
		9 საკუთარი საბრუნავი საშუალებების	
		ზრდა	
		10, საბანკო სესხის დაფარვა	
		11 გადარიცხვები ჩამოწერისა და	
		ჩამოყასების ფონდში	

